

652
1976/3

06.06.1976
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



ବିଜ୍ଞାନପତ୍ର

| | |
|---|----|
| ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା, ସାଲକୁ, ଲିଂଗମାତ୍ରରେ | 3 |
| ୧. କମିଶନରୀ — ଓପରରେବି ମନୋ- ବିଜ୍ଞାନ ନାର୍ଯ୍ୟରେ | 6 |
| ୨. ଅଚେଷ୍ଟା — ଲ୍ୟେଜ୍‌ସେବା | 24 |
| ୩. ଜ୍ୟୋତିଷ — „ତାତୀ ପରିବହିତିରେ ରାତି ପରିବହିତି ଆବଶ୍ୟକ“ ମନୋକରନବା | 26 |
| ୪. ପରିବହିତି — ଲ୍ୟେଜ୍‌ସେବା | 33 |
| ୫. ମନୋକରନ — ସାମାଜିକ ବିଜ୍ଞାନରେ ଏବଂ ପରିବହିତି ପରିବହିତି ମନୋକରନବା | 35 |
| ୬. ମନୋକରନ — ଲ୍ୟେଜ୍‌ସେବା | 52 |
| ୭. ଉତ୍ସବରେବିନ୍ଦୀ — ଗନ୍ଧାରାନନ୍ଦ | 56 |
| ଲ୍ୟେଜ୍‌ସେବା | |

ପରିବହିତି ଜ୍ୟୋତିଷବିଜ୍ଞାନରେ ଏବଂ ପରିବହିତି ମନୋକରନରେ

| | |
|---|----|
| ୮. ଉତ୍ସବରେବିନ୍ଦୀ — ପରିବହିତି ବିଜ୍ଞାନରେ ଏବଂ „ବେଶବିଜ୍ଞାନ- ବ୍ୟାକାନ“ | 57 |
|---|----|

ବିଜ୍ଞାନପତ୍ର

| | |
|--|----|
| ୧. ପରିବହିତି — ପରିବହିତି ବିଜ୍ଞାନରେ | 65 |
| ୨. ପରିବହିତି — ଆକାଶରେ ପରିବହିତି ଏବଂ ପରିବହିତି ପରିବହିତି ବିଜ୍ଞାନରେ | 74 |
| ୩. ପରିବହିତି — ଆକାଶରେ ପରିବହିତି ଏବଂ ପରିବହିତି ପରିବହିତି ବିଜ୍ଞାନରେ | 87 |

ପରିବହିତି ମନୋକରନରେ


| | |
|--|----|
| ୪. ପରିବହିତି — ପରିବହିତି ମନୋକରନରେ ଏବଂ ପରିବହିତି ମନୋକରନରେ | 89 |
|--|----|

ଲିଂଗମାତ୍ରରେ-ମନୋକରନରେ ଏବଂ
ପରିବହିତିରେ-ପରିବହିତିରେ
ଶୁଣନାଲ୍ଲି

ପରିବହିତିରେ ପରିବହିତି
ଏବଂ ପରିବହିତି ଏବଂ ପରିବହିତି
ଏବଂ ପରିବହିତି ଏବଂ ପରିବହିତି

୧୯୭୩ ମସିଥି — 1976

ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା — ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା



რედაქტორი ა. შონია

საჩედაქციო კოლეგია: ხ. ახვლელიანი, მ. ვარშანიძე (პ. მვ. მდივანი),
ვ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
ტელეფონი — 33-71.

ტელმოწერილია დასაბეჭდად 16.4.76. საბჭდი თაბაზი 6. საგამომცემლო 5 თაბაზი
შეკვეთის № 1618, ემ. 00963, ქალალის ზომა $60 \times 901/16$. ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპილიგრაფზერვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის 20).

პარტია, ხალხი, ღირებულება

არცერთ დიდ ფორუმს არა აქვს იმხელა საერთაშორისო რეზონანსი და ისეთ კეთილისმყოფელ კვალს ვერ აჩენს საზოგადოებრივი განვითარების პროცესს, როგორც საბჭოთა კომუნისტების ყრილობები. პირუთვნელი ისტორია მათ შორის უთუოდ გამოარჩევს ჩვენი პარტიის 25-ე ყრილობას, რომლის მიერ მიღებული ღოკუმენტები, კომუნისტური მშენებლობის პროგრამა, მისი გრანდიოზული მასშტაბები მიმართულია იქითენ, რომ შემდგომ ამაღლდეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, მაქსიმალურად დაქმაყოფილდეს სულიერი მოთხოვნები, სრულყოს საზოგადოებრივი ურთიერთობა, ახალი ადამიანის ფორმირება, ხალხის ესთეტიკური გემოვნების აღზრდა.

ყრილობის შემდეგ სულ რამდენიმე კვირა გავიდა. და ახლა კიდევ უფრო მეტი ძალით ვლინდება პარტიის ორგანიზატორული როლი, მისი უნარი, როგორც დიდი ლენინი ამბობდა, „ამრავლოს მასების ენერგია, გმირობა, ენთუზიაზმი, რევოლუციურად დაძაბული მეცადინეობა მოახმაროს უმნიშვნელოვანეს მორიგ ამოცანას“.

პარტიის დიდი მიზანდასახულობანი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს ჰქმავებს ჰქმავებდით ძალას, შთააგონებს კიდევ უფრო გაამდიდრონ სოციალისტური სამშობლოს სულიერი კულტურა, მთელი ნიჭი და ოსტატობა მოახმარონ ახალი საზოგადოების მშენებლობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჯენევმა ყრილობის ტრიბუნიდან მაღალი შეფასება მისცა შემოქმედებითი ინტელიგენციის შრომას: „განვლილ წლებში კიდევ უფრო გააძლიერდოს საქმიანობა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, რომელსაც სულ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო საქმეში“, და, რომ „ეს დადგებითი, ცხოველმყოფელი პროცესი, ბუნებრივია, აისახა სოციალისტური რეალიზმის იმ ახალ ნაწარმოებებში, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში. ისინი სულ უფრო ხშირად, და, რაც მთავარია,

უფრო ღრმად ეხმაურებიან იმ ძირითადს, არსებითს, რითაც ქვეჭანა გრობს, რაც საბჭოთა ადამიანების პირადი ბედის ნაშილი გაიდა  ეკუთრებული

ჩვენი მწერლების საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომი მიზანები მხარდამხარ ბრძოლა კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის, აი, შემოქმედებითი აქტივობის უმნიშვნელოვანები პირობა, შემოქმედებითი წარმატებების მოპოვების საიმედო გზა!

პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოადგინა ყრილობაზე, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხებს, კონკრეტულ თემებს, რომლებსაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, სოციალისტური სინამდვილე აყენებს. ამ თემებს შორის უპირველესია საბჭოთა ადამიანის, კომუნიზმის მშენებლის გმირული შრომა.

ადამიანისათვის შრომა მარტო სარჩო-საბადებლის, საზოგადოებრივი დოკუმენტის შექმნის საშუალება როდია, იგი შრომაში, ყოველდღიურ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში აყალიბებს საკუთარ პიროვნებას. ამიტომ შრომა ყოველთვის იყო, არის და იქნება სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი თემა.

„ავილოთ, მაგალითად, ის, რასაც წინათ მშრალად უწოდებდნენ „საწარმოო თემას,“ — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, — ახლა ამ თემამ ნამდვილად მხატვრული ფორმა შეიძინა, ლიტერატურულ თუ სცენურ გმირებთან ერთად განვიცდით, ვდელავთ მეფოლადეებისა თუ საფეიქრო ფაბრიკის დირექტორის, ინჟინერისა თუ პარტიული მუშავის წარმატებებისათვის. და, ერთი შესხდვით, ისეთი კერძო შემთხვევაც კი, როგორიცაა მშენებელთა ბრიგადისათვის პრემიის საკითხი, ფართო საზოგადოებრივ ულერადობას იძენს, ცხოველი დისკუსიების საგანი ხდება“.

ის, რაც აღლვებს საწარმოს კოლექტივს, მის ყოველ წევრს, ნაგრძნობი და განცდილი გადაეცემა მთელს საზოგადოებას. მწერლობის უშუალო ამოცანა ხდება ადამიანის სულიერი სამყაროს წარმოსახვა საწარმოს ცხოვრების შუაგულში, სადაც ინდივიდები ყალიბდებიან მაღალადამიანური თვისებებით.

მხატვრული შემოქმედების მეორე დიდმნიშვნელოვანი თემა, როგორც ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, არის საბჭოთა ხალხის გმირობა დიდ სამამულო ომში. ეს თემა არ იფარვლება მოგონებით, გახსენებით. იგი ემსახურება ძლიერი ნებისყოფის ადამიანის, სულით მაღალი პიროვნების აღზრდას, და ახალგაზრდობას შთააგონებს სამშობლოსათვის თავდადებას, პატრიოტიზმს, უნერგავს ინტერნაციონალიზმის გრძნობას. ახალგაზრდათაობა „ხელოვნების სასწაულებრივი მოქმედებით ხდება თავისი მამების ან იმ სულ ახალგაზრდა გოგონების გმირობის თანამონაწილე, რომლების-თვისაც წყნარი გარიერავი სამშობლოს თავისუფლებისათვის მათი უკვდავა“.

კმიტობის უამი გახდა“ და ასე, სამამულო ომის თემა მორალის სფეროზე შეც გადაღის, იგი არ შეიძლება გულგრილი იყოს ზნეობის საჭირო მიმართ. მავრამ მორალის, ზნეობრივი ძიების თემას ლ. ი. ბრეუნის მუზეუმში დამსახურება ის არის, რომ ისინი ცდილობენ მხარი დაუჭირონ ადამიანის საუკეთესო თვისებებს, მის პრინციპულობას, პატიოსნებას, გრძნობების სილრმეს, და ამასთან ხელმძღვანელობენ ჩვენი კომუნისტური ზნეობის ურყევი პრინციპებით“.

და კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი თემა: „მშვიდობისათვის, ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა, მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა ამ ბრძოლაში“. ეს თემაც უაღრესად კეთილშობილურია და გამოხატავს საბჭოთა ლიტერატურის ჟუმანიზმს, ხალხურ ბუნებას, მოქალაქეობრივ პათოსს.

ლიტერატურა და ხელოვნება ჩვენი პარტიის მძლავრი იარაღია კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის, პარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებაში. ყრილობამ მოვცა ამ იარაღისადმი სათუთი დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითი, ამასთან მოიხსენია უკომპრომისო ბრძოლა ყოველგვარი ლიტერატურული წუნის, დაბალმხატვრულობის, უიდეობის წინააღმდეგ.

ასეთავე პრინციპული პოზიცია დაიჭირა ამ საკითხში საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობამ. თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად ყრილობამ აღნიშნა ნაკლოვანებებიც: „ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებთან ერთად, რომლებიც განსაზღვრავს ქართული კულტურის საერთო დონესა და მისი განვითარების მთავარ მიმართულებას, ჯერ კიდევ გამოდის ბევრი უფერული საშუალო ნამუშევარი, რომლებიც არ შეესაბამება თანამედროვე მხატვრული შემოქმედების იდეურესთეტიკურ კრიტერიუმებს, მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს, ვერ ასახავს დღევანდელ ცხოვრებას“.

ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ნაკლებ მომთხოვნია, ხშირად გვერდს უვლის მხატვრულ წუნის, ჯერ კიდევ ვერ იქცა ლიტერატურის მაღალიდეურობისა და მაღალმხატვრულობისათვის მებრძოლად.

ახლა, სკვპ 25-ე ყრილობის შემდეგ, როცა პარტიამ, მთელმა ჩვენმა ხალხმა მეათე ხუთწლედი გამოაცხადა ხარისხის ხუთწლედად, მწვავედ დგას ლიტერატურული წუნის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი: ვინც ხალხის სულიერ სიმდიდრეს ქმნის, მას პირველ რიგში მოეთხოვება მაღალი ხარისხი. ჭეშმარიტად მხატვრულმა ნაწარმოებმა უნდა გვაგრძნობინოს კომუნისტური იდეალების ცხოველმყოფელი ძალა და სილამაზე.

ჯემარ ხოვერიძე

ვიქტორი გოგაძეზე

დიალოგი ყრილობის დაღებათთან

საშუალო ტანის, მკვრივად ნაგები, სულდათქმული ახალგაზრდა კაცია, მშვიდი, აუჩქარებელი ლაპარაკი იცის, ერთი შეხედვით სიტყვაძუნწიც კი მოგეჩვენება კაცს; თმა შეჭალარავებია, მისი თაფლისფერი თვალებიდან სითბო და სიკეთე იღვრება.

ასეთია მისი ნაჩქარევი, ერთი შეხედვითი პორტრეტი. მასზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას. ყოველ ადამიანს აქვს თავისი, საკუთარი, ზოგჯერ უბრალო, ზოგჯერ კი მდიდარი და მისაბაძი ბიოგრაფია. ყოველი ბიოგრაფის მიღმა სივრცეა, დროა—გასული თუ წარსული დრო, რომელიც თვალის ერთი გადავლებით არც შეფასდება და არც აიწონება. საქმებან შენმან წარმოგაჩინოსო, ნათქვამია და სწორედ ეს საქმე—წინანდელი, ახლანდელი თუ ის, რომელიც მომავალში გაქვს ჩაფიქრებული, წარმოქმნის სწორედ იმას, რასაც კაცის ბიოგრაფია ჰქვია.

როცა თენიზ დოლიძეს შეეხვდი, ცოდვა გამხელილი ჭობია, გავიცლებ გულში კიდეც: ამ ახალგაზრდა კაცს ისეთი რა წარსული, რა შრომითი ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს, რომ მასზე დავწერო-მეთქი. თურჩე რა მწარედ ვცდებოდი და რა კარგია ასეთი შეცდომა.

და, აი ვზიგართ და ვსაუბრობთ. ვსაუბრობთ და, რატომდაც ჩემდა-უნებურად მახსენდება დიდი ინგლისელი პოეტის ჭორჯ ბაირინის ცნო-

ბილი ლექსის ერთი ადგილი: — „იმდენი რამე გადავიტანე, რომ ხნიერი ვარ საკუთარ თავზე...“

არა, შემთხვევით არ გამხსენებია ეს. სწორედ თენგიზ დოლენიშვილის ზედამოჭრილი: ამ ახალგაზრდა კაცს იმაზე დიდი, გაცილებით ჭრილობულება შინაარსიანი ბიოგრაფია აქვს, ვიდრე მის ასაკს შეეფერება. მდიდარი, ბეგრის მომცველი ბიოგრაფია, ისეთი, კაცს უკან მოხედვისა რომ არ გეშინია, გული არ გწყდება, არ გრცხვენია, როცა ტებილად, ოდნავ ნაღვლიანი ღიმილით, ამაყად, თავდაუხრელად იგონებ შენს განვლილ გზას, რომელიც თამასვით მოქნეული თუ მიხვეულ-მოხვეული სოფლის ბილკებიდან დაიწყო.

როგორც ნაკადული ერთვის მდინარეს, როგორც ბილიკი უერთდება გზას, ისე დაიწყო მისი ნამდვილი ცხოვრება, მისი შრომითი სიცოცხლე... და სწორედ ბილიკიდან დაიწყო..

სწორედ ამის თაობაზე ვეკითხები.

— წარსული?

— დიახ!

— წარსული! — იმეორებს ისევ, ნაჯაფ ხელებს მაგიდაზე აწყობს, შესცემის ერთ ამოჩემებულ წერტილს და სანამ პასუხს გამცემდეს, კარგახანს ფიქრობს.

რა თქმა უნდა, გასახსენებელი, მოსაგონარი ბევრი აქვს თენგიზ დოლიძეს. და რადგანაც ბევრი აქვს, ამდენად, გაგიცირდება ხოლმე კაცს დაწყება. ფიქრობ და ყოველნობ, თუ რა გაიხსენო, რა მოიგონო, რაზე გაამახვილო უფრო მეტად ყურადღება.

— ჩემს ბავშვობაზე დიდხანს არ შევჩერდები და თავს არ მოგაწყენთ, — ამბობს იგი, — დავიბადე ჩიხატაურის რაიონში, სოფელ საშებაში, 1946 წელს მომიკვდა მამა — პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. რა დასამალია და: თუ არ უჭირდა, არც მაინცდამაინც დალხინებული ცხოვრება პქნონდა უკაცოდ დარჩენილ ოჯახს. მერე, რაც მახსოვს, ყველაფერი დედახემი იყო ჩვენთვის — მამაც, დედაც, ერთადერთი მზრუნველი. დღედაღამ შეუსვენებლად შრომობდა, რათა ჩვენ, მის შვილებს უმამობა არ გვეგრძნო, არაფერი დაგვკლებოდა... — წამით სდუმს, თითქოს რაიმეს იხსენებსო და მერე ისევ განაგრძობს დინგად, აუჩქარებლად: — თუ რაზ კარგია ჩემში, თუ რაიმეს ცხოვრებაში მივაღწიო, ამას დედას ვუმაღლი და ამ მხრივ მე დედის ამაგს ვერასოდეს ვერ გადავიხდი.... საბრალო! ახლა ისიც აღარ არის, სამი წლის წინათ მოულოდნელად გარდაცვალა...

— რა გაეწყობა! — ამ სიტყვებით მინდა გამოვხატო ჩემი თანაგრძნობა.

— დიახ, — მაწყვეტინებს იგი, — ეს ბუნების კანონია: მშობლები მიღიან, შვილები რჩებიან, მაგრამ იცი რა არის მთავარი? მთავარი მაინც ერთია — ისე უნდა იცხოვო, არასოდეს დაივიწყო მშობლის ამაგი, არა-

სოდეს ისეთი რამ არ გააკეთო, რომ შენი ცუდი საქციელოს გვიდა
მშობელი ცუდად მოიხსენიონ.

—რა თქმა უნდა! —ვეთანხმები.

შემდეგ ორივენი ვდეუმვართ. ბოლოს კი ისევ მე ვარღვევ მყუდ-
როებას და ვეკითხები: —შემდეგ? შემდეგ რა იყო თენგიზ?

—შემდეგ? შემდეგ ... პო, 1951 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა..
ჩემს სოფელში... გადაწყვეტილი მქონდა სოფელში დავრჩენილიყავი, შე-
მუშავა, დედახემისათვის მდგომარეობა შემემსუბუქებინა... მაგრამ ზო-
გჯერ უბრალო შემთხვევაც კი შეცვლის ხოლმე შენს ბედს. ერთ დღეს
ბათუმიდან ჩამოვიდა ბიძახემი — ვარლამ ულენტი, რომელიც ნავთობგა-
დასამუშავებელ ქარხანაში მუშაობდა. მან მირჩია, თან წავყოლოდი და შა-
სთან, ქარხანში მემუშავა. შევყოყმანდი სულო ცოდვილო, წასვლა მინ-
დოდა, მაგრამ დედახემის მერიდებოდა, დედახემი ყოყმანობდა, ვერ გა-
დაწყვიტა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბიძახემმა ბოლოს მაინც თავისი
გაიტანა...

ასე შეაღო თენგიზმა პირველად ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის
ჭიშკარი და ბიძის რჩევით ზეინკლის პროფესიის შესწავლას შეუდგა.

—გავიჭირდა? —ვეკითხები მე.

—რა? —ვერ გაიგო ჩემი შეკითხვა.

—პროფესიის შესწავლა.

—რა თქმა უნდა, აქ დასამალი არაფერია: სკოლის მერხიდან წარ-
მოებაში მოსულ ახალბედას ყოველთივს უჭირს, რაღაცნაირ შიშს განი-
ცდის ახალი გარემოს მიმართ. ასე ყველა, ასე ვიყავი მეც. მითუმე-
ტეს მე, რომელსაც აქამდე ჩარხი თვალითაც არ მენახა. პირველად რომ
შევხედე, სიმართლე გითხრათ, შემეშინდა და გავივლე კიდეც გულში:
ამაზე როგორ უნდა ვიმუშაო-მეთქი! მაგრამ მერე, თანდათანობით ყვე-
ლაფერს დავეუფლე,

სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მისი პირველი მასწავლე-
ბლები და ოსტატები ხომ ალალი ბიძა ვარლამ ულენტი და გიორგი იაკო-
ვლევი იყვნენ. თენგიზი ახლაც კეთილი სიტყვებით იხსენიებს გიორგი
იაკოვლევს.

—დედახემის შემდეგ ჩემს აღზრდაში, ჩემს კადრის მუშად და ნამ-
დვილ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ბიძახემს,
მან ყველაფერი გააკეთა ჩემთვის და არ შემიძლია ერთი წუთითაც კი მისი
ამაგისა და ღვაწლის დავიწყება. იგი იყო ჩემი მამის მაგიერი. ახლაც კი,
ამდენი წლის შემდეგ, მას ვუსმენ.

რადგანაც ვარლამ ულენტზე ჩამოვარდა საუბარი, ალბათ ძალზე გუ-
ლდასაწყვეტი იქნებოდა რომ ორიოდ სიტყვით მაინც არ მოგვეხსეხებინა
ის ამაგი და ღვაწლი, რომელიც მან თავის მშობლიურ საწარმოს, თავის
ნავთობგადასამუშავებელ ქარხნას დასდო. ორმოცდაექვსი წლის წინათ

დაიწყო მან ქარხანაში მუშაობა, ვინ მოსთვლის რამდენი კალაბა / მუშა
აღზარდა მან ამ დროის განმავლობაში, ვინ მოსთვლის რამდენი ხასკო-
გაზრდას ჩაუნერგა შრომის, პროფესიის სიყვარული. მართალი და უფლებები
ჰქონია მართალი და უფლებები სიყვარული. მართალი და უფლებები სიყვარული
კენიაში განვითარება, ამაში ცხოვრების უფლება ფაქტია. მას სჭირდე-
ბა ქარხანა, ქარხანას სჭირდება იგი და ასე ჯაჭვურად, ასე ერთმანეთის
მხარდამხარ დგანან დღესაც ორი ვეტერანი — ვარლამი და ქარხანა.
ქარხანას კი ნამდვილად სჭირდება მისი მადლიანი ხელი, მისი ცოდნა
და გამოცდილება. უმაღლესი თანჩივის ზენიკალი უბადლო ოსტატია ნავ-
თსაქაჩი დანადგარების დარგში. მის ფსიქიკაზე, მის პროფესიაზე ასაკი
ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს — ჩვეული ენერგიით მსახურობს დღე-
საც, ისე, როგორც, ვთქვათ ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ, პირიქით,
დროთა განმალობაში უფრო ოსტატდება, უფრო სპეციალისტდება თავის
საქმეში. ხშირად, როცა საჭიროებას მოუთხოვთ არ დაზარებია და ღამით,
შუალაშეზე ამდგარა და წასულა იმ დარღვევის აღსაკვეთად, რაც ქარხა-
ნას დრო და გარკვეული თანხა დაუჭდებოდა... დაუფასდა კიდევაც ამაგი,
ახლა ვარლამი ძალიან ამაყობს იმით, რომ ჩვენი სამშობლოს ყველაზე
დიდი ჯილდოს, დიდი ლენინის ორდენის კავალერია.

კიდევ რამდენი ადამიანი ჰყავს გასახსენებელი, მოსახონარი და და-
სასახლებელი თენგიზს, რამდენი კეთილი, გამრჯვ და შრომისმოყვარე,
კაცური კაცი შეხვედრია ცხოვრებაში, რამდენის მაღლობელია და კაცუ-
ფილი, რამდენი ვინმე მიჩნია თავის მასწავლებლად.

ისინი კა მართლაც ბევრი იყვნენ, — სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა
პროფესიის, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, ერთ საქმეს, ერთ შიზანს
კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ, შრომიბლენენ, იღვწოდნენ და
ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ საერთო საქმეში. ისე ეშრო-
მათ, არ გაწითლებულიყვნენ არც საკუთარი სინდისის წინაშე და არც
სხვების თვალში.

—უპირველეს ყოვლისა მათ მე მუშარი სინდისი და პატიოსნება ჩამი-
ნერვებს, —იხსენებს თენგიზი. — მაინც რა არის მუშარი სინდისი და რა არის
ამ სიტყვის მიახლოებითი განსაზღვრება? — ამზე პასუხის გაცემა ერთი
სულის მოთქმით ძნელია. ეს სიტყვა ბევრი რამის დამტევია, ბევრი რა-
მის აღმნიშვნელი... როცა მუშარ სინდისზე, ნამუსზე და პატიოსნებაზე
ვლაპარაკობთ, არ ვიცი კი რატომ და მაინც ყოველთვის ის ხალხი, ის
მუშები დამიღვება თვალშინ, რომელთა შესახებ ერთ დროს ისტორიის
სახელმძღვანელოში, სხვა წიგნებში, გაზეთებში ვკითხულობდი. ვინ იყ-
ვნენ ისინი? უბრალო, ხელებდაკვირილი მუშები, რომლებიც რევოლუ-
ციურ პეტროგრადსა თუ მოსკოვში, პეტრიასა თუ ვლადიმირში ახალ
ცხოვრებას სცედდნენ... შიოდნათ და დაზგასთან იდგნენ, სციოდათ და
პროდუქციას ჰქონიდნენ, უჭირდათ მაგრამ კბილ კბილზე აჭერდნენ,

უძლებდნენ და ბოლომდე იდგნენ, მუშაობდნენ და იცოდნენ, იმსათვის კი არ მუშაობდნენ, რომ ფული აელოთ და მერე იმ ფულზე მორჩილდე ეჭამათ, არა! ეს უფრო დიდი რამ იყო, უფრო რთული უფასუფლო ძნელად გასაშიტრი, მათ მხოლოდ ერთი რამ იცოდნენ — სამშენებლების ხოვდა, პარტია ითხოვდა, ახალი წყობილება, პროლეტარიატის დიქტატურა ითხოვდა ამას, რისი სინდისი და ნამუში თავად იყვნენ... სწორედ მათმა დაკოურილმა, ზეთითა და მაზუთით გათითხნილმა გამრჩე ხელებმა ჩაუყარეს ბალვარი ჩვენს ახალ ცხოვრებას, ჩვენს დღევანდელობასა და ხვალინდელ ნათელ მერმისს...

არა, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ — მე, ჩემი თაობის ახალგაზრდებმა, ყველამ და ყველამ, ათეულ და ასეულ ათასებმა, ვინაც კი დღეს დაზგასთან თუ მანქანა-დანადგარებთან შრომობენ, უნდა იფიქროს ამაზე, მუშურ სინდისზე უნდა იფიქრონ, მუშურ პატიოსნებაზე, უახგარობაზე უნდა იფიქრონ.

...უნდა იფიქრონ, აუცილებლად უნდა იფიქრონ! სხვანაირად ხომ წარმოუდგენელია? სავსებით ვეთანხმები თენგიზს... აქ არ შეიძლება არ გავიხსენ ერთი ამბავი, რომლის მონაწილეც მე ვიყავი ამ რამდენიმე წლის წინათ და რომელმაც ღრმა კვალი დასტოვა ჩემს მეხსიერებაში. ჰო, ქარხანაში ჩემი მიზვლის მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ერთ-ერთი გაზეთისათვის ნარკევე დამეწერა ქარხნის მოწინავე კომკავშირელებზე. ერთ-ერთ სამქროში შევედი. ჩვეულებრივი, თანამედროვე სამქრო იყო, ვეებერთელა დაზგა-დანადგარებით, დამახასიათებელი რიტუალი ხმაურით. უმეტესობა ახალგაზრდობა იყო, კომკავშირელები, ზეთით დალაქავებული ლურჯი კომბინეზონები ეცვათ.

სამქროს უფროსს — შუანთობას მიტანებულ, ჭალარა, სიმპათიური გარეგნობის კაცს ვთხოვე დაესახელებინა მოწინავენი. მან სულ რამდენიმე კაცი დამისახელა თვითეულ მათვანს ქარხანაში მუშაობის სულ რაღაც ხუთი-ექვსი წლის სტაცი ჰქონდა.

— ისე, ახალგაზრდობა ბლომად გყოლიათ! — ვუთხარი სხვათაშორის, როცა ყველაფერი ჩავიწერე.

მოხრილი საჩვენებელი თითით მოიფხანა შუბლი, ირონიულად ჩაიცინა და მომიგო:

— კი, მოგვცა სიკეთე, გვყავს, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაამთავრა, ამარილა თვალი და სადღაც გაიხედა, მივხვდი, მის ჩაცინებაში და დაუმთავრებელ „მაგრამში“ რაღაც დაფარული აზრი იმაღლებოდა, და ჩავეძი:

— რა მაგრამ, ახალგაზრდები არ გიყვარს?

— მიყვარს?! — გავვირვებული მჩერა მომაპყრო, — მიყვარს, რა სათქმელია? ძალიან მიყვარს, მაგრამ...

— კიდევ მაგრამ ...

მან თითი გაიშვირა და თქვა: —უმეტესობა აქ დროებითაა.
—დროებით? —ვერ გავიგე მე.



— ჰო, დროებით!

მხრები ავიჩეჩე, რაც ვერ გავიგე ვერ გავიგე და მომკალა მომკალა
—ფრენიებია ესენი! —ბოლოს როგორც იქნა, დამიზუსტა მან,
—ა იქნებიან კადრის მუშები, თვალი გაქცევაზე უჭირავთ, სტაუისათ-
ვის მუშაობენ, წაიმუშავებენ ერთ-ორ წელიწადს, იჯახირებენ, იჩალიჩე-
ბენ და მერე, როცა პროფესიას შევასწავლით, დაკრავენ ფეხს და გარბი-
ან —ზოგი ინსტიტუტში, ზოგი სხვა, უფრო იოლ, სართიან სამუშაოზე!
ჩვენ კი ეს ძვირი გვიჯდება.

— მერე და რატომ ღებულობთ სამუშაოზე, თუ ეს ასეა? — ვკითხე
მე.

— რა ვქნათ, როცა გვიჭირს?

— ჰო!

იმ საამქროს უფროსის გულისტყივილი გასაგები გახდა ჩემთვის.
თავად მას, იმ საამქროს უფროსს ჭიპი ქარხანაზე ჰქონდა მიჭრილი და
ბარე ხუთ პროფესიას ფლობდა.

— როგორ მიგაჩნიათ თქვენ ეს? — ვეკითხები თენგიზს.

— სწორედ მაგაშია მუშური სინდისის ერთ-ერთი თვისება, შეუბ-
ნება მცირე ჩაფიქრების შემდეგ, მეუბნება ოდნავ ცხარედ, აღელვებით,
— ეს ფრენიები და დროებითი ხალხი მართლაც რომ უბედურებაა, მაგ-
რამ საბერნიეროდ ასეთები მცირე გამონაკლის შეადგენს. ახალგაზ-
რდების უმეტესობა ხომ შრომისმოყარება. ახალბედას კადრის მუშად,
პროფესიონალად გადაქცევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ვინც ქარხა-
ნაში პირველად მოსულ ახალგაზრდას ხვდება: — ესე იგი, იმ ოსტატს, რო-
მელიც მას ასწავლის. მას შეუძლია დააინტერესოს, შეაყვაროს ის საქმე,
რასაც თავად აკეთებს და რაც მომავალში მისმა შეგირდმა უნდა გააკე-
თოს... მე ახლა არ შემიძლია ვთქვა, თუ როგორი ვიქნებოდი, თუ არა
ის პირველი ოსტატები, ჩემი პირველი მასწავლებლები. მეც მინდა ვიყო
ისეთი.

— რას ასწავლით თქვენ მათ, თქვენს მოსწავლეებს? — ვეკითხები
მე.

— ვასწავლი იმას, რაც აუცილებელია, მაგრამ...

თითქოს რაიმეს იხსენებსო, პაუზას აკეთებს, სანამ რაიმეს იტყოდეს,
სდუმს, მერე დინგად განაგრძობს..

— მგონი, გადავუხვიე... ჩვენ ხომ ჯერ თქვენს პირველ ნაბიჯებზე
უნდა გვესაუბრა.

— ჰო, პირველ ნაბიჯებზე! ჩა შემიძლია ვთქვა ჩემს პირველ ნაბი-
ჯებზე? როგორც გითხარით, მიჭირდა პირველად, მაგრამ მერე თანდათან
დავეუფლე საქმეს, ზეინკლის პროფესიას. 1955 წლამდე ზეინკლად ვიძუ-

შავე მეშვიდე საამქროში. უკვე მეხუთე თანრიგის ზეინკალდ ვიყვაჩა და, ასე ვთქვათ, სხვის შეუკითხავად შემეძლო ამა თუ იმ როულო საჭელის გადაწყვეტა, მაგრამ მაინც ვეკითხებოდი უფროსებს და ისჭიაჭველოვნები. არა, ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ ჩემი თავისა არ მჯეროდა! მჯეროდა, როგორ არ მჯეროდა, მაგრამ უფრო ჩემი მასწავლებლებისა მჯეროდა და ისიც ვიცოდი, შეკითხვა საქმეს არ წაახდენდა.

თენგიზისთანა ახალბედები კიდევ ბევრი იყვნენ მაშინ ქარხანაში. არ შეიძლება ერთი წუთით მაინც თვალი არ გადაავლოთ ისტორიას, იმ ქარხნის ისტორიას, სადაც თენგიზი და მისი თანამოსაქმეები შრომობებს. ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა — პირველი ხუთწლედის პირმშო, სრულიად ახალი რამ ჩვენი ქალაქისათვის, აჭარისათვის, მთელი საქართველოსათვის!

დაიწყეს კი არაფრისავან... შრომატევადი, გრანდიოზული საბუშაოები იყო ჩასატარებელი. ტექნიკა კი... თონი, ბარი, წერაქვი, ნიჩაბი და ურო! აი, ეს იყო მთელი ტექნიკა, ყველაზე მარტივი, მაგრამ ამავე დროს ყველაზე ცნობილი და ახლობელი ყოველი გლეხისათვის.

სწორედ ისინი, თენგიზისთანა სოფლიდან ჩამოსული გლეხის ბიჭები აშენებდნენ ქარხანას, ისინი უყრიდნენ საფუძველს ახალ ცხოვრებას. უჭირდათ და უძლებდნენ, ხელის ზურგით იწრეტდნენ შუბლზე გადახვითქილ ოფლს. თანდათანობით ოსტატდებოდნენ ყოველდღიურ შრომაში.

როცა თენგიზ დოლიძემ პირველად შეაღო ქარხნის ჭიშკარი, სწორედ ისინი, გუშინდელი გლეხის ბიჭები უკვე კადრის მუშები იყვნენ — გამოცდილი, ბევრის მნახველი მუშები. ისინი იყვნენ თენგიზის პირველი მასწავლებლები, დამრიგებლები და მაგალითის მიმცემნი.

— არა, ისინი ნამდვილი მშრომელი ადამიანები იყვნენ, — რაღაცხა-ირი ისხაზის გამომხატველი ღიმილით ამბობს თენგიზი, — მათგან ბევრს ისწავლიდა კაცი, მე, პირადად დიდად ვარ დავალებული...

— სად არიან ახლა ისინი? — ვეკითხები თენგიზს.

— ისინი? ისინი ყველაზნ არიან! — მპასუხობს იგი, — ზოგი კარგაზანია პენსიონერია და ისვენებს, ჯანმრთელობა არ აძლევს მუშაობის სამუალებას, ზოგი ისევ მუშაობს, ვერ ულევა საქმეს... სხვანაირად არც შეიძლება იყოს, დიახ, არც შეიძლება...

იმ დროისათვის, როცა თენგიზი მენავთობე გახდა, ქარხანას კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი განსაცდელი ჰქონდა გამოვლილი. ომი მოულოდნელად შეიკრა ქარხნის ცხოვრებაში და ააფორიაქ. ბევრმა კადრის მუშამ დროებით დასთმო საყვარელი საქმე, იარაღი აისხა. უძე-ტესობა კომუნისტები იყვნენ — ნამდვილი, მტკიცე კომუნისტები! ხოლო ისინი, რომლებიც ქარხანაში დარჩენენ, ორმაგი მონადომებითა და ენთუზიზამით იღვწოდნენ. მათ ომში წასული ამხანაგებიც შეცვალეს. სამშობლო ითხოვდა, ქვეყანა განსაცდელში იყო, პარტიას სკირდებოდა..

რა თქმა უნდა, მოწინავეთა პირველ რიგებში, შრომით ავანგარდში კომუნისტები იყვნენ. ისინი ახდენდნენ შრომითს სასწაულებს. მდლავრ რაზმად, ერთ მონოლითურ კოლექტივად შეკრული, ფურცელში დნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ საერთო საქმეში — მტრის გენერალურების საქმეში. უჭირდათ და იტანდნენ, სციოლათ, შიოდათ, მაგრამ მაინც მტკიცედ იდგნენ შრომის ვაჭრულება.

ვარლამ ულენტან — სადაც თენგიზი ცხოვრობდა, ხშირად იყრიდნენ თავს ქარხნის ცნობილი ვეტერანი კომუნისტები — იყავი ხარებავა, ვალიკო პატარაია, კარლო დარჩია და სხვები.

— მათი საუბრისათვის ყურისგდება ძალიან მიყვარდა, — იხსეხებს, თენგიზი. — მათი ყოველდღიური საუბრიდან ბევრი რამ გავიგე, ბევრ რამეს ჩავწერდი, ბევრი რამ შევითვისე და შევისისხლორცე. ისინი ისე მსჯელობდნენ, ისე ცხარობდნენ, ისე კამათობდნენ და ისე დაობდნენ. ისე ხმისად ახსენებდნენ: „ჩვენი ქარხანა“, „ჩვენი სააქტორ“, რომ მაშინ, სიმართლე გითხრათ, ვერ ჩავწერდი იმ დაფარულ აზრს, რაც იმ საუბრებში იმაღლებოდა, ისინი კი... — ისინი ისე კამათობდნენ, თითქოს და ქარხანა მაიმაღლებოდა, ისინი კი... — ისინი ისე გამათობდნენ, როთი საჯუთრება ყოფილიყო. მერე, მხოლოდ შემდეგში დავრწმუნდი, რომ ეს ასე იყო. დიახ. ასეა ეს! ეს ჩვენია, ჩვენი ქარხანა, იმისია, ვინაც შრომბს, ვინაც იღვწის, ვისაც თავისი წვლილი შეაქეს საერთო საქმეში. დიახ, ქარხანა ჩვენია, მუშებისაა იგი. ჩვენ ხომ მისი მართვა სამშობლომ. მოგვანდო, პარტიამ მოგვანდო და დაგვავალო.

ვეტერანები ეძიებდნენ იმ გზებსა და საშუალებებს, რომლითაც უკეთ შეიძლებოდა შრომა, უფრო მეტის მიღწევა. და თენგიზი თანდათახობით რწმუნდებოდა, რომ მან ცხოვრების სწორი გზა აირჩია. თენგიზმა კარგად იცოდა, რომ სწორედ მათ — ვეტერანებმა ჩაუყარეს საფუძველი ჩვენს ინდუსტრიას, ჩვენს ახალ ცხოვრებას... და ისინი, ის ახალგაზრდები, რომ დღიც ახლა წარმატებით შრომობენ გრანდიოზულ მშენებლობებზე, სწორედ მათი, ვეტერანთა დაწყებული საქმის ბრწყინვალე გამგრძელებები და დამაგვირგვინებელნი არიან.

— მე ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორო უკვე ნათქვამი, — ჩვეული სიღინჯით განაგრძობს თენგიზი, — მართალი არ არის ის სამქროს უფროსი, მისი აზრი ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ მცდარია! იცით, არიან როსი, მისი აზრი ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ მცდარია! იცით, არიან ახალგაზრდოვის განვითარებით გრანდიოზულ მშენებლობებზე, სწორედ მათი, ვეტერანთა დაწყებული საქმის ბრწყინვალე გამგრძელებები და დამაგვირგვინებელნი არიან.

ქმელს. პო, ვეტერანებზე ვსაუბრობდით, ახალგაზრდობაზე კი შევჩერდათ. თუმცა, ამაშიაც თავისებური კანონზომიერებაა. მაგრამ, მაინც სჯობზე და-
ლაგებულად ვთქვათ სათქმელი.

სწორედ მათი, ვეტერანთა მიბაძვით შევიდა თენგიზი პარტიის რიგე-
ბში, ის დრო მისთვის ძალზე ღირსშესანიშნავი და მოლოდინით აღსავსე
იყო. ეს იყო 1961 წელი. ის დღე არასოდეს დაავიწყდება თენგიზს. პარ-
ტიაში მას რეკომენდაცია ისეთმა ადამიანებმა მისცეს, როგორებიც ვა-
ლიყო პატარია და კარლო დარჩია არიან.

— მათი ნდობა დიდი პატივი იყო ჩემთვის და ვიცოდი, ეს საქმით,
შრომით და კარგი ქცევით უნდა დამემსახურებინა. რამდენად გავაკეთე ეს,
არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი დანამდვილებით, რომ ისინი — ჩემი რეკო-
მენდატორები და საერთოდ, ჩემი ვეტერანი მასწავლებლები, ჩემით არ
არიან უკმაყოფილონი.

რამდენი წელია რაც თენგიზი ქარხანაში მუშაობს? — 1951 წლიდან.
საუკუნის მეოთხედი გავიდა. ეს ძალზე დიდი დროა და ამავე დროს ძა-
ლზე პატარაც. როცა თვალს გადავლებ წარსულს, ალბათ, რაღაცხაირი
სინანული გიბყრობს ადამიანს — ესაა სინანული უკმარობის გრძნობისა,
იმ გრძნობისა, როცა ფიქრობ, რომ შეგეძლო უფრო უკეთ, უფრო შიხა-
არსიანად, უფრო მომჰირნედ და ეკონომიურად გამოგეყენებინა განვლილი
დრო, უფრო მეტი გაგეკეთებინა შენი თავისათვის, საერთო საქმისათვის,
იმ საქმისათვის, რომელსაც შენ ემსახურები, სინდისიერად ემსახურები.
ეს უკმარობის გრძნობა თენგიზსაც აწუხებს.

— როგორ? — ვეკითხები, — შეგეძლო უფრო უკეთ გემუშავა? უფ-
რო მეტი გაგეკეთებინა და უფრო მეტისათვის მიგეღწია?

სანამ პასუხს გამცემდეს, ფიქრობს და შერე მტკიცედ და დაბეჭითე-
ბით ამბობს: — დიახ, შემეძლო!

— მერე?

— მერე რა, წარსულს ხომ ვერაფრით დაიბრუნებ, ვერასდიდებით
ვერ გამოიხმობ უკან...

— აბა?

— აბა და, ისღა დამრჩენია რომ აწი, მომავალში ავანაზღაურო ეს.

— თქვენ!...

— ავანაზღაურებ, აუცილებლად ავანაზღაურებ.

არ შეიძლება არ დავუჭეროთ.

ზუთი წელი იმუშავა თენგიზ დოლიძემ ზეინკლად მეშვიდე საამჭრო-
ში, შემდეგ კი ოპერატორად დაიწყო მუშაობა.

მუშაობდა აქ, დაწყო იქ, მორჩა და გათავდა. ზოგიერთი საქმეში
ჩაუხედავი კაცი ასე ზერელედ შეხედავს ამას, მაგრამ ეს ასე რო-
დია. ყოველ საქმეს თავისი ამოსავალი წერტილი და საკუთარი არსი აქეს
და ხშირად, ძალზე ხშირად ერთი პროფილის ზედმიწევნით მცოდნე, მე-

ორე, თუნდაც ასესძითად მომიჯნავე საქმეს ვერაფრით ვერ გააკეთებს. ასე იყო თენგიზთანაც და ზეინქლიდან პერატორობამდე განვლოლო მას შრომით, ძიებით, მონდომებით, დაბრკოლებების გადალახვის სულიერი მართვა აღსილი გზა იყო. მოინდომა, შეეცადა, დაექმარნენ, დაუკერდებული ფლა კიდევ.

— მაინც რამ განაპირობა პროფესიის შეცვლა?

— ეს თითქმის არაა პროფესიის შეცვლა! — მიხსნის თენგიზი.

— აბა?

— საქმე იმაშია, რომ ყოველმა ოპერატორმა კარგად უნდა იცოდეს ზეინქლობა, სხვანაირად წარმოუდგენელია ჩვენთან, და სერთოდ ყველა გან; ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში ოპერატორად არასდიდებით არ დანიშნავენ ისეთ ადამიანს, რომელსაც მესამე თანრიგის ზეინქლის პროფესია არ გააჩნია.

— ნუთუ ეს ასე აუცილებელია?

— რა თქმა უნდა, — მიმტკიცებს იგი, — ეს აუცილებელია!

მაინც ვინ ურჩია თენგიზს დაუფლებოდა ოპერატორის პროფესიას?

— ისევ და ისევ ვეტერანებმა და უპირველეს ყოვლისა, მისმა ბიძამ, ვარლამ ულენტმა.

— მაინც რატომ?

— იმიტომ, რომ ოპერატორობა უფრო რთულია! — მპასუხობს იგი.

— მხოლოდ იმიტომ რომ რთულია?

— დიახ, იმიტომ და იმიტომ, რომ უფრო პერსპექტიულია, უფრო მეტის ცოდნას გავალებს და გაიძულებს საკუთარ თავზე იმუშაო.

თითქმის ყოველ ქარხანაში, ყოველ ფაბრიკაში არიან თავიანთი საქმის პროფესიონალები. არა, სიტყვა პროფესიონალი ბოლომდე და სავსებით ვერ განმარტავს ამას და ასეთ დროს მათ უბრალოდ „ასებს“ ეძახიან. ასეთები, რა თქმა უნდა, ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაშიც არიან. როცა საუბარი ჩამოვარდა იმაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი, რომლებიც გვერდში ედგნენ თენგიზ დოლიძეს ქარხანაში მისი ხანგრძლივი მუშაობისას, იგი უპირველეს ყოვლისა ივანე კოლესიჩენკოს დაგისახელებთ. ივანე ხომ თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე და შემსრულებელია. თოთქმის ბავშვი მოვიდა ქარხანაში. ჯერ კიდევ სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა, როცა ნავთობბაზაში მოხვდა: დაიწყო დიდი სამამულო ომი, საჭირო იყო მუშახელი, რომელსაც ფრონტზე წასული მენავთობები უნდა შეეცვალა... მერე ფრონტზე წასვლა ითხოვა ივანემ, მისი თხოვნა დააგმაყილეს და ახალგაზრდა, ახალბედა მენავთობე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. გადაიწვიმეს ომის მძიმე წლებმა, ივანე მშობლიურ ქარხანას დაუბრუნდა და ჩვეული მონდომებით მოეკიდა საქმეს. ახლა ივანეს მთელი ოჯახი — მეულე და შვილები ქარხანაში მუშავდა.

ობენ, ქარხნის სხვადასხვა უბნებზე იღვწიან და კეთილსინდისიერი მოწინავენი შემთ თავიანთი წვლილი შეაქვთ ქარხნის წარმატებაში.

— რაკი საუბარი მოწინავეებზე, გამოცდილ მუშებზე ჩერებული გთხოვთ დაასახელოთ ისინი.

— ჩვენთან ყველა მოწინავეა!

— მაინც?

— ჰო, შემიძლია დავასახელო ზოგიერთი მათგანი, მოწინავენი მოწინავეთა შორის: ეთერ ჩორგოლაშვილი, არიადნა ჩხივაძე, დავით ფხავაძე, ალექსანდრე ანდლულაძე და სხვები და სხვები... ისე კი, კიდევ ერთხელ მინდა დავსძინო, რომ ჩვენთან ყველა მოწინავეა.

იცოდე მარტო შენ, ეს როდია საქმარისი. არა, შენც უნდა იცოდე და ამავე დროს, საჭიროა შენი ცოდნა, შენი გამოცდილება უანგაროდ გადასცე სხვებს, ასწავლი, აუხსნა, დაარწმუნო და დააჯერო. ეს კეშმარიტება კარგად იცის თენგიზშა. თავადაც სწავლობს და სხვებსაც ასწავლის. ბევრი მოსწავლე აღუზრდია თენგიზს, ბევრისათვის ჩაუნერგავს შრომის სიყვარული. აი, ერთ-ერთი მათგანი: ანზორ ჯინჭარაძე, მახინჯაურელი შფრინავის შვილი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ნავთობგადასამუშავებელ ქარხნაში მოვიდა. საჭირო იყო კადრი - სასაქონლო განყოფილებაში. პირველად მასაც ისევე უჭირდა, როგორც ყველა ახალბედას უჭირს ხოლმე. მაგრამ გვერდით ისეთი გამოცდილი, ენერგიული და გულისხმიერი მასწავლებელი ედგა, როგორიც თენგიზ დოლიძეა და მალე დაძლია სიძნელე, დაეუფლა პროფესიას. ახლა იგი ერთ-ერთ მოწინავე ოპერატორად ითვლება ქარხნაში.

— იგი ჩვენი შემცველელი! — ამბობენ მასზე თენგიზი და ივახე. და თუ კაცი კარგად ჩაუკვირდება, ეს სწორიცაა. ხშირად ნახავთ ახლა ერთად ორი თაობის კომუნისტებს, ორი თაობის მენავთობებებს, ყოფილ შასწავლებელსა და ყოფილ მოსწავლეს — თენგიზ დოლიძესა და ანზორ ჯინჭარაძეს. მსჯელობენ ქარხნის ავკარგზე, მომავალზე, სახვენ ახალ პერსპექტიულ გეგმებს, იღვწიან საერთო საქმისათვის. თენგიზს მოსწონს თავისი ნამოწაფარის აქტიურობა, პირდაპირობა, საქმისადმი ნამდვილი, კომუნისტური, მუშური მიღვომა, მოწონებით უთაოუნებს ხელს შხარზე, გადაწყვეტილებას უწონებს და ეუბნება: — ასე, ასე ჩემო ანზორ! ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ჩვენ ყველაფერს მივაღწევთ...

— მგონი რაღაც გინდოდათ გეკითხათ, — მეუბნება თენგიზი.

— სჯობს, რიგრიგობით მივყვეთ საქმეს... წელან თქვენს ყოფილ მოსწავლეზე ვისაუბრეთ...

— ახლა კი გინდათ გაიგოთ მყავს თუ არა მოსწავლეები?

— დიახ, სწორედ ეს მინდოდა გამეგო.

— მყავს, მყავს და სიმართლე გითხრათ, კმაყოფილი ვარ მათი. ისინი სამნი არიან... მაგრამ სჯობს რიგრიგობით დავსახელო და ორიოდ სიტყ-

ვით გაგაცნოთ ისინი. ამირან კვაჭაძე საამქროს კომევშირის ორგანიზაციის მდივნის მოადგილეა; ნუგზარ ასლანიშვილი ერთმანეთს ჩინებულ დუთავესებს შრომასა და სწავლას, იგი მუშა ხალგაზრდობის კუთხებში სკოლაში სწავლობს; ელენე თათეოსიანიც ასევე ბეჭითი ასტრონომია. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან შრომასა და სწავლაში და წარმატებებსაც აღწევენ.

თენგიზიც ყოველდღიურად სწავლობს, იმაღლებს ცოდნას, თავისუფალ დროს სულ წიგნებს ჩაპირიტებს, გამოწერილი აქვს ტექნიკური ლიტერატურა, ხშირად ნახავთ ბიბლიოთეკაში... დიახ! კითხულობს, ადგენს, აკონსპექტებს, იბეჭდავს გონებაში და მერე წაკითხულს პრაქტიკულად ანხორციელებს. მას ეშინია, ძალიან ეშინია დროს არ ჩამორჩეს, სხვა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების მოწინავე ოპერატორებს არ ჩამორჩეს. რომ გააკეთო, საფუძვლიანად უნდა დაეუფლო, რომ დაეუფლო კი — უნდა ისწავლო! — ესაა მისი დევიზი და თენგიზ დოლიძეს ჯერ არასოდეს არ უღალატია ამ დევიზისათვის.

მაინც რა შეადგენს თენგიზის, ესე იგი უფროსი ოპერატორის შოვალეობას ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში? როგორია ეს შოვალეობა — ადვილი თუ ძნელი?

ჯერ, სანამ ამ კითხვაზე საფუძვლიან, დამაჯერებელ პასუხს გავცემდეთ, ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ წინასწარ: აქ თითოეულ უბანში, თითოეულ მონაკვეთზე მუშაობა ძნელი და პასუხსაგებია, რთული და შრომატევადია და ყოველი მუშისა თუ ოსტატისაგან დიდ დაკვირვებასა და გამოცდილებას მოითხოვს.

მაგრამ ის სამუშაო, რასაც თენგიზი ასრულებს, განსაკუთრებით ძნელია — აქ არ შეიძლება შეცდე! დიახ, შეცდომა აქ წარმოუდგეხელია! ოპერატორის შეცდომა იმას ნიშნავს, რომ დაღუპო ქარხნის სახელი, პრესტიჟი და წყალში გადაყარლ ათასობით სახალო ფული, ეს კი არავის არ ეპატიება.

სასაქონლო განყოფილების ოპერატორი! მეორენაირად ამ საამქროს ნედლეულისა და მზა პროდუქციის საამქრო ჰქვია. ნედლეული და მზა პროდუქცია... რამდენი მენავთობის შრომა იგულისხმება ამ ორ სიტყვაში, რა შრომატევადი საქმეა ამ ორ სიტყვას შორის მოქცეული და შეხ, ოპერატორს შეგიძლია ერთი ხელის მოსმით დაღუპო ხარისხიცა და ეს შრომაც.

ოპერატორმა უნდა მიიღოს ნედლეული, უნდა აიღოს სინჯი, უნდა შეამოწმოს მისხალ-მისხალ, ასევე უნდა შეამოწმოს მზა პროდუქციის ხარისხი, რაოდენობა, უნდა ამოწეროს პასპორტი და მისცეს ვიზა. ვიზა კი... სად არ მიიღოს ჩვენი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ნაწარმი, რომელ ქვეყანაში არ იგზავნება იგი. ჯერჯერობით კი არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოდესმე რეკლამაცია მიეღოს ქარხანას. ეს კი თენგიზის დამსახურებაცაა.

- გქონდათ თუ არა რაციონალიზატორული წინადაღება?
- ხები თენგიზს.
- დიახ, მქონდა!
- დაინერგა წარმოებაში?
- დაინერგა.
- რა იყო ეს?

— იცით, როცა სინჯს ვიღებდით, ტყუილუბრალოდ იღვრებოდა წელლეული, ეს კი დროთა განმავლობაში ტონობით დანაკარგს იძლეოდა. ჩემი წინადაღებით იმ ადგილას, სადაც სინჯს ვიღებთ, დაიღგა რეზერვუარი, რომელშიაც ნავთობი ჩაედინება. ამით დანაკარგი მინიმუმამდე დავიდა.

ასეთია თვალის ერთი გადავლებით ის მოვალეობა, რომელიც ქარხანაში ოპერატორს აკისრია, მაგრამ იგი გაცილებით უფრო რთული, შრომატევადი და პასუხსავებია, ვიდრე ეს სიტყვებით შეიძლება გამოიხატოს.

— მე ძალიან ძვირად მიღირს ის ნდობა, რომელიც ჩემმა თანამხმაშემებმა — მენავთობებებმა გამომიცხადეს და მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რათა გავამართლო ეს ნდობა, არ შევრცხვე მათ წინაშე, საკუთარი თავის წინაშე! — მეუბნება თენგიზი.

საზოგადოებრივი დატვირთვაცა აქვს თენგიზს. იგი უკვე ექვსი თვეა, რაც ქარხნის საბინაო და საყოფაცხოვრებო საკითხების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეა. ამ ხნის განმავლობაში კომისიამ ბევრი კარგი საქმე გააკეთა, ბევრ მუშა-მოსამსახურეს გაუუმჯობესა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

— რაოგანაც საბინაო პირობებზეა ლაპარაკი, ალბათ, ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები გექნებათ, არა? — ვეკითხები თენგიზს.

— როგორ არა, პრობლემები არის! ეს საერთოდ ისეთი საკითხია, არის და იქნება, მაგრამ შეძლებისდაგვარად ყველაფერი მოგვარდება დროთა განმავლობაში.

- ერთბაშად ყველას დაკმაყოფილება არ მოხერხდება...
- დიახ, რა თქმა უნდა, არა! — მეთანხმება იგი.
- რა საქმიან წინადაღებას აყენებს თქვენი კომისია?
- ჩვენთან, მუშას, რომელსაც ქარხანაში მუშაობის ხუთი წლის სტაჟი აქვს, თუ ის უბინაოა, ცხოვრობს ნაქირავებში, ანდა მრავალსულიანია და საცხოვრებელი ფართი არ ყოფნის, შეუძლია კომისიის სახელზე შემოიტანოს განცხადება, ჩვენ ავიყვანო მას აღრიცხვაზე და...
- და შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილებთ, არა?
- დიახ, შეძლებისდაგვარად...
- და მაინც რა კეთდება ამ მხრივ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— მაგალითად, ამის შესახებ ყრილობის დღეებში მქონდა საუბარი ჩვენს შინისტრთან.

— თქვენს მინისტრთან?

— ჰო, სსრ კავშირის ნავთობგადასამუშავებელი და ქიმიურიაზონურია ველობის მინისტრთან ამხ. ფილდოროვთან. მან მომისმინა და შევვირდა, რომ დაგვეხმარებოდა მენავთობეთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში.

და აი, ჩვენ ოცდამეხუთე ყრილობის შესახებ ვსაუბრობთ.

ადამიანის ენა უძლურია გადმოსცეს ის შთაბეჭდილებანი, რითაც თენგიზი დაბრუნდა დიდი ფორუმიდან.

— გთხოვთ დაწვრილებით მოგვიყვეთ თქვენი შთაბეჭდილებანი.

— მაგისი დაწვრილებით მოყოლა თითქმის შეუძლებელია, — მპასუხობს იგი, — მაგრამ შევეცდები ზოგადად მაინც ვთქვა, ის მთავარი რისი უთქმელობაც არ შემიძლია პირადად... დელეგატები აჭარიდან ჯერ თბილისში ჩავედით და მოვთავსდით სასტუმრო „ივერიაში“. დღის თორმეტ საათზე გამოვცხადდით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სალამოთი უამრავმა გამცილებელმა მოიყარა თავი თბილისის ვაგზალში. პიონერებმა მოვგაროვეს ცოცხალი კუავილების თაიგულები, საქეიმოდ ულერდა ორკესტრი. გამცილებელთა შეძახილებსა და ტაშის გრიალში დაიძრა მატარებელი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვისა-კენ. ჩემთან ერთად მგზავრობდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ამწყობი ჟეინერალი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბორის ვაშაკიძე. გზაში მე და ბორისი დავმეგობრდით. იგი თავის საქმიანობაზე მომიყვა, მე კი ჩვენი ქარხნის ოპერატორის მოვალეობაზე ვუამბდე...

მოსკოვში 21 თებერვალს ჩავედით. კურსკის სადგური საზეიმოდ იყო მორთული. სადგურის მთელ ფასადს აშვენებდა ალისფერი ტრანსპარანტი: „სალამი სკპ 25-ე ყრილობის დელეგატებს!“

შემდეგ სპეციალური ავტომანქანებით სასტუმრო „როსიაში“ შევდით, დაგვაბინავეს მის ჩრდილო კორპუსში, სადაც აზერბაიჯანელ, უკრაინელ, ლატვიელ და ესტონელ დელეგატებთან ერთად ვცხოვრობდით. სასტუმროში ცოტა დავისვენეთ და შემდეგ მთელი დელეგაცია კრეშლში გაეშურა.

თითქოს სათქმელი შემოაკლდაო, თენგიზი სდუმს, ალბათ რაიძეს იხსენებს-მეთქი, ვფიქრობ და არ ვუშლი ხელს.

— ასე მოვხვდი პირველად კრემლში, — განაგრძობს თენგიზი, — ძალიან გამაოცა მისმა სილამაზემ და გრანდიოზულობამ. დიდებულ გიორგის დარბაზში გავიარეთ რეგისტრაცია. ყრილობის დაწყებამდე თავი-სუფალი დღეები გვქონდა და ისინი მოსკოვის გაცნობას მოვანდომეთ.

სასტუმრო „როსიადან“ წითელ მოედნამდე სულ რაღაც ხუთიოდე

წუთის სავალია, მაგრამ მე, ცხადია მოსკოვში ჩასვლის პირველსაც დღეს
მანც იქეთკენ გავეშურებოდი, თუნდაც ამისათვის ამ უზარმატებების
ლაქის გადაკვეთაც რომ დამჭირვებოდა.

ვიდექი წითელ მოედანზე და რაღაცნაირი, ჯერგანუცდელი ვრძნობა
მეუფლებოდა. აქ ხომ მთელი არსებით, მთელი სიცხადით, მთელი ძალით
განიცდი, რომ დიადი საბჭოთა ქვეყნის, უდიდესი რევოლუციური, საბ-
რძოლო და შრომითი ტრადიციების ქვეყნის შვილი ხარ. გრძნობ ამას,
რძოლო და გინდა უსაზღვრო მაღლიერება გამოხატო პარტიული ამ-
ხვდები ამას და გინდა უსაზღვრო მაღლიერება გამოხატო პარტიული ამ-
ხანაგებისაღმი ასეთი დიდი ნდობის გამოცხადებისათვის. ამ მოედანზეა
ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის, ყოველი პატიოსანი მშრომელისათვის
ძირითასი ლენინის მავზოლეუმი, რომლისაკენაც მუდამ, ყოველთვის ძი-
გიშვეს გულ...

დიხად, დალაგებით ყვება თენგიზი. ვუსმენ. მერე ისევ დუშილი და
იძულებული ვხდები შევხსენო:

— მერე? მერე რა იყო, თენგიზ?

— მერე? მეორე დღეს, ესე იგი 22 თებერვალს მიგვიწვია სსრ კავ-
შირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის თავმ-
ჯდომარემ ამხ. ვ. ბოიცოვმა. სხვათამორის, იგი საბჭოთა კავშირის უმა-
ღლესი საბჭოს დეპუტატია აჭარიდან, ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ
ვ. ბოიცოვმა განსაკუთრებული გულთბილობით მიგვიღო აჭარის წარგზა-
ვნილები.

მოუთმენლად ველოდი ყრილობის დაწყებას და აი ისიც დაიწუო-
ყრილობის მუშაობის დღეები უაღრესად ინტენსიური და შთამბეჭდავი
იყო. ყოველი ორი საათის შემდეგ შესვენება გვქონდა. სხდომებს შორის
შესვენების დროს კრემლის ყრილობათა სასახლის ფოიეში დიდი გაძო-
ცოცხლება იყო. დელეგატები ეცნობოდნენ ერთმანეთს, საუბრობდნენ,
ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

— გქონდათ თუ არა თქვენაც შეხვედრა რომელიმე ნაცნობთან? —
ვეკითხები მე.

— დიახ, მეც მელოდა რამდენიმე საინტერესო შეხვედრა. პირველ
რიგში მინდა დავისახელო ბაქოს ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის უფ-
რისი თერატორი ნოვრუს რაიზანვი, რომელთანაც უკვე რამდენიმე
წელია საქმიანი მიმოწერა მქონდა, მაგრამ ერთმანეთი პირველად აქ, ყრი-
ლობაზე გავიცანით.

ორ მარტს, საღამოს, გულთბილი მიღება მოგვიწყეს სსრ კავშირის
ქიმიური მრეწველობის სამინისტროში, სადაც გაგვაცნეს სამინისტროს
სისტემის საწარმოთა მიღწევები და მუშაობის ნაკლოვანებები, პროდუ-
ქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ღონისძიე-
ბები. შემდეგ კი სიტყვა ყრილობის დელეგატებს მისცეს.

— თქვენ თუ გამოდით სიტყვით?

— გამოვედი, პირველად იაროსლავის საბურავების ქარხნის მზადა-
რი ინუინერი გამოვიდა, მერე კი მე.

— რა თქმა უნდა, ილაპარაკებლით ოქვენს ქარხანაზე, თქვენშიც ფუნქ-
მოსაქმებზე, იმაზე, თუ რა წარმატებები გააჩნია ქარხანას, არა უკალიოთია.

— დიახ, მაგაზე, სხვა რამეზედაც, განსაკუთრებით კი იმ პრობლე-
მებზე, რომელთა გაღატყვეტა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

— რა არის ეს პრობლემები?

— პრობლემები ბევრია, უპირველეს ყოვლისა და მთავარი პრობლე-
მა მაინც ისაა, რომ აუცილებელია ქარხნის რეკონსტრუქცია, რათა პირ-
ნათლად და გადაჭარბებით გავინაღოთ ის გეგმები და ვალდებულებები,
რაც მეათე ხუთწლედში გვაქვს დასახული.

— და საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ ამას მიაღწევთ, არა?

— მივაღწევთ, აუცილებლად მივაღწევთ ამას! მე მოელი ჩვენი კო-
ლექტივის დაცალებას ვასრულებდი, როცა ამის შესახებ ვესაუბრებოდი
შინისტრის. მინისტრმა გულისყურით მომისმინა და შეგვპირდა, რომ დახ-
მარებას გაგვიწევდა.

— მაინც რას ითვალისწინებს ეს რეკონსტრუქცია? — ისევ ვაწყვე-
ტინებ შე.

— უნდა გაიზარდოს მილების წარმალობა, გამოიცვალოს ზოგიერთი
მოძველებული დანადგარი, გათიდეს ტუმბოების სიმძლავრე, საცავი
რეზერვუარების მოცულობა გამტარუნარიანობა და სხვა.. ამასთან ჩვენი¹
ქარხანა საკურორტო ზონაშია და დამსვენებლები ხშირად სამართლიანად
გვსაყველურობენ, რომ გამწმენდი სათავსოების უწესრიგობისა და უვარ-
გისობის გამო ნარჩენები ზოვას ატუჭყიანებს.

— ესე იგი, საწმენდი სათავსოების რეკონსტრუქციაა საჭირო, არა?

— აუცილებლად! — მიდასტურებს იგი, — თუ ეს ასე არ მოხდა,
სისუფთავის დაცვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

...ღელეგატი ყრილობიდან დაბრუნდა!

— ჩამოვედი და დიდზე დიდი ვალი ჩამოვიტანე! — ამბობს იგი.

— ვალი?

— დიახ! ვალი ჩემი ხალხის, ჩემი პარტიის, ჩემი კოლექტივის წინა-
შე! მე ხომ დავალებული ვარ, ძალიან დავალებული, მე ხომ ახლა გუში-
ნდელზე უკეთ ვიცი, თუ რა უნდა გავაკეთო, როგორ უნდა ვიმუშაო, რა-
ზე გავამავრილო ყურადღება. მე ახლა ვიცი, რომ რასაც წინათ ვაკეთებ-
დი, უკვე აღარ არის საქმარისი. არა, ახლა მეტია საჭირო, გაცილებით
ჟეტი, უფრო შრომატევადი, უფრო შინაარსიანი...

— ხუთწლედი ხუთწლედს არა ჰყავს, და...

— სწორია! — ისევ მასწრებს თენგიზი, სათქმელს, ასე ვთქმულების არიდან მტაცებს. — ყოველი ხუთწლედი, გასული და მომავალი მოჭრებისაგან იმით განსხვავდება რომ, მომდევნო ხუთწლედში უფრო გრახდი-ოზული ამოცანები ისახება, უფრო მეტი კეთდება, უფრო მეტი შეხდება. მეცხრე ხუთწლედი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. რაოდენ სასია-მოვნოა, რომ თითოეული საბჭოთა მოქალაქე თავდადებით შრომობდა და აღწევდა კიდეც წარმატებებს. ჩვენ სახელოვნად გავისტუმრეთ მეცხრე და ხელმძამშვენებულები შევხვდით მიმდინარე — მეათე ხუთწლედს. ეს ხუთწლედი კი ხარისხის ხუთწლედათ არის გამოცხადებული.

იქ, ყრილობაზე მთელი გულისყურით მოისმინა თენგიზმა ჩვენი ვა-რტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეუნევის მოხსენება. მას ღრმად სწამს, სჯერა ჩვენი კომუნისტური მომავლის სიდიადე, მისი საყვარელი საწარმოო კოლექტივის შემოქმედე-ბითი ძალა და შემართება.

არსად ისე არ იციან მოპოვებული წარმატებებისა და შრომითი სახე-ლის დაფასება, როგორც ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, ამის დასტურად შე-იძლება ჩაითვალოს ზეიმი, რომელიც ამასწინათ მენავთობეთა შესახიშ-ნავ კულტურის სასახლეში გაიმართა. აქ ქარხნის კოლექტივს გაღუცა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ მი-ნისტრთა საბჭოს, აჭარის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკა აჭარის საოლქო კომიტეტის გარდამავალი წითელი ღროშა. ამ ზეიმს მენავთობე-თაგან მხოლოდ თენგიზ დოლიძე არ ესწრებოდა — იგი მაშინ ყრილობა-ზე იმყოფებოდა.

და აი, ზეიმი თითქოსდა გაგრძელდა, ისევ იქ, კულტურის სასახ-ლეში მოუწყვეს შეხვედრა მენავთობებებმა მოსკოვიდან დაბრუნებულ თენგიზ დოლიძეს.

— ჩემს თანამოსაქმეებს ყველაფერი აინტერესებდათ ყრილობის გარშემო და მეც შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილე მათი ცნობისმოყ-ვარეობა, გავაცანი ჩემი შთაბეჭდილებები, ვუამბე იმ გრანდიოზულ ამო-ცანებზე, რომლებიც საბჭოთა ხალხს ოცდამეხუთე ყრილობამ დაუსახა... პირადად მე ვალდებულება ავიღე ახალი შრომითი წარმატებებით აღვ-ნიშნო სკკ ოცდამეხუთე ყრილობის წელი.

მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ წარმატებები ვუსურვოთ თენგიზს.

ბედნიერი კაცია იგი. ბედნიერი, თბილი ოჯახი აქვს, ჰყავს შესანიშ-ნავი, გამრჯვე, მოყვარული მეუღლე და სამი შვილი. უფროსი გოგონა ვე-

რა: ოცდამეორე საშუალო სკოლის მეექვსე კლასშია, წარჩინებული მოსწავლეა, მისი მომდევნო. ნონა კი მეორე კლასში უზის მეტხსელის გარეთ სწავლით გამოირჩევა.

— მესამე ვაჟი მყავს, ჯერჯერობით მხოლოდ სამი წლისშემდეგისამდე იმედია მალე მომესწრება, — ამბობს თენგიზი და იღიმება. ალბათ შვილებს თუ უღიმის ფიქრით.

ქარხანა და ოჯახი! ესაა მისი მთავარი საზრუნავი, მთავარი მიზანი. სახლში მიდის და ქარხანაზე ფიქრობს, ქარხანაში მიდის და ოჯახი უდგას თვალშინ.

Ե Ա Ծ, Գ Ո Ճ Ծ Ծ!

Եյո Ծուածո, այցելված Սիւռակելու Շերամ,
Հա մոմջու Ենթազ, Վեր շնորհեծո, Վերա ճա Վերա.
Մովզովար,

Վլցավար,

Մեմորակյարո Ծպե՛մ ու Վելամ,
Վեր մոցաբուլք յս Տամուշո տալցեծո, Վերա.
Յոնա Կար,

Հա Կար,

Ի՞մո ծեծո ու ծեծուս՛շերա?

Հյոյոտեցեծ ճա Վըրժնոն Ենթազն մոպուրեծ Վերամ.
Եյո Ծուածո, Ծամուշո ՛նճա Գամեցո տացամ
Ճա ՛նդրո աժրեց: Երտմանցու Յոն Վարտ ճա Վարտ.
Եյո Ծուածո, աժրեց ՛նճա Գամեցո տացամ,
Ճացելոտ ճածլա, որով եռմ յրտ մովաչո Վլցավարու,
որովեն եռմ յրտո ճեցու ՛նճե՛մ Վլցովրոծո?
Յմու մոկցեցրած Հա ՛նճուծա ծոլուս ճա ծոլուս.
Սլուլերու արու, Եյո, Ի՞մո միա Կար ու ճա Կար,
Մյ Մեմուլու Տամուգուու Մյցօսեռ ակլա:

— յս յալմարչուս յրտո ճեցու Մյուլոնծաս Իվենսաս,
Ցուար Տոեարյուլս, Մանուշելյուս — Իվեն Ցուար Կվենսաս,
Ճա-Ճմուր Շերեցաս, Երտմանցու Ծրբուալու Մյշլաս,
յս յալմարչուս յրտո ճեցու Մյուլոնծաս Իվենսաս!



თუკი დედამიწაზე
უკვდავება დადის,
მხოლოდ ჩემი მადლით,
მხოლოდ შენი მადლით.
მუნჯად დაბადებული
კლდეთა ამღერება,
ქვების აღიმილება
შესძლეს ამ ხელებმა.
ბინდი ჩაიბუდებდა
დედამიწის თვალებში,
ცას ვერ გაუცინებდა

ამ ხელების გარეშე, სამოცდებლი
გადაიბურდებოდა
ეკალით და ბარდით,
ადრე დაბერდებოდა
ბორკილებში დარდის,
დაუმსხვრევდა ხერხემალ
ტკივილი უსაშველო,
ვერა, ვერ იბრუნებდა
ამ ცხელი მზის გარშემო,
მე რომ არ ყოფილიყავ,
შენ რომ არ ყოფილიყავ,
ის რომ არ ყოფილიყო.

ჯემარ ჯაყარი

„შეგი ზღვისპირის ძოშბი ჩვებე“

ეს ლამაზი კონცხი ფიცრული ღობით იყო შემოქავებული. უცნაური მაინც ის იყო, რომ ღობის გადაკვეთაზე, თხრილში, კიჩომიმტვრეული ნავი ჩაეგდოთ, ღორი რომ არ გამძვრალიყო. ნავს ღორწო და ლიხვი ხავსი მოსდებოდა, ფიცრულ ღობებს — სინესტე და მარილის სუნი. კონცხის ეს „აღჭურვილობანი“ იცავდა შემოგარენს და ინახავდა თითო ნაბდისგაშლა სამწვანილეს, საქათმეს და საღორესაც კი...

სათევზაოდ მიმავალი ამ მუდამ ღრისე ჭიშკართან ხშირად ვხედავდი ერთ ქალიშვილს: ხან თეთრეულს კიდებდა, ხან წიგნს კითხულობდა, ხან ვინმეს ვგებებოდა ან კიდევ — აცილებდა. როგორც ანკესი თევზის ლა-ყუჩებს, ისე მიზიდავდა და მივერდა ეს მუდამ ღრისე ჭიშკარი. ასე მეორედებოდა კვირების განმავლობაში. მე ჩავივლიდი ხოლმე ავტობუსით და ძალაუნებურად იმ ჭიშკრისაკენ გადავიხედავდი. ზოგჯერ, ფიქრებით გატაცებულს, სულ არ მასსოდა იქაურობა, მაგრამ უცნაური შინაგანი კარნახით მაინც გადავიხედავდი. ეს ასე ხდებოდა მაშინაც, როცა უთეხია მომიწევდა ჩავლა ან ვეიან — საღამოთი დაბრუნება, როცა წინასწარ ვიცოდი, რომ იქ არავინ იდგა. ეს, უბრალოდ, ჩვევად გადამექცა. ეს ჩვევა არაფერს მავალებდა, არც არაფერს მპირდებოდა. მაინც არ შემეძლო იქაურობაზე თვალი არ მომევლო, თუნდაც ის ყოფილიყო გაუცნობიერებელი და უაზრო. იმ ქალიშვილის დანახვა ან დაუნახაობა გულს არაფერს ეჭულებოდა, მაგრამ თვალი მაინც იქითვენ გამირბოდა. თუკი ვიხსე იტყვის, თვალს წყლის დალევინება სჭირდებაო, ნუ გაიკვირვებთ. მგონი სწორედ იმ ქალიშვილის დანახვა იყო ჩემი თვალების სიცოცხლე. ცოდვა გამხელილი სჭობიაო და... ანკესზე დახრილს, წყალში ლაუვარდი რომ აკამპაჟებულა, რამდენჯერმე იმ გოგოს ორეული მომლანდებია. თითქოს გამოსახავრებლადო — სწორედ იმ უცნაური ხილვის ღროს ანკესზე თევ-

ზი წამოგებულა, კავლები შეუთამაშებია და იმ გოგოს ლანდი გაუქმის. აფხაზი არ არის?!

იმ გოგოს მართლაც ზღვისფერი და წყლიანი თვალები ქონდა არა მას ნაცნობთაგანს ვერავის შევადარებ. არც კი მიფიქრია ვინმეზე შეძლებულებია. ეს აზრი მხოლოდ მაშინ მომივიდა, როცა წყალში, ანკუსზე დახრილს, რამდენჯერმე მომელანდა მისი ოქროსფერი თმა, ზღვისფერი თვალები, რაღაცნარი ბედნაშეურები სახე.

ყოველ შაბათ-კვირას, როცა ავტობუსით სათევზაოდ მივდიოდი, ეს გოგონა დაბარებულივთ ყოველთვის თავისი ფარლალა სახლის წინ ეზოში შევდებოდა და მეც ამის მეტი არაფერი მინდოდა. შეხვედრაზე არც კი მიფიქრია. თუკი თავს ხანდახან მასზე ფიქრებში დავიკერდი, ამას მხოლოდ მისი დანახვის ჩვევადგადაცეცულ სურვილს ვაბრალუბდი და თვალების საზრდოდ ვთვლიდი. თვითონ, ცხადია, ჩემი გატაცების "შესახებ არაფერი იცოდა. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მწყდება გული, — რატომ ერთხელაც არ შევხდი მას... ისე, კაცმა რომ თქვას, ეგოსიტურიცაა, რომ მისი დანახვით სულში რაღაც უსახელო სიცარიელეს ივსებდე, თვითონ კი არ იცოდეს, მას არაფერს აძლევდეს, არაფერს ეუბნებოდეს შენი გატაცება. ამაში მაშინ უფრო დავრწმუნდი, როდესაც მოხდა ის, რაც სიზმრადაც არ მომივიდოდა...".

ერთხელ, შორეული მოგზაურობის შემდეგ, სათევზაოდ რომ მივდიოდი, ჩვეულებრივ ავტობუსის ფანჯრიდან გადავიხედვ და სახტად დავრჩი: არც ის გოგონა ჩანდა და, საერთოდ, იქაურობა აღვეოლიყო პირისაგან მიწისა. — აღარც ფიცრული ღობე და ჭიშკარი, აღარც ეკლიანი, ზღვის სინოტივით დაუანგული მავთულები, აღარც ქოხები! ის ძველი, ლიპგადაკრული ნავიც, თხრილში რომ იყო ჩახერგილი და ბოსტანს ლორებისაგან იცავდა, ნაპირზე ამოგდებულ ზღვისაგან გამორიყულ რომელიდაც უცხო სხეულივთ იდო და მზეზე ლაპლაპებდა. სამწვანილები, ფარდულები, სათავსოები, ოკრო-ბოკრო აღვილები — ერთობ აღვილიყო პირისაგან მიწისა. რომელილაც მძლავრ და მკაცრ მანქანას გადაესწორებია იქაურობა. შევცბი, თვალებს არ დავუჭერე და ავტობუსიდან გადმოვხტი, რომ უკანვე დავბრუნებულიყავ და იქურობა კარგად დამეთვალიერებინა. ან კესის ქოხების შეკვრა იღლიაში ამოვიჩარე და უკანვე გამოვეშურე, რომ გამეგო — ეს სიზმარია თუ ცხადი.

რა მოხდა? — ადვილი სათქმელია.

სულ შეცვლილიყო იქაურობა. თითქოს მოფრენილიყო რომელიდაც რკინის ძერა და ის ქოხმახები წიწილსავით წაელო. ეს კიდევ არაფერი, ზღვის ქისრიბა ბალახებით მოფენილი კბოდები, სანაგვე ორმოები, უხეირო და დატბორებული, ყვითლად მოლპლაპე არხები, მოხრეშილი სამეზობლო ბილიკები, — ყველაფერი ერთიანად გადასწორებულ-გადათხრილი იყო. მთავარი გზატკეცილიდან ამ საცოდავი ნაქომახარისაჟენ გადა-

სახვევი მუხლუხოებისაგან დაღეჭილი და დაღლეტილი იყო და მიგხვდი, რომ ის ჩვენი დროის ამწევებს, ტრაქტორებსა და ბულდოზებს შემოსალანგათ. მე ყოველივე ამის მომსწრე ვარ და მეშინია, მომავალზე ფლეჭვების არქეოლოგი ოდესმე დოქტორი ნამსხვრებს თუ იპოვის, ის არის მის უწყესობა „გვიანქვისხანისა და ადრებრინჯაოს“ ან რომელიმე სხვა „ხანის“ ცივილიზაციას. ბევრი ნასოფლარი, ნადაბარი და ნაქალაქარია ჩვენს საოცარ, მუზეუმივით მრავალფეროვან ქვეყანაში. ყველას თავისი უკომპრომისო ისტორია აქვს...

მთვარულივით დავდივარ და ვნატრობ ვინმეს გამოჩენას, რომ ვკითხო — რა მოხდა აქ, რამ იავარქმნა ფრთამოტეხილი ქომახები; უძველესი, ლიპგადაკრული ოლრო-ჩოლროები საყვავილე მიწასავით რამ გააახლგაზრდავა.

რა ხდება აქ-მეტქი, ვკითხე შავსათვალებიან კაცს, რომელიც შეუმნევლად მომიახლოვდა.

— არაფერია გასაკვირი, — დინჯად მიპასუხა მან. — სოფელი დაბას ემსგავსება, დაბა — ქალაქეს...

„შეატყო, რომ სულაც არ ამაღლვა ამ „აღმოჩენამ“, და დაუშატა, — ერთმა დიღმა კაცმა ჩაიარა და თქვა, აქ საქვეყნო აგარაკის აშენება შეიძლებაო.

— მეტი არაფერი?

— არაფერი. — და სპეცშტატივი გამართა.

„როგორ თუ არაფერი“ — გავიფიქრე მე. — „სად არის ის გოგო? მაღლობელი ვარ ამ ოლიმპიური გულახლილობისათვის, იმ დიდი კაცის სამართლიანი შენიშვნისა და განკვერეტისათვის, ყველაფრისათვის, კერძოდ, ჩვენი დროის დიდი სიახლეებისათვის, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, არაფერს მეუბნება იმ გოგოს შესახებ. უიმისობა კი თანდათანობით მაღლელვებს და მავიწროებს“.

* * *

დამთავრდა ანკესებით ზღვაზე სიარული, ურკოლა და ლოდინი. შალე მივიღეთ საგულდაგულოდ შეკეთებული თეთრი ტრაულერი და გავედით ზღვაზე. წასვლისას მეზღვაურის რომანტიკითა და გუმანით გამოვეთხოვეთ სანაპიროს ლანდშაფტებს. ეს გამოთხოვება სავსე იყო ზღვაში გასული კაცის სიყვარულითა და მცირეოდენი სევდით, ახლოდან განცდილი სიშირითა და შორეული სიახლოვით.

ზღვიდან სულ სხვანაირი ჩანდა სანაპირო რივიერა. მეტევზეთა ხუსულების გროვა, ზურმუხტისფერში ჩაძირული, მესეფებისა და წყლის შიშველი მაცურნებელი დალალების კონცხს რომ ჰგავდა, გაშიშვლებულიყო. მლაშე სინოტივისაგან გაჭოუებულ მიწას მზის სხივებში ორთქლი

ასდიოდა და კანდელის გაღვიძებული სურნელებით ეხვევდა რეაქციების ჩამოყალიბების, მშენებარ სახლთან დადგმულ ვერტიკალურ მარტინის, ახალ კედლებთან აჩხინდრულ არმატურებსა და კარგასებრების გადამზადების და ზღაპრული კოშკი უნდა აეგოთ...

არა, ის გოგო მაინც სად გადასახლდა? ფარლალაში თუ ისეთი გოგონები გაიზრდებიან, ოღონდაც... უბრალო ჩითის კაბა ეცვა, შვეხოდა ყველაფერი — ბილიარდის ლუზებივით გამოხვეულ მკერდზე ლაგაძივით მოდებული ატლასის ტრასინილობაცა და მაღალ ზიშველ წვივებზე დაწვდენილი ჩითისაც ფურჩალაც. ნუთუ მისი მოვალეობა მხოლოდ წიგნის კითხვა და თეთრეულის რეცხვა იყო, — გავითვირე და სიგარეტი ამოვიღე. რადისტის ხმა გავიგონე: „მექანიკოსი კახაბერ კახაბერიძე — კაპიტანის პირველ თანაშემწყესთან!“. მიხმობდნენ, მე კი აქ ყოვნა ათას-ჯერ მერჩია. აკი მექანიკოსისათვის გემბანზე დგომა ზღვისა და მიწის კავშირის ხილვებითაა სავსე და მით უფრო სასიამოვნოა. ეს ხილვები ხანდახან სიზმარივით აუზდენელი და მით უფრო ლამაზია, მაგრამ ბრძანება უნდა შესრულდეს! ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი იქაურობას, გუმანით გამოვეთხოვე და გავსწიო კაპიტანის პირველი თანაშემწის კაიუტისაცე.

ტრაულერი თავდაჯერებითა და პრინცის პეტიო, თანაც სუფთა სინდისით მიარღვევდა ტალღებს. უკან რჩებოდა ათავჩქამებული კვალზოლი. სივრცეს თოლიები სერაფინენ და ირეოდნენ. ნაპირის შორეული სილუეტები, რომლებიც თოლიების ფრთხის რხევაზე წამორად გაძოკრებოდნენ, ნელნელა იძირებოდნენ მტრედისფერ სივრცეში.

ნახვამდის მშვენიერო, მშენებარე კოშკ!

* * *

ეს იყო ხანგრძლივი და ბარაქიანი რეისი. ბევრ, ძალიან ბევრ ხავსადგურში ჩავუშვით ღუზა, დავჭიმეთ ბაგირები, ვიშრომეთ და ვიგვევზეთ, ბაგირზე ჯამბაზებივით ვეკიდეთ. როცა ტრაპზე ჩამოვლა მოვალეობა თავისუფალ დროს ქალაქში გასასეირნებლად, სწორედ მაშინ ვემსგავსებოდით თავავარცხნილ ინტელიგენტებს.

უცხო ნაპირთან მიახლოებული ჩემი ღვთაებრივი დალალების კონცენტის სილუეტებს ვეძებდი. იმ ჩემს წვივებშიშველა და თმებგაღმოჩახერებულ ქალდალას ვეძებდი, თევზაობისას შორიდან რომ ველაციცებოდი და მის ოდა-ქოხმახთან ერთად რომ დამეკარგა. ნაცვლად ამ სიზმარეული სილამაზისა მხედებოდნენ და ვინ? — პირში სიგარეტგამოჩირილი, ხმადაბოხებული შარვლიანი აშხლევილები. მათ ვერ ვიტანდი და შემძლიური სანაპიროებისაკენ ჩქარა დაბრუნებას ვნატრობდი, მითუფრო, მომბეზრდა ყველაფერი ამ რვათვიანი რეისის შემდეგ. ჭიუტად შეკონდა გადაწვეტილი, რომ დაბრუნებისას დაუყოვნებლივ მოვძებნილი ჩემს ზღვისფერთვალა მესეფს, მოვძებნილი და, თვალით კი არ აგკენკავდი ოც-

ნებაში გაბნეულ ხვითოს, არამედ გამოვეჯგიმებოდი და ვეტყოდი... „შე-
ნოდ არ შემიძლია-მეტქი“.

რა ყოფილა მაინც მშობლიურ კუთხესთან მოშორება! ყველაფერი
როგორ გაკეთილშობილდება და გალამაზდება, როგორ გაცირკულა
სიყვარული მისი?!

უცხო ნავთსადგურებში თვალი რა სიჭარბე-უკმარობით იღლუბოდა,
ეს უპირველესად იყო რიქშა და გაწიწყინებული კომფორტული ჰახეანა,
მათხოვარი და მილიონერი, სასახლე და ქოხმახი. ასე დაღლილი და შინა-
განად უწინასწორობის გრძნობანაჩევლეტი დავბრუნდით უკან და გამო-
ვეშურეთ მშობლიური სანაპიროსაკენ.

ტრაულერს ზურგის ქარი ედგა და იღეოდა ბოლო კვირა, ბოლო
დღე... გამოჩენდა ჩემი მშობლიური კონცხი — პოსეიდონის ზღაპრული
თავსასთუმალი. მომენატრა ჩემი ანკესები, ავტობუსის ფანჯრიდან დანა-
ხული ღრიჟე ჭიშკარი, ჭიშკართან წვივებშიშველა დალილა, მაგრამ...
მიწას თევზის ლორწოსა და სურში გაუღენთილი ტანსაცმელი გაძოუც-
ლია, ახალი, სამეჯლისო ჩაუცვამს, პრიმიტიულობა უბრალოებით „შეუც-
ლია, უბრალოება — სილამაზით, სილამაზე — შინაარსითა და სიდია-
ვლია, უბრალოება — სილამაზით, სილამაზე — შინაარსითა და სიდია-
ვლით. ქათქათა ცათამბჯენი დაუსრულებიათ ცისფერი ფანჯრებით. გვერ-
დით ერთი პატარა სახლიც არ ჩანს სიმაღლის სიბრძნის შესაცნობელად.
მხოლოდ მაღლივი კომპლექსი — შეცნობილი სიბრძნე ჩემი მღელვარე
დროისა.

* * *

ვდგავარ ახალი სახლის წინ, გაზონში, და ვცდილობ დაახლოებით
მაინც წარმოვიდგინო — სად იყო ის სახლი, ის ეზო, ის ღრიჟე ჭიშკარი,
სადაც ხშირად ვხედავდი იმ ლამაზ ქალიშვილს. უნებურად მაღლა ავიხე-
დე. მეოცე სართულის ცისფერი ფანჯრის მინაზე მზე ლაპლაპებდა. ჩემს
წინ პალმებში გამოცრილი სხივებისაგან კი ჩრდილი დაფლეთილი თორა-
ნივით ეგდო.

მოგებულ ოშიგით სუფევდა სიახლე და სიჩუმე.

* * *

სასახლის წინ ჩემი საუკუნის სამოცდაათიანელთა ყოფილ დეტალებ-
ში შეეკრის მოდერნის პერიოდი იდგა ფრთებგაშლილი, ტალღების იძიტა-
ციით შემინანქრული მოსაცდელი და ზედ ეწერა — ავტობუსის გაჩერება.
მეორე მხარეს მენდელევის ცხრილივით დატოვებული სიცარიელე ახალ
წარწერებს ელოდა. ალბათ, ალქიმიკოსებისა და „საკუთარი“ ტაქსების
ჯინაზე, იქ ახალი ტროლეიბუსის ნომერი ან მეტრო-სადგურის ებბლება
გამოისახებოდა.

ავტობუსი გაჩერდა და ხალხი აფუსფუსდა. მე სკვერში, ძელ-სკაზე

ვიკეტი. იქაურობას ვუმზერდი და სიზმარში მეგონა თავი. ჩემს უკან აზალი სახლის პირდაპირ, თეთრწვერა მთიელი ბერიკაცი ჩამოჯდა და სახლს თვალი აღმა შეაყოლა — თითქოს სართულებს ითვლისო. ავტომატურად ჩერებიდან მასთან ერთი შპინგალეტა ბიჭი მოვიდა და, გარბევით გავი- გონე, თქვა:

— სპიჩა ხომ არა გაქცეს, ბაბუ?

მოხუცმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ბიჭმა სახლს ახედა და ბერი- ცაცის გასაპრიყვებლად თქვა:

— აზრზე არა ვარ, ტო! რა შტერები არიან. მჩელა სახლი ააშენეს და კიბე დავიწყნიათ. მთებში სახლებს სულ გარედან აქცს კიბეები. ასე არაა ბაბუ?

— შენი აზრით დაავიწყდათ, ჰო? რაფერ ავლენ?

— სახლს დააწვენენ და გამოვა გრძელი, ორსართულიანი სახლი. შევლენ და იცხოვრებენ, მიწისძრის არ შეესინდებათ და გაქანების...

მოხუცი გაფავრდა. ხმა არ ამოუღია. ველარ მოვითმინე, მივედი და ამ ბიჭს თვალებში გამაფრთხილებლად ჩავხედე. მონტევილეოში თუ მინა- ხავს სეთი გამხდარი, სექსისა და წეკოსაგან წახრილი ყინჩა ქარაფშუტე- ბი. მოშვებულ თემებში ვწვდი და დავიძრიალე. მუნიანივით გავაგდე და მოხუცს ვუთხარი:

— ამ სახლს კიბეც აქცს და ლიფტიც, ბაბუ. თუკი ამისთანა სახლში ჭერ არ ყოფილხარ, წამობრძანდი, დაგათვალიერებინებ.

— გმადლობთ, შვილო. სახლს დააწვენენ და ოცსართულიანს ორსა- რთულიანად გადააკეთებენო — ვითომ გამაბეჩა იმან. ცოდვა იყოს შასზე მისი ყილიღი და ახალგაზრდობა.

— აქ ვისთან ჩამობრძანდი მთებიდან, ბაბუ?

— ამ სახლში ჩემი ბათუში ნა ცხოვრობდეს. მამამისი ომში იყო. ჭრილობანაკამი ჩამოვიდა და ხეირი ვერ ქნა, მალე ვედინედა იმ ჭვეუ- ნის... ბადიში მე ვავზარდე. ხელობის სწავლა გაათავა და მშენებლობის საქმეში გეიყვანეს. მისმა ბრიგადიშ ააშენა ეს სახლი. ის კი არ ვიცი რო- მელ სართულზეა.

— წამობრძანდი, მოგანახვინებ შვილიშვილს. მეოციდან დავუყვეთ ქვემოთ, უფრო ადვილია...

— ეს რა არის?

— ეს ლიფტია, ბაბუ. აა აქ დააჭერ თითს და...

ლიფტი დაიძრა.

სართულს სართულზე ტოვებდა. მეცამეტე. მეთოთხმეტე... რომელი- ღაც სართულზე ახალმოსახლობას იხდიდნენ. მოისმა სიმღერა — „შვი- ზლვისპირას კოშკი ავაგე“.* უცებ ლიფტში რაღაც გაჩხაკუნდა და...

— მეოცე სართულზე ვართ, ბაბუ, მოგწონს?

— ცაში ამიყვანე, ჰო? — მითხრა და გადასახედს თვალი მოარიდა.

შევატყვე თავბრუ დაესხა. ცოტაც და... რატომლაც გაფერმქრთლიდა
ბეზე ჩამოგდა და წყალი მოითხოვა. რომელიღაც ოთახის კარებზე დაგა-
კაკუნე და ჭიქა-წყალი ვთხოვე. შევხედე და სახტად დავრჩიდე შემოსის შემონთება
ცისფეროთვალება დალილა იდგა.

— გამარჯობათ! — შავილულლუღე და სახეზე ალმურის შემონთება
ვიგრძენი.

— შემობრძანდით! — თქვა და ბერიყაცს ხელკავი გამოსდო. — ნუ
გეხათორებათ, შემობრძანდით!..

ოთახში აღმოვჩნდით.

უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ვთქვი:

— ერთ კაცს ვეძებთ და...

— არა უშავს რა, არა უშავს. — თქვა ჭალიშვილმა და მოხუცს წყა-
ლი მიაწოდა. მოხუცი სავარძელში გასწორდა და ჰკითხა:

— რა გქვია, შვილო შენ ამის სიმაღლეზე რომ ამოგიყვანეს? ჰელ-
ბეთ დიდი ქალი ხარ.

— დალილა მქვია, ბაბუ. ბავშვთა ბაღში მრეცხავად ვმუშაობ და თან
ვსწავლობ.

— ამ ბიჭს იცნობ? — ანიშნა ჩემზე.

— შორიდან...

— ეგ ტყუილი და სხვა მართალი! — ნიშნის მოგებით თქვა და მომი-
ბრუნდა:

— გიყვარს, რაც ძალა, ჰო?

— კი, ბაბუ, კი!..

— ღმერთმა გაბედნიეროთ! — თქვა და მხრებზე ხელები გადაგვხვია-
— სულ ასე მაღალზე და მაღლები ყოფილიყავით.

მომეჩვენა თითქოს ფრთები მესხმებოდა...

დალილას უნებლიერ ხელი გავუშვირე...

საიდანღაც ისევ მოისმა სიმღერა — „შავი ზღვისპირას კოშკი ივა-
გე“. ზღვაზე გადავიხედე. ნავსაღვურში ქათქათა გემი შემოღიოდა...

გბსპუბრება საქუთარ აჩრდილთან

რაც თავი გახსოვს,
 ნიადაგ დამდევ,
 ხან წინ გამირბი,
 ხან უკან მრჩები,
 ძალიან გინდა ყველაფრით მგავდე,
 მაგრამ საერთო რა არის ჩვენი?
 ვიცი, შენ ჩემგან არ ითხოვ ლუქმას,
 არც სახელს ელი,
 არც გამოსარჩენს,
 ერთგულ ძალივით დამყვები უკან
 და ჩემს მეორე კაცობას აჩენ.
 გაკვირვებს შენი თავის თაობა,
 მოუსვენრობა,
 ცახცახი,
 შიში,
 ვერ დაიჩემებ შენ ჩემს რაობას,
 თუმცა რაღაცით მაინც ხარ წილში.
 ხან მოჩანჩალებ ჯუჭა კაცივით,
 მაშინ შეხედვაც მრცხვენია შენი.
 მინდა ვიყვირო:
 — რას ჩამაცივდი?
 მაგრამ უჩუმრად კვლავ ჩემთან რჩები.
 ხანაც კი ისე ალმართები,
 ლამის მთებს ჰყლავი გადააწვდინო,
 და მიკვირს, მიკვირს,
 რა გემართება,
 რად ფერიცვალობ ასე, ყმაწვილო?
 ძმაღნაფიცობა მე შენი მჯერა,
 ბევრჯერ ჩემი გზის შენ ხარ გამკვლევი,

და რადგან ჩემი ხარ ბედისწერა,
 და საფლავშიაც ვიცი ჩამყვები,
 ჩემი სიკვდილით შენც გინდა მოკვდე,
 რომ ჩემი ხვედრი გაიზიარო.
 რადგან ჩემს შემდგომ,
 რაც უნდა მოხდეს,
 ამ ქვეყნად არა,
 არ გსურს იარო!
 მაგრამ თუ მაინც ხარ მოზიარე,
 და მეც რაღაცით
 ამ ქვეყნად მაჩენ,
 მინდა ჩემს შემდგომ
 ქვლავაც იარო,
 აյ ჩემი სულის
 აჩრდილად დამრჩე.



* * *

შენ შენი ხნული გაგაქვს,
 მე ჩემი ხნული გამაქვს,
 გული იხარჯვის უფრო.
 (დაუხარჯავი რა მაქვს!)
 ვიჩქარი,

ვიღრე თავი
 არ დაეხრება თავთავს,
 მერე ამ სიბრძნის მარცვლებს
 მზის დასავლამდე ვფახტავ.

* * *

მიწიდან ამოვიჭერი
 ვითარცა ჭადო მიწის,
 ერთ გზას ვიტოვებ მხოლოდ,
 სხვებს, ვითარც ტოტებს, ვიჭრი.

მიწაზე ფეხი მიღდას,
 ვიღრე ძალას ვგრძნობ მიწის,
 მე არაფერი მომკლავს,
 მე არაფერი მიჭირს.

გივი ჯოხეძე

სამუშავა გალაზისა და გვიმრის წლეკარი

შორს, მთის წვერზე, ქრთი პატარა ორუბელი აგორგოლდა და ნიავშა იქით გაიტაცა, სადაც იპი ბუჩქებში ჩაჩოქილი სხვადასხვა ბალახის ფოთლებს, ძირხვენებს, ღეროებსა და კორჩიოტებს აგროვებდა. მზე შების ტარზე იყო წამოწეული და ისე აცხუნებდა, თითქოს დედამიწის და ცის შედუღაბება უნდათ ერთმანეთთანაო. იპის სახე და შუბლი ოფლს დაეცვარა და მალი-მალ მქლავით იმშრალებდა ხოლმე. პაპანაქება იყო და სქელფოთოლა ბალახებს, რომლებიც თამამად წამოზრდილიყვნენ მინდოოში, ფოთლები დაემრგვალებიათ და სიცოცხლის გადარჩენას ამით ცდილობდნენ.

იპი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ძირხვენები და ფოთლები, კორჩიოტები და ბალახის ღეროები მოემარავებია და აინუნშიაც არ აგდებდა ამ მომაკვდინებელ თაკარებას.

სულ პატარა ბავშვი იყო იპი, როცა პაპამისმა, სახელგანთქმულმა ვარსკვლავთმრიცხველმა, აქმბა და შემლოცველმა ეტიმ, ცხოველთა და ფრინველთა, თევზთა და ქვეწარმავალთა ენა და მოთვინიერება ასწავლა, ასწავლა ვარსკვლავთა მონაცელები ცახე, მზის გზა-კვალი, მისი და მისი ტოლსწორის —მთვარის სახეზე ისეთი რამების ამოკითხვა, რაც სხვათათვის მიუწვდომელი იყო. ასწავლა ღამის ცის მნათობის რომელი წვერი უფრო წამახვილებული იქნებოდა ახალმთვარობისას, ზედა თუ ქვედა, რომ ამით ამოეცნო როგორ ამინდს უგზავნიდნენ ცის მბრძანებლები. არც ქარისა და ორუბლების მიმოსვლა ესახებოდა ძნელ გასარჩევად. მან კარგად იცოდა რომელ მხრიდან წამოსულ ღრუბელს ან დაქროლილ ქარს როგორი ამინდი მოჰყვებოდა. ბევრი რამ იცოდა იპიმ, ბევრი რამ.

ასე ასწავლა დიდმა წინპარმა და მერე როცა წლებს წლები დაემატა, მას კიდევ ბევრი ცოდნა მოჰყვა თან. ძველი და ახალი ცოდნა ერთ ქურაში გადაადნო და ნაღნობიც უფრო მტკიცე გამოდგა.

და აი, მას შემდეგ, რაც ეტი ამ ქვეყნად აღარ არის, და  ან დიდი ხნის ამბავია, იპიმ დაიწყო სახელოვანი პაპის ხელობის გაგოძე-ლება და ისეთივე სახელოვანი გახდა, როგორც მისი წინაურებულების ხოლო ისინი, რომელთაც ახსოვდათ ეტი და რომლებსაც მკერძს ქვემოთ სცემდათ ოეთრი, ფაფუქი წვერი და რომლებსაც შეეძლოთ თავიათი სი-ტყვა ეთქვათ ხალხისათვის სვენებ-სვენებით, თოტქოს ყოველი სიტყვა წისქვილის დოლაბის ქვემოდან არის გამოსაძრობით და აძი-ტომ გვიჭირსო, იტყოდნენ: ეტი დიდი აქიმი და დიდი წინასწარმეტყვე-ლი იყო, მისი მსგავსი ცარგვალსა და მზის, იდიდოს მისი სახელი, შისი ნათება ნუ მოგვშლოდეს, ქვეშ არავინ გაჭაჭანებულაო. დიდი იყო ეტი, დიდი. მერე ცოტას შეისვენებდნენ, ოეთრ, ფაფუქ წვერზე ხელს ჩამოის-ვამდნენ და დასძენდნენ: მაგრამ უფრო დიდია იპი. დიდია იპი, დიდი! მზის შვილია და მზეს თავისი შვილი ჰყავს წარმოგზავნილი მიწაზე. იდიდოს მზის სახელი, მისი ყოვლისშემძლე სხივები!..

ყველაფერი დაივიწყა იპიმ, ყველაფერი ანაცვალა თავის ხელობას. ამქვეყნად თუ რაიმე სიამტკბილობა არსებობდა, ამის არც გაეგებოდა და არც მისი გაეგება და ცოდნა სურდა. უარი თქვა იმაზე, რისთვისაც სხვა დანარჩენები არსებობდნენ და თავის ხელობაში ხელოვნებას შიალ-წია. ამიტომაც ასე რიგად ეთაყვანებოდნენ იმ ქვეყნის შვილები.

ყველა დავრდომილის სალოცავი იპი იყო. სალოცავი ისეთი რომლის მარტო სახელის წარმოთქმაც კი იმედით ავსებდა გაჭირვებულს და იძედი-თვე ჰკურნავდა. ჯერ არავის ახსოვდა, რომ რომელიმე ავადმყოფობას მისი ხელობა დაეჭაბნა, და ამიტომაც ლოცავდა მთელი ქვეყანა მუქურნალსა და დამრიგებელს, ამიტომაც ავედრებდნენ მის სიცოცხლეს მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს.

მას შემდეგ, რაც იპი ხალხმა თავის იმედად დაიგულა, რაც პაპი-სის ხელობა — ხალხის შველა, მისი ხელობა გახდა, ორმოცჯერ იცვალა ბუნებამ ფერი. ორმოცი წელიწადი გავიდა და ამ ხნის განძავლობაში არ ყოფილა არც ერთი დღეც კი ისეთი, რომ მას თავისთავის გამო, თავი-სი ცხოვრების გამო ნაღვლობა დაეწყო. ან სხვანაირი ცხოვრება ენატრა, ან საყვედური წამოსცდენოდეს მზის, მთვარისა და ვარსკვლავებისადმი, თავისი ბედის ასეთი განჩინებისათვის, ცოდნის ასეთი საწყიოთი მიკერძო-ებისათვის, მინიჭებისათვის.

თმაც შეევერცხლა იპის, წვერშიც გამოერია ხცე, მაგრამ წელთა მონაცევლეობამ წელში ვერ მოხარა, თვალის სერი არ ჩაუმტო, იმედი და რწმენა საკუთარ ძალაში ვერ დაკარგვინა. იგი ისევ ისე დააბიჯებდა, როგორც ოცი წლის ჭაბუქი.

ახლაც იმიტომ იყო გამოსული იპი თავისი ქოჩიდან შორს, რომ ძირ-ხვენები, კორჩიოტები და ფოთლები მოეგროვებინა წამლის მოსაღულებ-ლად, რომ სოფელში, კლდიდან გადაჩეილი კაცისათვის ეშველა, დაე-

შოშმინებინა ტკივილებისაგან გატანჯული კაცი. ტკივილები მეტად ჩატებსო, — უთხრეს მოამბეებმა და იპიც ცდილობდა რაც შეეძლო არა ზებსო, — დამამარებოდა გაჭირვებულს. სოფლად იმ საწყალს ვერავინ უკუნტვლებელი და მერე დაჭრილს ეთქვა — იპის, მზის შვილს მაახლეოთ. ჭიშური ზღვაზე კი ძნელი იყო, დაჩეხილი კაცი გზას ვერ აიტანდა. მერე მობოლიშებით ხლებიან მოამბეები იპის. იპი გამრაზებულა — ეგ როგორ გაბედეთო, კაცს უკირს და ჩემი შეწუხება გერიდებოდათო, აქამდე სად იყავითო. იპიმ ზველაფერი გამოკითხა წვეულებს და დაითხოვა ისინი, საღამომდე მელოდეთო. მერე მაშინვე მინდორს მიაშურა. არა, ქოხში კი ჰქონდა მაღამოები, მაგრამ ისეთი რამ უთხრეს, სულ სხვა რამ სჭირდებოდა დაჭრილს და სულ ახალი. ჰო—და ჩეარობდა იპი, სურდა მალაძოს დამზადებაც მოესწრო და სოფელში ჩატანაც. ღრო ძვირად ულირდა იპის. იპიმ ისიც იცოდა, რომ თვითონ უნდა ემკურნალებია ავადმყოფი-სათვის თვითი წამლებით, თორემ სხვები მის წამალს ისე ვერ მოიხმარდნენ როგორც საჭირო იყო და შეიძლება წამალი საწამლავადაც გადაქცეოდა.

იპიმ აღმაცერად გახედა ცას და პატარა ღრუბელი დაინახა თუ არა, საქმე წამით შეაყოვნა. არ მოეწონა ღრუბელი კარგად დააკვირდა. ღრუბელი ხან ურჩხულის სახეს იღებდა, ხან ღორისას და ხან აბურძგნულ-აყეფერელი ძალისას. ასეთი ღრუბელი კარგად არ ჰქონდა დაცდილი იპის.

— ავი დარი იქნება! — დაბეჭითებით თქვა თვითოვის და უფრო გამალებით შეუდგა დაწყებულ საქმეს. ჩეარობდა, ჩეარობდა იპი.

შორისალებულ ცაზე მძლავრად დაიგრუხუნა. იპი წელში გაიმართა, და კიდევ უფრო დაკვირვებით შეხედა აგორებულ ღრუბლის ქულის. მოწმენდილ ცაზე დაგრუხუნება მისი ფიქრების დადასტურება იყო. შაგრაში იქ, ცაზე, მარტოცალი ღრუბელი კი აღარ იყო, არამედ ღრუბელთა ჯარი. იმ ღრუბლის თეთრ ქულას, როგორც საბუდარში ჩატოვებულ შძევალ კვერცხს, ისე შემოჯაროდნენ შავი ღრუბლები.

— ავი დარი იქნება! — კვლავ თვითოვის ჩაილაპარავა იპიმ და კალათას ჩახედა, მეყოფა თუ არაო.

კრეფა აღარ ვაუგრძელებია, ერთი ღრმად ამოისუნთქა და შერე თავქვე დაშვა. თუმცა საღამო ჯერ კიდევ შორს იყოს, მაინც ჩამობნელდა. აქა-იქ მზის სხივებს ღრუბლების სიბნელე გაეპოთ, გამოტყორცილიყვნენ და ძირს მძივებივით მიმოფანტულიყვნენ.

— უნდა ვიჩერო! — უთხრა თვითოსავს იპიმ და სიჩბილს უბატა, — ეს ძირხვენები უდროოდ კალთაში რომ დამისველდეს და მერე ნიავმა დაპქრას, წამლის მოსახარშად აღარ გამოღვება და მერე რაღა ეშველება იმ გაჭირვებულს. — იპი უკვე კი აღარ გარბოდა, მიპქროდა. ნათელი



სიბრელემ აჯობა, აქა-იქ წვიმის მსხვილმა წვეთებმა გამხმარ
გაიშეუიღეს.

იპის მგლის ყმუილი შემოესმა. ერთხანს დააყურადა, გაიფლიანოდა
დე ვინმეს ხომ არ უჭირსო, მაგრამ მეორედ რომ შემოესმა ყმუილი, იცხო-
თავისი მგლის ოხუს ხმა. ეს მისი ოხუ იყო, მისი მგელი, რომელიც ჩაცუ-
ცეული ქოხის წინ ელოდა, ცას შეყმუოდა და იპის უხმობდა, ეძახდა.

იპიმ ერთი ძლიერად დასტვინა და ყმუილიც შეწყდა. ოხუმაც იც-
ნო ჰატრონის სტვენა. ასე ეხმაურებოდნენ მგელი და კაცი შორი-შორს
მავალნი ერთმანეთს და ერთმანეთის მიახლოებასაც ამით ამცნობდნენ.

იპი გზად არაფერს ერიდებოდა, მიარღვევდა წელამდე წაბოზრ-
დილ ბალას, ახტებოდა ჯირკვებს და ლოდებს. მიქროდა და ხელში-
ლამპარივით დაეკავებია მოსაფრთხილებელი კალათა, რომ არსად დაბნე-
ოდა მონაპოვარი, რომ არ გახანგრძლივებოდა ტანჯვა იმ საწყალ, დახე-
ხილ კაცს. ქვეყნის მზრუნველი და გამკითხველი თავის თავს არაფრად
აგდებდა. მიქროდა და ხანდახან დასტვენდა, რომ თავისი ერთგული პი-
რუტყვისათვის ემცნო — მოვდივარ და არსად წახვიდეო, ქოხს არ მოსცი-
ლდეო. და ის პირუტყვიც, ის მგელიც რომელსაც ოხუ ერთქვა და რომე-
ლიც ადამიანს დაუმეგობრდა, თითქოს თავისი ველური ალოთი გრძე-
ბოდა, რომ რაღაც საშინელი დარი ეპირებოდა, ყმუილით პასუხობდა და
ყმუილითვე ცდილობდა გარეთ დარჩენილი იპის გამნევებას.

იპის ერთი წელშამოხრილი კლდის ქვეშ, გვიმრებით შემოჯავულ
ჰატარა მინდორზე დაედგა თავისი ქოხი, რომელიც გვიმრებისვე ფოთ-
ლებით გადაეხურა. ქოხს ჰატარა ბილიკი მიუყვებოდა. მიმსვლელი,
რომელიც ამ ჰატარა ბილიკს არ იყო შეყოლილი, ქოხს ისე წაადგე-
ბოდა, ვერც კი იფიქრებდა, რომ იქ კაციშვილი ცხოვრობდა ვინძე.

იპი დაღლილი მივარდა თავის ქოხთან, ოხუმ ჰატრონს მიუალერ-
სა და როგორც იცოდა თავისი სიხარულის გამოხატვა ერთი ორჯერ ახ-
ტა და ამოტრიალდა, ჯერ შეკყმუვლა, მერე ფეხებში ჩაუვარდა, ლოკ-
ვა დაუწყო.

—კარგი ოხუ, კარგი, გეყოფა! ხომ ხედავ რომ მოვედი და არაფერი
მიჰირს, — მგელი უფრო ეტორლიალებოდა იპის და ულოკავდა დაკაწრულ
ფეხებს. — ვიცი, ვიცი ჩემი ერთგული მეგობარო, ჩემი დარდი რომ გქო-
ნდა, მე რა მიჰირდა, ვითომ პირველადაა ასე? გაჭირებას სხვის ადგას და
იმას უნდა ვუშველოთ. — იპიმ თავზე ხელი გადაუსვა პირუტყვს და მერე
ისევ განაგრძო, — ქოხში შევიდეთ, თორემ ხომ ხედავ რა ამინდი გვეპი-
რება.

მგელმა თათებით ჩააღო კარგები და შეი შემუნდულდა. ახალძო-
სულმა და ოხუმ შუაცეცხლის კერის მიაშურეს.

თითქოს ქოხის სახურავზე გავარდა მეხიო, ისე ახლოს დაიგრუხუნა
ალბათ მეხი მართლაც ახლოს დაეცა, რადგან ირგვლივ ისეთი დამწვრი-

ზის გავარდნას მერე ისევ ელვა მოჰყვა და გვიმრის ფოთლებზეც დაწეული შამოშხაპუნება.

სა და დამპალი შმორის სუნი ავარდა, რომ მგელმა თავი გააქტინირდა და გაულისებული ჭექა-ჭუხილის ღმერთი დააქროლებდა თავის ეტლს და მრისხანებას ხან სად სტყორცნიდა და ხან სად.

იპის თავისი ქოხი ისე კარგად დაეხურა გვიმრის ფოთლებით, რომ წვეთი არსაიდან ვარდებოდა. ესეც არ იყოს კლდეც საკმარისად იფარავდა. კერიაში გაღვივებულმა ცეცხლმა ქოხი გაანათა, უბრალო, ღარიბული ქოხი იყო სუფთად დალაგებულ-დაწერალებული. თაროებზე ათას-გვარი ზომის ქოთნები იყო ჩამორიგებული. ქოთნებში სხვადასხვა მცენარეების ნაყენი ესხა და ზედ გამოსარჩევი ნიშნები ესვა. ქოხის ორ კუთხეში ფუმფულა მოის თივა ეგო. ერთს, რომელიც უფრო ნაჯევი იყო, პატრონი იყენებდა, ხოლო მეორეს ნაგვიანევი სტუმარი ან ქოხში მოყვანილი ავადმყოფი. თივას ჭარის ბალახებისაგან დაწნული ზეწრები და გადასაფარებლები ეფინა.

გარეთ კი განუწყვეტლივ ჭუხდა და ელავდა ისე ძლიერ, თითქოს ზენაარსს გადაეწყვიტა მიყუჩებული ჭვერისათვის ძილის დაფრთხობა და შიშის ჩანერგვა. ცა მიწაზე ჩამოსვლას ცდილობდა.

—დაღლილო მზეო, დედაო ჩვენო, შენი მოღლილი მუხლების ჭირიმე, შეგვაფარე შენს კალთას, ნუ გასწირავ ჭვეყანას, საშველი დააყეხე. —ხელები ზევით აღაპყრო იპიმ და ლოცვა-ვეღრება დაიწყო. —შენ უშველე ყველა გაჭირვებულს და რისხვა აშორე.

თითქოს მავედრებლის ჯიბრზეო, ცაზე ელვის ისრები გაინასკვენ და დაიგრუებუნა, ზეცის რომელილაც მბრძანებელს გადაეწყვიტა დედა-მიწის მკვიდრთათვის ეგრძნობინებია მათი არარაობა და საკუთარი სიძლიერე. მიწა უჩვეულო რაღაცის მოლოდინში ცახცახებდა. და თრთოდა როგორც ფოთოლი ნიავის დაბერვისას.

—შენ შეეწიე, მაღალო მზეო, ყველა გაჭირვებულს! —არ ცხრებოდა, არ ეშვებოდა თავის კერპს მავედრებელი. მაგრამ მზეს ღრუბელი აფარებოდა და მისთვის ხმის მიწვდენა ძნელი იყო. ოხუც თითქოს რაღაც შველას ზევიდან ელისო, გვიმრით დაფარულ ჭერს შესჩერებოდა და და საცოდავად ყმუოდა.

—გეყოფა, ოხუ! —უთხრა იპიმ ერთადერთ სულიერს, რომელიც იმას-თან იყო, და ქოთნების გაღმოლაგებას და ცეცხლთან მიტანას შეუდგა. — აღბათ ჯერ არ გამოიდარებს, ჩვენ კი მაინც ჩვენი საქმე გავავკეთოთ. —იპი ცეცხლთან ჩაცუცქდა და ჩვეულ საქმიანობას შეუდგა. ოხუც გვერდით მიუჩიდა.

დიდხანს ფუსთუსებდა იპი ცეცხლთან, დიდხანს ნაყავდა რაღაც მარცვლებს და ბალახებს როდინში და როგორც იქნა საწადელს მიაღწია,

— მალამო, რომელიც იარებს განკურნავდა და იმ კაცს უსაშევეტებდა, მზად ჰქონდა.

— ესც ასე, ჩემო ოხუ! — შვებით წარმოთქვა იპიმ და შეკრულებულიმდარი შეაჩერდა. მგელმა რომ იფიქრა როგორც იქნა პატრიატიზმის უნდიო, ერთი შეუმუვლა და მერე ფეხებთან დაუწყო ლაქუცი იპის, უკელაზე საყვარელ არსებას.

იპიმ ქოთხები მიალაგა. მერე ქოხის კარი ოდნავ გამოაღო და გახრის-ხებულ ცას შეხედა. ცას პირი არსად გაეხსნა, გამოდარებას ხომ არა და არ აპირებდა. იპი ერთმა რამ გააოცა: ამ ღრუბელჩამოწოლილ უკუხეთ ღამეში თითქოს სულ ძირს, მიწასთან სულ ახლოს ვარსკვლავი რაღაც კაშკაშებდა ობლად. გამოცდილმა ვარსკვლავთმრიცხველმა ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერ გაიხსნა, რომელი ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო ასე ახლოს მისული ცოდვილ მიწასთან. ვერაფერ აზრს მისწვდა. მერე დაასკვნა, საღმე გამოქვაბულში მწყემსები იქნებიან თავშეფარებულნიო და კარი მოიხურა.

— ახლა კი ვივახშმოთ! — მიმართა ოხუს და სანოვაგის გადმოლაგებას შეუდგა. მგელმაც, თითქოს ამას უცდიდაო, სიხარულით დაიწყო ცემუტვა. — რა ვქნათ ჴა, ოხუ? ჩვენ კი ვივახშმებთ, მაგრამ იმ გაჭირვებულ კაცს როგორ ვუშველოთ? — მგელი მიუხვდა სათქმელს თუ ისე მოუნდა ყმუილი, თითქოს რაღაცას ეუბნებაო, შეჰყმუვლა და მერე ჩანუმდა.

გარეთ უკუნი, კუპრივით შავი ღამე იდგა. ოხუ ვეება ჯამში ჩამბალ ქერის პურს თქველეფდა და კრუსუნზე ეტყობოდა, რომ ძალიან სიამოვნებდა. იპი უგემურად იღეჭებოდა და გამხმარ ლუქმას ხრიკიდან თითო ყლუპ წყალს აყოლებდა. იპი ჩაფიქრებული იყო. სხვა ღროს, როცა საზრუნავი არ ჰქონდა, ყოველთვის ელაპარაკებოდა ხოლმე მგელს. ახლა ამისათვის არ ეცალა, ფიქრს მისცემოდა.

იპის ფიქრიც კი ეშინოდა იმაზე, რომ ზეცის მბრძანებლის არსებობაში ეჭვი შეეტანა, ან მის ძლიერებაში. ეშინოდა რომ თავისი დაეჭვება სხვას არ გადასდებოდა. თუ კი ოდესმე გაიფიქრებდა ამას, მაშინვე მიაყოლებდა: — შენ, შენ ხარ ძლიერი მზეო, შენ ხარ გამრიგე ჩვენი ბედისა. შემინდე უაზრო აზრი.

იპიმ უფრო იმიტოშ, რომ მოძალებული ფიქრი გაეფანტა, ოხუს მიმართა:

— არა, ჩემო ოხუ! ასე არ იგარებს! უნდა ვიღონოთ რამე თორემ ცოდვაა და მზის რისხვა არც ჩვენ მოგვაკლდება. — მგელმა კუდი აპრიხა, თითქოს დაეთანხმაო და ოთხზე დადგა. — ჴო, მართალი ხარ, უნდა წავიდეთ! — და ისე, რომ იქაურობა არც კი მიულავებია, წამოავლო ერთ-ერთ ქოთანს ხელი, ბლის დამბალი ქერქი გადახურა და კარი გააღო.

დიდხანს იარეს კაცმა და მგელმა სიბნელეში, ვიდრე სოფლამდე მიაღ-

შევიდნენ. დალპენ, წყალი და ოფლი სულ წურწურით ჩამოსდიოდათ. შევ-
რამ სოფელში მაინც შევიდნენ.

ავადმყოფის პატრონი არც კი ელოდა თუ ასე გაიმეტებოდა შევიდნენ. — შეიძლება შევიდნენ მე სულიერი თავს, რომ სხვისი სიცოცხლე ეხსნა.

კაცი და მგელი შინ შევიდნენ. ოხუს — მგელს არავინ ერიდებოდა. რადგან მისი გაწვრთნილობა ყველაზ იცოდა. ოხუ იქვე კუთხეში მიიკუ-
ნტა, უცხო ოჯახს დაუჩვეველი. იპიმ ავადმყოფს მიაშურა.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭას. არ მორდებოდა ავადმყოფის სასოფუმალს. იარები მართლაც რომ სავიშვიშო და სავალალო იყო. იპის მალამომ მაინც თავისი ქნა. გამთენისას დაუამდა ტკივილები, როგორც იქნა მოისვენა ავადმყოფმა.

რაურაუი იყო, როცა იპი და ოხუ, მთისკენ, ქოხისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ჯერ ბნელაო, ნუ წახვალთო, — უშალეს. არ დაიშალა, — ქვეყნად სხვებიც იქნებიან გაჭირვებულები და ვინ იცის მომაყითხოხო, იმათაც ხომ უნდა შველა, დავვინება არც იმათთვის ივარგებსო.

იპის ვეღარ შეეკამათნენ, წინ ვეღარ აღუდგნენ.

მშვენიერი დილა თენდებოდა. ისეთი დილა, როგორიც ხშირად იცის მთაში, როცა წვიმის შემდეგ გამოიდარებს, როცა ცა მოკრიალდება და ჰაერიც ლურჯია.

მზემ თავისი პირველი სხივები მაშინ სტყორცნა ხერხივით დაკბი-
ლულ მთებს, როცა იპიმ და ოხუმ ქოხის კარები შეაღეს.

იპი დაღლილი და ღამენათევი იყო. ქოხში შესვლისთანავე შიეგდო
საწოლის ფუმფულა თივაზე და თვალები მიღულა. ეძინებოდა. ოხუც იქ-
ვე განერთხო და წათვლემა არც მას გასჭირვებია.

რამდენ ხანს იყვნენ ასე ვინ იცის. იპი ოხუს წამოყმუვლებამ გამო-
ალვიძა.

— რა მოხდა, ოხუ? — შეეკითხა იპი და მგელს მიაჩერდა. — ოხუ, რა
მოხდა? — უფრო ხმამალლა ჰკითხა იპიმ და წამოიმართა. ოხუმ მაინც არ
შეხედა პატრონს და ყმუილი განაგრძო. კარგი ნიშანი არ იყო.

ოხუ დაიძაგრა, შინდის მოღუნულ სახრესავით ერთბაშად გაიმართა
და კარებს ეცა. კარები წინა თათებით ჩააღო და გავარდა. იპიც უკან
მიჰყვა. მან საკმაო მანძილზე სდია ოხუს, მაგრამ რას დაეწეოდა, მერე
ხელით მზე მოიჩრდილა და ისე ხედავდა ოხუს, რომელიც კამარა-
ზე კრავდა და ქარივით ევლებოდა კლდე-ლრეს.

— ოხუ! ოხუ! მობრუნდი ოხუ, სად მიხვალ ოხუ!? — მაგრამ ოხუს
მისი ხმა აღარ ესმოდა.

იღვა იპი გახევებული და ვერ გაეგო: რამ გატყორცნა ასეთი ძალით
მისი უღალატო მეგობარი. მაგრამ ის კი იცოდა, რომ უბრალოდ, უძიზე-
ზოდ არ შეტორიაქდებოდა მეგობრის გული, ანდა შეიძლება ეს სისხლის
ყივილი იყო, ნადირთა უახლოესი ნათესავისა.

დიდხანს იდგა იპი ქოხის წინ. იგი გასცემოდა აბიბინებულ შე-
დვრებს, რომელმხედაც ლორთქო, მოლურჯო ბალახი ხასხასებდა. მდგა
და ჩაფიქრებულს ხანდახან თუ გაახსენდებოდა, რომ დაეძახა: უკრაინული
ოხუ! მაგრამ იპის ყურებს საკუთარი ხმისა და მოების გამოძახილის შე-
ტი არაფერი ესმოდა.

— ოხუ! ოხუ! — შესძახა იპიმ მოებს და მისი ხმა კვლავ უპასუხოდ
რომ დარჩა, საბოლოოდ გადაწყვიტა ისევ გაინაღირა და ის-ის იყო ქოხ-
ში შებრუნება დააპირა, რომ შორიდან, თითქოს ქვესკნელიდან მგლის
ყმუილი შემოესმა, მგლის ნაცნობი ყმუილი.

— ოხუ! ოხუ! ჩემო ოხუ, სადა ხარ, სად! — დაიყვირა რაც შეეძლო
ხმამაღლა და ყური მიუგდო.

იმ შორიდან კიდევ არ წყდებოდა ოხუს ძახილი. იპი ცდილობდა შო-
ებმო საიდან მოდიოდა მეგობრის შეშფოთებული ხმა. მერე როცა გო-
ნებაში გამოთვალი ნიავის ქროლვა, ხეების შარიშური და ის დრო,
რაც ოხუს გავარღნიდან გავიდა, ყველაფერი მოისაზრა, მოზომა და
თავქვე დაეშვა.

— მოვდივარ, ოხუ!

მირბოდა იპი და სირბილის დროს თავის თავს ეკითხებოდა თუ
რა უნდა მოშენარიყო იქ, რამ მიიზიდა ეს ტყის ყოფილი ბინადარი. ან-
და ასე შორს რას დაპკრა გეში?

მირბოდა იპი და სულაც ვერ გრძნობდა როგორ უშუშხავდა დი-
ყის ფართე ფოთლები შიშველ კანჭებს და როგორ ესობოდა კახჭებში
კუნელის ეკლები.

— ოხუ! ოხუ — მალმალე გასძახებდა იგი და სირბილშივე ყურს უგ-
დებდა მგლის მოძახილს, რომელსაც თანდათან უახლოვდებოდა. ალბათ
მგელიც გრძნობდა მეგობრის მოახლოებას, მის ცდილობას რომ იგი ეპო-
ვნა თანდათან უფრო მოკლე-მოკლე და ხშირ-ხშირად უძახდა ყმუილით.

ბევრი ირბინა იპიმ და როგორც იქნა იპოვა. ოხუ მომაღლო ბორც-
ვზე წაძომჯდარიყო. იგი ჩვეული ალერსით შეხვდა პატრონს, შაგრამ
თვალები ისე არ უციმისმებდა, როგორც შეხვედრების დროს იცოდა
ეს მაშინვე შეატყო იპიმ, რადგან ამქვეცნად ამ ორ არსებაზე ერთმანეთის
უკეთ გამვები არავინ იყო. ერთმანეთისა კარგად ესმოდათ კაცსა და ნა-
დირს.

— ოხუ, ჩემო ოხუ! ჩემო კარგო ოხუ! — იპიმ თავზე ხელი გადაუსვა,
მაგრამ მგელმა თავი გააქნია, თითქოს უთხრა ამის დრო არ არისო, და ტა-
ნსაცმლის კალთაში წვდა და გაიწია.

კაცი მიხვდა, რომ მგელს, რომელიც სიცოცხლეს გასწირავდა მისთ-
ვის, ახლა მის საალერსოდ არ ეცალა. და მიჰყვა ნებას. ოხუ წინ გაუძლვა-

ბევრი არ უვლიათ. ერთ კლდის ძირში მიიყვანა, იელის ბუჩქებან. მგელმა ერთი კიდევ შეჰყმულა და ცალკე მღვიმე ბუჩქთან მიძუნდოდა.

იპი ყველაფერს მოელოდა, ერთი ფიქრი ისიც იფიქრა, რატომ უმარტვისა ან ტყის ნადირი თუ ჩაიჩეხა საღმე წუხანდელი წარლვნის დროს და მოძმის სისხლმა თუ აგრძნობინა ოხუს გაჭირვებათ. მაგრამ საქმე ასე სხვანაირად თუ წარიძარობოდა ეს ყოვლად წარმოუდგენელი იყო შის-თვის. ანდა რა აფიქრებინებდა ასეთ ამინდში თუ ვინმე გზა-კვალ აბხეული, აქ სადღაც ნადირთა და მიკიოტთა სამეფოში კაცის მოდგმისა. თუ ვინმე გაბედავდა ხეტიალს.

ჰო, ამას სულ არ მოელოდა და მოულოდნელობისაგან გახევდა:— ბუჩქებში მოძავდავი ქალწული ეგდო.

—ოხუ, ეს ვინ არის, რამ მიიყვანა აქ ეს უბედური?! —იპი არ მოერიდა არც გამხმარ ტოტებს, არც ნორჩი ტოტების სახეში ტყლაშუსს, გადასწია ბუჩქი, სულთმობრძავს თავზე დაადგა.

იპიმ ზევით აიხედა. მის გონებაში უცებ თვალნათლივ წარმოისახა ის ამბავი, რომელიც აქ უნდა დატრიალებულიყო იმ წყეულ ღამეს: ქალი ალბათ გზად მიღიოდა, ჩამობნელებამ გზა-კვალი აუბნია და ამ გარდნილს შოაყენა... მერე, მერე ფეხი მოუცდა ალბათ და დიდი სიძალლი-დან იყო გადმოვარდნილი, დიდი სიმაღლიდან. მაგრამ ეტყობოდა იელის გაბაძრულ ბუჩქებს თავისი ტოტები მაშინვე ხელებად დაეხვედრებიათ მისთვის და მერე ნელ-ნელა დაეშვათ მიწაზე, თავისივე ძირში, რბილ და ნოტიო მიწაზე.

—ვი, ფიქრობდა იპი, —ეს ასე იქნებოდა, მაგრამ ამ დროს, რა უნდოდა, რამ მიიყვანა აქ, რამ დაატანა ძალა? —ამ კითხვისათვის პასუხი ვერ მოეძებნა ყოვლის მცოდნეს, მაგრამ სჯეროდა რომ დრო ამ ამბავსაც ამოახსნევინებდა.

როგორც იქნა იპიმ ქალი ხელებით აზიდა. მერე ნელ-ნელა გადმოაბიჯა გადათელილ ბუჩქებს და მომაკვდავი პატარა მოშიშვლებულ შინდორზე, რომელსაც ხავსა ბალახა მოსდებოდა, ღააწვინა.

ქალს არაფერი უგრძნია. იპიმ მკერდზე მიაღო ყური, იქიდან ნელი ფეოქვა მოისმოდა. გახარებულმა იპიმ იქვე, ირმის ფეხის ნადგამიდან ჩაგუბებული წყალი ამოიღო მუკით და სახეზე აპკურა: ერთხელ, კიდევ ერთხელ, კიდევ და კიდევ. ქალი შეირჩა.

—იცოცხლებს, ოხუ! იცოცხლებს! —წამოიძახა —გახარებულმა იპიმ და მრავალძარღვათი სახე დაუსრისა. ქალმა თვალები გაახილა და გარე-მოს თვალი უაზროდ მოავლო.

—ცოცხალია! ცოცხალი! —კვლავ ხმამაღლა შესძახა იპიმ. პატრონის სიხარული რომ შეიგრძნო, ოხუ ორჯერ ახტა და ამოტრიალდა ჰაერში. —ყოჩალ, ოხუ! ყოჩალ! —შეაქო იპიმ თავისი მგელი.

ქალს ყოველ შეხებაზე სახე ტკივილებით ემანჭებოდა, მაგრამ იპი-

ამას ყურადღებას არ აქცევდა. მას ეჭივი არ ეპარებოდა, რომ თუ ფეხს
ქოხამდე ცოცხალს მიაღწევინებდა ამ ტყის ფერის, მერე მის სიცოცხლეს ვერაფერი გამოსტაცებდა და ეს იქნებოდა ყველაზე უსისამაგრესული, რაც მას მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში გაუკეთებია.

პო. ყველაზე დიდი მადლი. ასე ეგონა იპის თორემ ისე ვის იცის რამდენი ასეთი მადლი ჩაუდენია. რამდენი დაჭრილი კაცი თუ ნაღირი გადაურჩენია. ამიტომაც იყო, რომ მას არც მეტყველი და არც ტყის ნაღირი არ ერიდებოდა.

ი თუნდღც ოხუ. ლეკვი იყო ოხუ, როცა იპიმ წელმოწყვეტილი იპოვა. მგლის ლეკვს აგორებული ლოდი დასცემოდა და წელი გადაეძინა. იპიმ მაშინვე იყვანა. ქოხში მას არტახები დაადო. ფსიტის რძეს ალევინებდა. ბევრს იტანჯებოდა ოხუ მაშინ. ბევრჯერ ცრემლნარევი თვალებით შეუხედია იპისათვის, მაგრამ ცხოველური გრძნობა, რომ მისი სიცოცხლისათვის მისი და მისი ჯილაგის ღმერა: იბრძოდა, შოთმინებით იტანდა მყურნალის ტლანქ, მაგრამ შვებისმომგვრელ ხელის შეხებას. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. და ი, ახლა ოხუ, უკვე დიდი შეელი, მისი განუყრელი მეგობარია. აღარც ოხუს უცდია მისი მოცილება, იმ ადამიანისა, რომელიც მის ცხოველურ გონებაში სამუდამოდ ჩაიჭედა როგორც მზის სხივისათვის თვალის პირველი მოკვრა, როგორც ყველაზე ბნელი ღამის შეგრძნება, როგორც თვით სიცოცხლის აღქმა. ეს კარგად პხსოვდა ოხუს და ცდილობდა ამაგი არსოდეს დაუვიწყნა, თავისი ცხოველური ერთგულებით მუდამ მხარში დგომოდა, მაგრამ იპიშ ამის გახსენება არ იცოდა. მას სწამდა, რომ ყველაზე უფრო დიდი სიკეთე ის არის, რასაც იმ წუთში ჩადიხარ. იმ წუთში იპისა და ოხუს წინ მომაკვდავი მშვენება იყო.

იპიმ ბუჩქებში გატაპარიას ნორჩი ყლორტები იპოვა, ხელში მოსრისა და მერე ქალს მიუტანა ცხვირთან.

ქალმა კვლავ გაახილა თვალები. მერე მგლისა და კაცის დანახვაზე შეჰქივლა და შიშარევად იკითხა:

— სად ვარ? ვინ ხარ?

— ნუ გეშინია ქალო, ნუ, ნურაფერს ინაღვლებ. — წყნარად უთხრა დაჩქქილმა იპიშ და ნაზად, ძალიან ნაზად გაუღიმა.

ქალს ეტყობოდა რალაცას სწუხდა, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა თავისი საწუხარი გამოეთქვა. მერე როგორც იქნა მოძალებულ ტკივილებს აჯობა და იკითხა.

— სად, სად არიან ისინი? ვერ მომავნეს? ისინი ხომ მომდევდნენ, ვერ დამეწიენ? — ქალს სახე წამოენთო, მაგრამ ისინი, რომლებიც მისდევდნენ, იქ ვერ დალანდა და ისევ განაგრძო, — ოღონდ იმათ არა, ოღონდ იმათ ნუ მიმცემთ და აქვე მომკალით, არ მინდა სიცოცხლე!

— დამშვიდდი ქალო, ნუ გეშინია, აქ შენ არავინ არაფერხ გამოეძახ!

— გაუმეორა იპიშ.

ქალი მიენდო მომღიმარ სახეს და ოვალები მილულა. ჭრიანა მარტო ცრემლები გადმოუკორდა ღაწვებზე. რომლებიც მზის ცხოველშეყოფელ სხივებზე მარგალიტებივით აელვარდნენ.

იპიმ ნელა ასწია ქალი, ხელებზე გადაისვენა და დაადგა თავისი ქონისაკენ მიმავალ ბილიკს. მიდიოდა და თან სათუთად მიჰქონდა სხეული, რომელსაც სული უნდა დაბრუნებოდა.

ოხუ ხან წინ გაცუნცულდებოდა, ხან უკან ჩამორჩებოდა, თავის სიხარულს მოკლე-მოკლე წამოყმუვლებით აღასტურებდა.

...ფრთხილად დააწვინა საწოლზე იპიმ ქალი. მერე საწოლის წინ დაიჩოქა და ქალს სახეზე დაცქერდა. დიდხანს დასცქერდა იპი. მან რაღაც უჩვეულო რამ იგრძნო. გულში თითქოს ერთი აღგილი უფრო აფორიაქდა და მიხვდა იპი, რომ ეს აღგილი აღრე ცარიელი იყო. ცარიელი იყო და ახლა ივსებიდა. ამ შევსებამ და ახლის შეგრძნებამ შესძრა იპი. ტანში ერუანტელმა დაუარა და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ხელები მაღლა ატყორცნა და შესძხა:

— მაღლობა შენ, დიდო მზეო, რომ ამ არსებისათვის არ ჩაქრი.

იპის წუხანდელი ვარსკვლავიც გაახსენდა და ის ბედის თუ უბედობის ვარსკვლავი ამ ქალში ამოიცნო.

იპი ფიქრებიდან გამოერკვა, თითქოს მოხმარებას ითხოვსო, ოხუს მიმართა: — მზემ თავისი ქნა, ჩემო მეგობარო, ახლა ჩვენც ხომ უხდა ჩვენი ვცადოთ? — და იპი თაროზე შედგმულ ქილებს მიწვდა.

— ეს რა ბალაზია?

— ქათამნაცარა.

— აი, ეს?

— ეს, გვირილაა.

— რა ლამაზია? — შესძახა სიხარულით უუუმ. — აი, ეს, ეს რა არის?

— ეგ ველის დიყაა, ეს კი ეკალაა, ეს ცხენიოფლაა, აი იქ, ქვევით რომ მოჩანს ლურჯად — ლაქაშია. ჩეენს ქოხს გარს რომ არტყია-გვიძრაა.

ქალი ეკითხებოდა და იპი პასუხობდა. თან იშას უხსნიდა თუ რომელი ბალახი რა ავადმყოფობას სჭობნიდა.

— გახსოვს იპი, ოხუმ და შენ რომ მიპოვეთ, — ეკითხებოდა ქალი,

— მდევარი რომ წამოგვწეოდა, დაუთმობდი ჩემს თავს?

— მშობლების წინაშე ყველა შვილი ვალდებულია, შვილი შეძობლებს ეკუთვნის.

— თავის თავსა არა?

— მშობლების წინაშე ყველა შვილი ვალდებულია.

ქალი დაიბნა, კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხნა, მაგრამ დაიბნა, შერე სახეზე ტანჯვისმაგვარი რაღაც გამოეხატა და ხმამაღლა ჰკითხა:

— კი მაგრამ, იმათ ხომ გამყიდეს?

— ალბათ ძალიან უჭირდათ და იმიტომ. — მორიდებით მიუღო

ვაუჭირვებლად მშობელი შეიღს არ გაჰყიდდა.

ერთ-ერთი
შემოწმება
გამოცხადება

— იმათ უცხო ხალხს მიმცეს, გადამთიელებს!

— სხვა შეიღებიც ჰყავდათ, მათი შენახვა უზუდოდათ, ერთ-ერთი

სხვებს ანაცვალეს.

ქალი ჩაჩუმდა, აღარ იცოდა რა ეთქვა.

— არა, მე არასოდეს გავყიდი ჩემს შვილს.

— ადამიანის გაყიდვა-გაცვლა დანაშაულია. თუმცა ცხოვრება გაძო-
კანაა, მშ დალოცვილი მზის ქვეშ ბევრი რამ ხდება, ნუ, ნუ განვსჯით
სხვებს, უფრორე მშობლებს.

სიჩუმემ მოიცვა გარეშო, საღლაც სერჩე მხოლოდ გუგულის,
უნათესაო არსების ხმა ისმოდა.

ახალგაზრდა ქალს ყველა საზრუნავი დაავიწყდა და სახე გაუცისკ-
როვნდა.

— აი, ამას, ამას რა ჰქვია? — ისევ შეეკითხა იპის და მოლიდან ბა-
ლახის ნაზი ლერო მოწყვიტა.

სამყურაა.

— სამყურა! — გაიმეორა ქალმა. — ლამაზია. რა ლამაზი სამი ყური
აქვს, მაგრამ მე სულ სხვა რამეზე გამეცინა.

— რატომ გაგეცინა? — ჩიეკითხა იპი და ისე შეხედა, როგორი შზე-
რაც ჯერ არცერთ სულიერისათვის არ გაემეტებინა.

— რატომ? აი რატომ: ეს შენა ხარ, ეს მე, ეს კი ჩვენი ოხუა. ხომ
ასეა?

— კარგი, რადგან ასე გინდა ასე იყოს, — იპი ვერ ამჩნევდა, რომ არა
მარტო ახლა, არამედ საერთოდ უუსუსთან დამთმობი ხდებოდა.

მერე ორივე ქოხისაკენ წავიდნენ, რომლის წინ ოხუ უზრუნველად
კოტრიალობდა.

.. წელიწადი მიიწურა, რაც ამ ქოხში ორის ნაცვლად სამი შეგობა-
რი ცხოვრობდა და ერთმანეთს ეხმატებილებოდნენ.

როცა ქალი მოსულიერდა და ფეხზე წამოდგომა შესძლო, იპიშ მა-
შინ ამოისუნთქა შვებით. ამოისუნთქა, მაგრამ მერე სულ სხვა გრძნობა
დაეუფლა. ისეთი გრძნობა, რომელიც აქამდე არ განუცდია და თავი
ავადმყოფი ეგონა. წამალიც ვერ გამოძებნა ამ ავადმყოფობისა სხვათა შეუ-
ანალმა. ტანში ამტკრევდა, გული უფრო გამალებით უცემდა, შორს
წასვლა აღარ ესურვილებოდა, მუდამეამს შინ ჯდომა სურდა, უუსუსთან
ჭუკჭუკი. თითქოს ოხუც გაიუცხოვა, თითქოს ქვეყანა უფრო დაპატარა-
ვებული და მის ქოხში გამომწყვდეული ეჩვენებოდა.

— უუ, ხალხში დაბრუნება არ გინდა?

— არა, არა ჩემთ ღმერთო, სხვაგან არ მინდა, არ მინდა თქვენ გრე-
ცალოთ, იქ მეშინია.

ეს პასუხი ახარებდა იპის, მაგრამ როცა წყლის დასალევაზე კიდევ ეჭურ-
რაზე დაიხრებოდა და შევერცხლილ თმა-წვერს დაინახავდა, უფრო უკუ-
გაახსენდებოდა. მისი ნორჩი სახე, მისი მოკასკასე თვალები და ტახში
გააკრუოლებდა.

იპი რწმუნდებოდა, რომ ქვეყანა მარტო ბალახებით, მიწა-მოცვათი
და მარწყვით არ ყოფილა სავსე. ქვეყანაზე კიდევ არსებულა ისეთი რამ,
რაც უფრო სანეტარო და სასურველი იქნებოდა, თუ ასე არ დაიგვი-
ანებდა.

გვიან გაჩნდა ეს დროული კაცი ამ ქვეყანაზე. გვიან იშვა და ეს დაგ-
ვიანება უჟუს ამ ქვეყნად, მის სამფლობელოში მოსვლამ ამცნო. კაცს რო-
მელსაც ეგონა სამყაროს ყველა საიდუმლოება ვიციო, ახალი აძლესაც-
ნობი, თავსატეხი გაუჩნდა.

იპი გრძნობდა, რომ რაღაც ძალა დაეპატრონა, შეჰქრა, და ამ ძალის
ყველა მოსართავი უჟუს ხელ ეპყრა. უნდოდა ეთქვა: შეუშვი ხელი, ეგებ
მეშველოსო, მაგრამ გუბურაში როცა ჩაიხედავდა, თავის ჭალარას რომ
დაინახავდა, უჟუს სახე გაახსენდებოდა და ვერაფრის თქმას ვერ ბედა-
ვდა.

იცოდა იპიმ ცეცხლს ეთამაშებოდა და ეს ცეცხლი თანდათან ძლიე-
რდებოდა და გულსა და სულ უდაგავდა. მერე კი უფრო თავისთავის
გამოსაცდელად, ვიდრე უჟუსი ისევ ჰკითხავდა:

— უჟუ, შინ დაბრუნება არ გინდა?

— მე თქვენთან მინდა, იქ მეშინია. აქ კარგია, იპი და ოხუ ყველაზე
კარგები არიან ამ ქვეყნაც.

— მაშ სულ აქ იქნები?

— აქ, იპი!

— არ მოგწყინდება?

— ო, არა იპი.

— რა კარგია, უჟუ, სულ სამი ვიქნებით: შენ, მე და ოხუ.

— ჰო, შენ, მე და ოხუ!

ოხუს ხშირად მოუსმენია მათი საუბარი და როცა თავისი სახელი
გაუგონია, შეუყმუვლია, შემხტარ-შეკვინტრიშებულა...

— ეს ბაბუაწვერაა!

— ეს?

— ჰო, ეს ბეჭდვისთვალი.

— ეს რაღა არის?

— ეს ცერეცოა, ეს კი მრავალძარღვა.

— ამას რა ჰქვია?

— ეს ხომ გასწავლე, სამყურაა!

— შენ, მე და ოხუ!

— შენ, მე და ოხუ! ხომ კარგად მოვიგონე?

— რა კარგი ხარ, უჟუ!

— შენ, მე და ოხუ!

იპის ეშინოდა ეს სცემორეული კაცი სულ არ გაბავშვებულიყო და ცდილობდა თავისი გრძნობები მარტო თავის საიდუმლოდ დაეტოვა, თუმცა ყოველთვის როდი ახერხებდა ამას. ყველაზე დიდი ღმერთი მზე კარგვალზე დადიოდა და სულაც ვერ ამჩნევდა, რომ ერთი თმაშევერცხლილი კაცი შეპხაროდა და ლოცულობდა, რომ მას თავისი სალოცავი მზე ჰყავდა თავის ქოხში და დიდი მზე სულაც არ აგონდებოდა.

და იპიმ შესცოდა. შესცოდა მზეს, მოვარეს და ვარსკვლავებს — მან სულ სხვანაირი სიცოცხლე ინატრა. ისეთი სიცოცხლე როგორითაც ჯერ არ უცხოვრია.

მაგრამ ეს მხოლოდ გულში გაივლო იპიმ.

* * *

იპის იმ დღეს ძალიან შეაგვიანდა. სადილობაგადასულამდე სოფელში დაჭყო ავაღმყოფთან, როცა იგი მოამზობინა, თავისი ქოხისაკენ გამოეშურა, გზადაგზა მაყვლის ბუჩქებს წერპოტინებოდა და კალთაში მარცვლებს იგროვებდა. მოუხაროდა შინისკენ იპის, შინისკენ. საღაც თრი მეგობარი უჟუ და ოხუ ეგულებოდა.

შორიდან, ქოხს რომ გახედა გულმა რეჩხი უყო. სხვა ღროს ქოხის წინ გამოსული უჟუ და ოხუ ხვდებოდნენ, ეგებებოდნენ. ახლა არც ერთი ჩანდა და არც მეორე. ფარსაგი ხომ არა გვჭირს რამეო, გაიფიქრა იპიმ.

სირბილით გასწია, აღმართში არ შეუსვენია. თავისი ქოხის აღმართს რომ შეუდგა, ცხენის ნაკვალევს ჰყიდა თვალი. კიდევ უფრო აუფორია-პატარა აღი რომ ავარდა, კვარი მიუშეირა. კვარმა ოდნავ გაანათა ქოხი. იპიმ მოიხედა, თითქოს ყველაფერი თავის აღიღინზე იყო, მაგრამ არც იყო.

ქოხის კარები სასწრაფოდ ჩამოაღო. ქოხში არაფერი ჩანდა, კერია მიმქრალიყო. იპი მიჩვეული იყო თავის ქოხს და კვარი მოსძებნა. შერეკერასთან ნაკვერჩხალი გამოჩხრიკა და თივა დააყარა. სული უბერა-პატარა აღი რომ ავარდა, კვარი მიუშეირა. კვარმა ოდნავ გაანათა ქოხი. იპიმ მოიხედა, თითქოს ყველაფერი თავის აღიღინზე იყო, მაგრამ არც იყო. უცებ ყრუ, საცოდავი ყმუილი მოისმა.

— ოხუ! შე საცოდავო, ეს რა მოგსვლია? — იპი ეცა მგელს. შეელმა საცოდავი წკმუტუნი გააბა, ისეთი, აი, სწორედ ისეთი მაშინ რომ აიყვანა, ლეკვობისას. — ოხუ, ეს რა მოგსვლია-მეთქი?

ოხუ სისხლში იყო მოთხვრილი, ძლივს სწევდა თავს.

— ოხუ, უჟუ სად არის?

მგელმა შესაბრალისად შეცყმუვლა. იპიმ აღარ იცოდა რა ექნა. ეს-

კი შეატყო მგელს რომ მას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა — ჩემო საბრალო ოხუ, ჩემო მეგობარო! — იპიმ თავზე გადაუსვა ხელი, მე- რა ჭრილობა უნახა, და დარწმუნდა რომ იგი არ ცდებოდა, ოხუ მის ძალა- ლას უცდიდა და სულიც კბილებით ეჭირა! — რა მოხდა მეგობარის მიმდევა- სად არის, ოხუ? — მგელს არაფრის თქმა შეეძლო, თუმცა მისი ჭრილო- ბა უკვე ბევრ რამეზე ლაპარაკობდა.

ამ დროს კერიაზე ცეცხლი გაძლიერდა და იპიმ ჰირკვზე დაწყობილი სამყურა ბალახები დაინახა. მივიდა, დახედა და თავში წაიშინა ხელე- ბი.

სამფეხა სკამზე ერთგან სამი ღერი სამყურა ბალახი იღო. იპი, უკუ და ოხუ. ორი მათგანი დამჭვნარი იყო. ერთი სულ ქორფა. შერე მოშორებით ორი ხმელი სამყურა: იპი და ოხუ, ხოლო კიდევ მოშორებით ორი ნორჩი სამყურა უკუ და ის. სხვა სინორჩე, რომელიც ცხენზე აშედ- რებული მოვიდა და ერთი აქაური სინორჩე გაიყოლია.

იპი ყველაფერს მიხვდა, რომ ქვეყნად ბალახებისა და წამლე- ბის გარდა კიდევ არსებობს სხვა რამ, რომ ის სხვა რამის მკურნალობა შას არ შეუძლია. და იმასაც მიხვდა იპი, რომ უკუ გატაცებული არ იყო, იგი ნებით წაეტანა მათ ქოხში შემოჭრილს, რომელიც ალბათ ახალგაზ- რდაც იყო და რომელმაც იცოდა, რომ ქვეყნად ბალახებისა, კენკრისა და ძირხვენების გარდა არსებობდა კიდევ რაღაც უფრო დიდი, უფრო აძა- მალლებელი და მას ხალხში სიყვარულს უწოდებენ. და ეს კარგად წაი- კითხა ჯირკვზე დაწერილ წერილში. და ის კარგად წაიკითხა ოხუს სისხლზე, რომ მისი ძველი და უცვეთელი მეგობარი იცავდა მას, იცავდა იმ გრძხო- ბას, რომელმაც სამუდამოდ ერთმანეთს დააკავშირა მგელი და კაცი. და მგელი იცავდა მის კაცობს.

იგი წელმოწყვეტით გამოვიდა გარეთ. მოსწყვიტა მოუჭევავ სამყურე- ებში ერთი სამყურა, ხელში ატრიალა, რომელსაც მხოლოდ ორი ყური ჰქონდა. მერე ნელა გასწია თავისი ქოხის ახლო გვიმრნარისაკენ და იქ ჩა- ჭდა. ჩაჭდა და ხელში ცალყურჩამოცლილ სამყურა ბალახს დაუწყო თამაში.

— იპი, ოხუ! ოხუ, იპი! იპი, ოხუ, იპი! — მესამე სახელი არ უსხესნებია, რადგან ბალახს მხოლოდ ორი ყური ჰქონდა.

უცებ მან ვიღაცის შეხება იგრძნო, მიიხედა, თავისი მგელი დაიხახა, ისიც მასთან მოცოცებულიყო გვიმრებში და გვირდზე აკვროდა. კაცი და მგელი დიდხას იჯდნენ გვიმრებში.

და ახლაც ამბობენ: უცებ მთებში გაისმა მეხივით შეძახილი — უჟუ... — რასაც მოჰყვა მგლის ძლიერი ყმუილი და მერე ყველაფერი წყვდიად- ბა და სიჩუმემ შთანთქაო... .

დილით სოფლიდან ასულან იპის სანახავად. ბევრი უძახნიათ. პასუხი კი არ მიუღიათ. ქოხში შესულან. ქოხში კაცის ჭაჭანება არ ყო-

ფილა არც იპი ჩანდა, არც შეკედლებული ქალი და არც მისი ერთგული მგელი. უძებნიათ სამივე. იქვე, გვიმრებში ქვის ორი ლოდი უპოვნიათ. მა-
თი მუხლებზე თავდამხობილ კაცს ჰგავდაო, მეორე კი მის გვერდით
მოკუნტულ ძალსაო. კაც-ქვას ხელის მსგავს მტევანში სამუშაოა ჭრულა-
ხის ორყურიანი ბალახი სჭერია. ვერაფერს მიმხვდარან, მაგრამ რაღაც
ძრწოლა მანც დაუფლებიათ და მზისკენ აღუპრიათ ხელები სალოცავად..

* * *

დმ ზღაპარს არც ისე ხშირად ყვებიან იქ, შალლა, მთათა საყუდებე-
ლში, რაღაცის ერიდებათ, რისა—თვითონაც არ იცაან. მაგრამ როცა მოჰ-
ყვებიან, მთხრობელს მსმენელებიდან ვინმე აღარ აცლის და აგრძელებს:

—ჴო, იმასაც ამბობენ, რომ მთის გვიმრების კორომებში აუცილე-
ბლად ურევია ერთი გვიმრა, რომელიც თავისი სილამაზით და ფართო
ფოთლებით ყველა გვიმრისაგან გამოირჩევაო. ის გვიმრა აუცილებ-
ლად ორ ერთმანეთს აკრულ ორ დიდ ქვათა შორის არის ამოსულიო.

—მართალია, —აგრძელებს მეორე, —იმასაც ამბობენ, რომ საქონე-
ლი, ნადირი როცა გვიმრის კორომებში შედის, სულ რომ მიჯეგ-ძოჯე-
გოს იქაურობა იმ გვიმრას მორიდებით უვლის გარსო, ფოთოლს არ გა-
ულახავსო.

—მეც გამიგია, —წამოეშველა ზღაპრის მთხრობელს მეორე და
გრძელდება ამბავი საოცარი გვიმრის შესახებ. მაგრამ მონათხრობი ისევ
იმან უნდა დაამთავროს ვინაც დაიწყო საერთოდ და ისიც აგრძელებს:

—მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რაც ბევრმა იცის იმ არე-მა-
რეში, ბევრმა იცის მაგრამ ახსნა ვერ უპოვნიათ, თურმე ათ-თორმეტ წე-
ლიწადში ერთხელ ეს გვიმრა ლამღამბით ყვავილს იკეთებს. ყველაზე
საოცარი კი ის არის, რომ გვიმრა ყველაზე უფრო ბნელ, ყველაზე უფრო
ჯოჯოხეთურ, კუნაპეტ, კუპრივით შავ და ბნელ ლაშეს ჰყვავის. ისეთი
ყვავილია, ისეთი რომ... თუმცა ახლოს არავის უნახავს, შორიდან კი ბევრს
შეუმჩნევია, ისეთ ყვავილს იკეთებს, როგორიც მზის გვირგვინია. ირგ-
ვლივ ყველაფერს ანათებს და ასხივს სენი, შორიდან ბევრი დაუტყვე-
ვებია თავისი სიკაშეაშით. მაგრამ რა?... ახლოს არავის იკარებს, ახლოს
კი არა, თუ საღმე მის მოშორებით რაიმე გაფაჩუნდა, მაშინვე ქრება. მერე რაც არ უნდა ეძებო, ველარ იპოვი, ყვავილს კი არა მის გვირტსაც კი.

გვიმრის ყვავილის ხელმწვდომი ჯერ არავინ გაჩენილა თურმე. მე-
რე კი ა, ასეთი ამბავი მოაქვს წლებს ჩვენამდე. იმ ორ ქვიდან ერთი
იპია, ხოლო მეორე მისი ერთგული ოხუ, ორივე ქვადჭცეულები. თვით ამ
გვიმრას ერთგულების გვიმრა ჰქვია, ყვავილი კი იპის და ოხუს სიკაშეა
უნდა იყოსო.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ყველამ არ იცის და სიჩუმე როცა დაისა-
დგურებს იქ მყოფთა შორის, ხოლო სიჩუმე შიშნარევ ურუანტელად

როცა გადაიქცევა, მსმენელებიდან რომელიმე მათგანი ვეღარ ერება /გნო-
შისმოყვარეობას და ისე რომ არც კი იცის ვის მიმართოს იკითხავს: /
—კი მაგრამ, ის ყვავილი ან რატომ ანათებს, ანდა მერე უაკცეფულნ-
ებს სიახლოვეს იგრძნობს რატომ ქრება?

სიჩუმე დიდხანს არ ირღვევა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას,
რომ ცნობისმოყვარეობით ანთებულ გულს წყალი არ ეპკურება.

—ეს იმიტომ, რომ იპი ყველაზე გონიერი კაცი იყო გონიერთა შო-
რის. მას ყველა, ყველა უყვარდა და თავის სულს სხვის მზისმანათობ-
ლად, კვლაპტრად ანთებს კუპრივით შავსა და ბნელ ღამეში, ეშინია, ვინ-
მე, ვინც არ უნდა იყოს ის, სულიერი საღმე არ გადაიჩეხოს. — მერე
მთხოვნელი ჩიბუხის ტარიდან და ტუჩებიდან ერთდროულად გამოაბო-
ლებს მოლურჯო კვამლს და ასრულებს: —ხოლო იმიტომ ქრება, რომ
ახლოს არ მიიზიდოს, რომ მერე მის სულსაც და იმ გადარჩენილსაც სიახ-
ლოვე სანანებელი არ გაუხდეთ. ალბათ ისევე საწუხებელი, როგორც
უჟუს სიახლოვე გაუხდათ თითქოსდა ორ შეუთავსებელ არსებას: კაცსა
და მგელს, იპის და ოხუს!

„ა რ პ“

მე კარგად ვიცი რას ნიშნავს „არა“,
 ო, თუნდაც ერთხელ სატრფოსგან თქმული,
 რომ მოისმინო ისიც კი კმარა,
 ამ სიტყვის მიმართ თქვა საყველური.
 მე კარგად ვიცი რა ნიშნავს „არა“,
 რა მწუხრი სდევს და თუ რა ნაღველი,
 და ისიც მაშინ, როცა გსურს რაღაც
 და გაცუდებას მისგან არ ელი.
 დიახ, ვიცი და არ ვკიცხავ „არას“,
 პირიქით, მუდამ პატივს ვცემ კრძალვით,
 მე მიმაჩნია სიტყვათა შორის,
 რომ იგი არის უძლეველ ძალის.
 ვიყავ მტრისაგან გარეშოცული,
 მეუბნებოდნენ დაგვნებდი ჩქარა,
 მე მათთვის მქონდა პასუხი სრული: —
 არ დაგნებდები, „არა“ და „არა“. —
 — ოქროში ჩაგსვამ, აგიგებ კოშკა,
 ბელნიერებას გარგუნებ მარად.
 — მე მაგ სიმდიდრე არ მიღირს გროშად,
 ვუპასუხებდი: „არა“ და „არა“. —
 იცით? ეს „არა“ იყო სამშობლო,
 რასაც არ ვთმობდი სიკვდილის წინაც,
 დიდი აღმოჩნდა ამ სიტყვის ძალა,
 მან გამარჯვება მარგუნა წილად.
 იცით? ეს „არა“ თვით მე ვიყავი,
 როგორც მშვიდობის სიკეთის ფარი,
 ჩემს სამშობლოსთან გაურიყავი, —
 მისი ერთგული და მეგობარი.

ისევ მახსენდება
 ოღრო-ჩოღრო გზები,
 მოგონებით ისევ,
 ისევ მასთან ვრჩები.
 აბაშის ნაპირთან
 კვლავ ალვები ჩანან,
 ისევ ისეთია,
 არ შეცვლილა ზანა.
 პა, ხოხობი სიდან
 გამოფრინდა ნეტა?
 მონადირე ვარ და
 გამიჩინა ელდა.
 დახტის,
 დაგოგმანობს,
 თავს იწონებს უკვე,
 ეძებს კურკანტელს და
 ჯაგებს დარუგრუკებს.
 ცოდო არის, ცოდო,
 ვერ მოვუსპობ ტრიალს,
 მაღლი სილამაზის
 ფრთებზე ახატია.
 გამოვყები ბილიკს,
 თოფის ლულას დავხრი,
 ჭალებიდან ისევ
 გამოვდენი ნახირს.
 ყველას საკუთარი
 გასჩენია საქმე,
 სარეველა მარცვლებს
 აფრქვევს, აფრქვევს, აფრქვევს.
 ვესალმები მშვიდად
 მოშრიალე ვერხვებს,
 და წისქვილთან მუდამ
 მოსაუბრე გლეხებს.
 დალოცვილი უჩანთ
 სიტყვაცა და საქმეც.

მთელი ქვეყნის ამბავს
 გაეცნობი აქვე.
 მეც გლეხივით მიყვარს
 სველ ბალაში გავლა,
 ზოგან ვერცხლი სცვივა.
 ზოგან კიდევ ქარვა.
 იქნებ ცრემლებია,
 ცრემლები ანკარა,
 დილის სიო ქარმა
 რომ წაუანგალა.
 ისევ მახსენდება
 ოლრო-ჩოლრო გზები,
 მოგონებით ისევ,
 ისევ მასთან ვრჩები.
 ვრჩები, მაგრამ რა ვთქვა,
 დღეს მე გული მწყდება,
 რომ ნაცნობი ხენიც
 ალარ მესალმება.
 გაუჩეხავთ ტყე და
 დაუტოცავთ თევზი,
 ნეტავ ამნაირი
 ვინ აიღო გეზი?
 ზოგან დაკეტილი
 მოჩანს ოდა-სახლი,
 არც მამალი ყივის
 და ალარც ყეფს ძალლი.
 თუმც ტრაქტორი ბრდლვინავს,
 შორს დგას ხარი ნიშა,
 მაგრამ იცით?
 ესეც ყველაფერს არ ნიშნავ
 ახალგაზრდებს მინდვრად
 თითქმის ვეღარ ვხედავ-
 ვეკითხები ჩემ თავს:
 სად წავიდნენ ნეტავ?
 სად წავიდნენ, რატომ?
 სოფელი რად დათმეს?
 ამ კითხვაზე სიტყვა
 სწორედ ახლა გვმართებს.

არა მხოლოდ სიტყვა,
 სიტყვა ცარიელი,
 სიახლესთან უნდა
 აღვადგინოთ ძველი.
 ეს სიძველე რაა?
 განა ვინ არ იცის? —
 სიყვარული სოფლის,
 მშობლიური მიწის.

ვ ი ნა ხარ?

ვინა ხარ **ნეტავ**, უჩინრად და ფარულად რად მსდევ,
 ჩემი ოცნების გარეშემო უვლი ირაოს,
 როცა სიახლეს **ვეძებ** ლექსში, შენ ბორკილს მადებ,
 მიბიძებ, **ისევ** გაჭეგილი გზებით ვიარო.

ბევრჯერ **სიახლე** მგონიხარ და მიხარის ტყვილად,
 შენ გეკითხები, ჩემს სიხარულს რისოვის მიმწარებ,
 როცა ფრინველთა ყველა ბგერა და ტია-ტია
 გაზაფხულს **ნიშნავს**, გაზაფხული — ქვეყნის სიმწვანეს.

მ ო ლ თ დ ი ნ ი

გარინდებულა ირგვლივ ყოველი,
მძიმე ღუმილში თვლემენ კედლებიც,
შენს დაბრუნებას ისევ მოველი
და მოლოდინი ჯვარცმას ედრება.

ვიცი ვერ გაძლებ ბოლომდე, ვიცი...
და ერთ დღეს შემძრავს წერიალი ზარის,
არ დაგჭირდება ხვეწნა და ფიცი,
რადგან მოგყვება სიცილი ქარის.

მოხვალ, მოიტან მწვანე კალათას —
ცისფერი სევდით პირთამდე სავსეს.
მერე ოცნება გრძნობას გარანდავს
და ერთგულების სახელს დაარქმევს.

ვიცი ვერ გაძლებ ბოლომდე, ვიცი..
და ერთ დღეს შემძრავს წერიალი ზარის,
არ დაგჭირდება ხვეწნა და ფიცი,
რადგან მოგყვება სიცილი ქარის!

1876

ივანე ჯავახიშვილი

1976

საქართველო
გიგანტი

აუგის შახედაშვილი

ივანე ჯავახიშვილი და „კაფე ისტყაოსანი“

ივანე ჯავახიშვილი ყოველთვის ღიდი მოწინებით ეპყრობოდა ქართველი ერის უძვირფასეს საუნგეს — „ვეფხისტყაოსანს“. თავის მრავალრიცხოვნ გამოსვლაში, სიტყვასა თუ მოხსენებაში, მეცნიერულ გამოკვლევასა თუ სპეციალურ მონოგრაფიაში იგი ღიდებულ შოთას ესესხებოდა მხატვრულ სახეებსა თუ აფორიზებს, ხშირად მოპყავდა აზრების დასაღასტურებლად ადგილები უკვდავი პოემიდან, არც თუ ისე იშვიათად მოელი პასაუებიც, რათა აშით ეგრძნობინებინა მხატვრული სიტყვის ზეგავლენის ძალაც და მისი ფუნქციაც ცნებებით აზროვნების პროცესში.

ივ. ჯავახიშვილი, მიმოიხილავს რა საქართველოს კულტურულ ცითარებას მე-12 საუკუნეში, იმაზეც მიუთითებს, რომ ამ დროი-

სათვის უაღრესად დაწინაურდა ქართული სამეცნიერო - ფილოლოგიური და ფილოსოფიური მწერლობა; გაგვრით ჩერდება ისეთ გამოჩენილ ფილოსოფოსებზე, როგორიც იყვნენ: ეფრემ ცირე და ოთანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და ტარიჭისძე; მთავარ ხაზებში ახასიათებს „ვისრამიანს“, „აბდულ მესიასა“ და „თამარიანს“. სპეციალურად ეხება ჩვენი ღიდი მეცნიერი „ვეფხისტყაოსანს“ და დასძენს, რომ ამ პერიოდიდან შოთას უკვდავი პოემის მეტი რომ არ შეგვრჩენოდა, ისიც კმარა მაშინდელი ქართული მწერლობის მაღალი დონის ხათელაჟურფად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ არაჩვეულებრივი მოვლენაა იშდრონდელი როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მწერლობისათ-

ვის. პირველი სტრიქონებიდან მოყოლებული დასასრულად ეს ქმნილება მომავალოებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, მარტო იმიტომ კი არა, რომ მისი ლექსი უზადოა, რომ მისი რითმა სრმდიდრითა და მუსიკალიბიტ სწორულოვარია, რომ მისი შედარებანი ისეთივე მარჯვე, მოხდენილი და ლამაზია, როგორც თვით რუსთაველის ბუნება, — არაშედ იმითაც, რომ თავიდან ბოლომდე მთელი ნაწარმოები მარტო სიყვარულის გრძნობით კი არ არის გამსჭვალული, როგორც ეს ჩვეულებრივ რომანებსა და პოეტებში იყო ხოლმე, არამედ იქ თვით მგოსანიც და მისი გმირებიც დიდ საზოგადოებრივსა და სოციალურ პრობლემებსაც დასტრიალებებ, — დასძენს დიდი მკვლევარი.

ივ. ჭავახიშვილის აზრით, შოთას უკვდავ თხზულებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, რაინდული სიყვარული და ქადაფიცოცხლა შექმნაული ეროვნებისდა მიუხედავად; შემდეგ დიდი ისტორიკოსი იმაზეც ამახვილებს უზრადლებას, რომ პოემის მოქმედი გმირებიდან ქალებიც კი ეროვნული საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით დაჯილდოებულ გძირებს წარმოადგენენ; მათი შოქმედება მარტო პირადი ბედნიერების წადილით არ არის ნაკარხახევი, არამედ უკიდურესი განსაკლის დროსაც კი მათ თავიათი სამშობლოს ბედნიერება არ ავიწყდებათ. საინტერესო ის არის, რომ ივ. ჭავახიშვილის სიტყვით,

„ამ მხრივ იმ დროინდელ შეცვალულ მწერლობაში შოთა ლება აბოლ მარგალიტს შეასრულებულ გამდლობითაც ადგენს“.

ივ. ჭავახიშვილი შოთას პოემის აზრები გრძნობით მომხიბვლელობის მიზეზს ხედავს სამ რამეში — საზოგადოებრივ და სოციალურ პანგებში, ადამიანის ბუნების ფსიქიკის იშვიათ ცოდნასა და ფილისოფიური სიპრძნით უხვად დაუყრსვილობაში. თვითონ პოემა კი აგრეთვე სამ ძირითად პრობლებას აშეუქებს: ქალის რაინდულ სიყვარულს, გმირულ თავგანწირულობასა და ძმადნაფიცობის მოშპიბლავ სილამაზეს ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად. სწორედ ამით დარჩა დღესაც მომზიბლავი და ახლობელი ყველასათვის ეს შესანიშნავი მხატვრული ქმნილება. ივ. ჭავახიშვილის საბოლოო სიტყვა პოემის შესახებ ასეთია: „ვერც ხნიერებამ, ვერც მსოფლმხედველობის ოვალსაჩინოდ შეცვლამ შ. რუსთაველსა და მის ქმნილებას გენიალობისა და უკვდავების შარავანდელი ვერ დაუჩრდილა, იგი ყველასათვის ისევ წინანდებურად ბრწყინვას და მომხიბვლელია“ (ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI-XV ს., თბ., 1949, გვ. 92-93).

დღეს არავისთვის სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ივ. ჭავახიშვილი გახლდათ ფართო ინტერესების მეცნიერი. მისი კვლევის სფეროში შედიოდა არა მარტო ისტორია, არამედ პწერლობა საერთოდ, სიტყვაკაზმული

ლიტერატურა, ქართული და შოთის კავკასიური ენებით თავისი კილოკავებით, პალეოგრაფია, ქართული ისტორიული გეოგრაფია, არქეოლოგია, სამართალმცოდნეობა, საქართველოს, კავკასიისა და შახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ - ეთნოლოგიური პრობლემები, ქართული წყაროთმცოდნეობა და მრავალი სხვა. შაგრამ შ. რუსთაველის პოემა ამ გაძოჩნილი მეცნიერის ხელში მუძღვივი თანამგზავრი იყო და ძალიან ხშირად იყენებდა ამ უკვდავ ხაშორმოებს თავისი აზრების კილევ უფრო მეტი დამაჯერებლობის შისაცემად.

ივ. ჭავახიშვილი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ სპეციალურად ეხება და გაკვრითაც რიმელიმე პრობლემის დამუშავებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ მეტად საინტერესოა წერილი „შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზემის გამო“, რომელიც პირველად 1935 წელს „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ I ტომში დაიბეჭდა იუბილის წის.

სახელმცანი მეცნიერი ალხიშნაგის, რომ რუსთაველის პოემას ძველ საქართველოში ერთნაირად არ უყურებდნენ — მას თაყვანის-მცემლებიც ჰყავდა და მოწინააღმდეგნიც, უმთავრესად კლერიკულურ წრეებში. მათ იმდენი შაინც გააკეთეს, რომ იმდროინდელი ცხოვრების ამსახველ საისტორიო თხზულებებში შოთას ხსენებაც არ ყოფილიყო. მაგ., თამარის პირველი ისტორიკოსი იოანე შავ-

თელი არ იხსენიებს „ვეფხისტყაოსანის“ ავტორს, არც კი მეორე ისტორიკოსი უკუმარეს ეზოსმოძღვარი იშუხებს და ფრანგული ით... ამასთან დაკავშირებით ივ. ჭავახიშვილი იღონებს იმ ფაქტს, რომ ანტონ კათალიკოსმა შოთას სიტყვიერი და წერილობითი პაეჭრობა არ აქმარა და მის პოემას აუტოდაფე გაუმართა. თხზულების დაწვას მოწინააღმდეგის შურისძიების მიზნით საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, უძველეს ხანაში ჰქონდა ადგილი. მაგრამ ეს საკითხი, ივ. ჭავახიშვილის სიტყვით, ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გამორკვეული და მას ისეთივე დინგი და გულდასმითი შესწავლა და კვლევა-ძიება სკირდება. როგორც შოთას დიდებულ სახელს შეეფერებათ. შიუხედავად რუსთაველოლოგიური ლიტერატურის დიდად გახვითარებისა, ივ. ჭავახიშვილის მიერ აღძრული საკითხი საბოლოოდ დღესაც კი არ არის გადაწყვეტილი.

ივ. ჭავახიშვილი ეხება „ვეფხისტყაოსანის“ პოპულარობას ძველ საქართველოში. მისი სიტყვით, ქართველი ხალხისათვის ლხისსაც კი ურუსთაველოდ შნო არ ჰქონდა. ქორწილში, მაგ., როდესაც მაყრიონს მხიარული სიმღერა უნდა შემოეძახა, წესად იყო შიღებული: „მეფის წასვლის დროს ასტერებინ ხმამაღლად თვითშაყრულები. თქვან მუნასიბი ლექსები, ბრძენის რუსთვლისგან თქმულები“, ხალხური „ვეფხისტყაოსანის“

არსებობასაც შოთას პოპულარობით ხსნის დიდი ისტორიკოსი.

როგორც ზემოთაც აღვხიშხეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ჰყავლენენ შომხერნიც და მოწინააღმდეგენიც, პირველი — მეტი, მეორე — ხაკლები. ყოველივე ეს კარგად აისახა პოემის ხელნაწერებში, ჩანართ ტაქტებში, რომლებითაც დოოთა ვითარებაში ირყვნებოდა პოემის ხამდვილი დედანი, რომელმაც სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ შოაღწია. შემდეგ წერილის ავტორი აღნიშნავს ვახტანგ VI-ის ღვაწლს პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის საქმეში, მე-19 ს. ქართველ მწერალთა და ინტელიგენტთა წრის ინიციატივას ილია ჭავჭავაძის მეთაურობით „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემის თაობაზე; საგანგებოდ ჩერდება ივ. ჭავახიშვილი ე. წ. ქართველიშვილის ულ გამოცემაზე, მიხაი ზიქის დამსახურებაზე და სხვა. ძაგრამ მკვლევარი ერთი წუთითაც არ ივიწყებს იმ ფაქტს, რომ რამდენადაც ქართველიშვილის გამოცემა გარეგნულად კარგია, იმდენადმე სუსტია მისი შინაგანი ოვასება: ის უფრო ჩვენი ფილოლოგის დარგში იმდროინდელი ჩამორჩენილობის გამომამულავხებელიც. იმ გამოცემის შინაგანი ღირებულება გარეგნულ სილაპაზესა და შნოს ოდნავადაც არ შეეფერება. — ასეთია ივ. ჭავახიშვილის ობიექტური შეფასება პოემის ამ ერთ-ერთ მდიდრულ გამოცემაზე.

ჩვენი დიდი ისტორიკოსი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შეც-

ნიერული შესწავლის საქმეს/შესი თქმით, მხოლოდ მე-20 წლის დამ-დეგიდან იწყება შოთატექუფლავი ქმნილების დინამი და გამორჩევებული შესწავლა. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. მარისა და იუსტ. აბულაძის ღვაწლი, პ. ინგოროვასი და კ. ქეკელიძის, ალ. ბარაბიძისა და ზ. ავალიშვილის, კ. ჭიჭიაძისა და სხვათა დამსახურება. შოუხედავდ ამისა, ქართული მეცნიერება ვალშია თავისი გენიოს მგოსახთან, რაღაც ტექსტის კრიტიკული დადგენის საქმე არასახარისელო მდგომარეობაშია (ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 5-12).

ინტერესით იკითხება ივ. ჭავახიშვილის წერილი „პიროვნება და შსოფლმხედველობა რუსთაველისა“, რომელიც გაზ. „იზვესტიაში“ დაიწევდა 1937 წელს (17 მარტი). აქ დიდი ისტორიკოსი გადმოგვცემს რუსთაველის ბიოგრაფიის ზოგიერთ დეტალს, მის დაპოვდებულებას რელიგიასთან, ახალი თებებს პოემის (გავრით) შოქმედ პირებს და განსაკუთრებით ჩერდება აფორიზმზე: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. აშინაარსებს ამ ტაქს და შენიშნავს, რომ აქ ავტორის შიერ გატარებულია სქესთა თანასწორობის პრინციპი პოლიტიკურ ცხოვრებაშიო. ამ აფორიზბის გარეშეც მთელი პოემა ქალის საგალობრებლია. ივ. ჭავახიშვილის პირველად მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ შ. რუსთაველი იყენებს ორ სიტყვას — „ქალი“ და „ლიაცი“. ესენი სხვადასხვა შინა-

არასის მატარებელია. შ. რუსთაველი ამ სიტყვებს ხმარობს ქათავარი გმირებისათვის; საბას განმარტებით, „ქალი დიაცი ჩხვილით ბებრამდე ქალი არს“, „დიაცი დედაგაცი“; 6. ჩუბინაშვილის შიხედვით „დიაცი გლეხის დედაკაცი, ჯენკა“, „ქალი ასული, შვილი, ხოლო ზოგადად ეწოდების მდედრთა მცირიდამ ვიღრე ბებრადმდე“; დიაცის ჩუბინაშვილისეული განმარტება არასწორია, რადგან „ვეფეხისტყაოსანში“ ეს სიტყვა ცხრამეტჯერ არის ნახსენები. ამასად ამ არის ნახმარი გლეხის დედაჟაცის მნიშვნელობით, — სამართლიანად წერს პროფ. ა. ლლონტი.

ივ. ჯავახიშვილი 1938 წ. დაბეჭდილ ერთ საგაზეთო წერილში ისილავს რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალურ კულტურას, ეხება საქართველოს იძდროისდელ საზღვრებს, თამარის შეფობის; ახასიათებს ზოგადად პატმედ პირებს და გვაწვდის შეტაც სინტერესო დაკვირვებას.


ინტერესით იყითხება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ირგვლივ“, რომელიც გამოხაურებაა იმ დისკუსიისა, რაც გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ პივინაძისეულმა გამოცემამ 1934 წ. (წერილი ბეჭდურად გამოქვეყნდა 1956 წ.). სწორედ აქ არის გამოთქმული ვარაუდი დიდი შეცხირის მიერ, რომ ე.წ. ინდო-ხატაველთა ამბავი და მასზე უწინარესა რამდენიმე ტაეპიც მერმინდელი დანართია. ეს აზრი ამჟამად გაბა-

ტონებულია რუსთველოლოგიაში ამიტომ არის, რომ 1966 წ. გვახსენის რცელებულ საიუბილეო ურთიერთებულები არ არის შეტანილი შეკუთხევა

ვი.

როგორ უნდა გავიგოო ცხობილი სტრიქონები: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ განიხილა ივ. ჯავახიშვილმა სკეციალურ წერილში, რომელიც პირველად 1956 წელს დაიბეჭდა. განსვენებული მკვლევარის დაკვირვებით, პოემაში სპარსთა სახელი ორჯერ იხსენიება. საზოგადოდ სპარსი ხანმოკლე დროით ჩხდებიან ამ ნაწარმოებში და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სპარსთა ბატონიშვილი ნესტან-დარეჯანის საქმროდ და ინდოეთის მეფის ზედისიძე უნდა გამხდარიყო. ამიტომ სპარსეთის ხელებას პოემაში ეპიზოდური ხასიათი აქვს: აქვე ივ. ჯავახიშვილი იხილავს ხვარაზმაპის მოქმედებას პოემაში, უფარდებს მას ისტორიულ სიხაზღვილეს და გამოჰყავს დასკვენა აბის შესახებ, რომ პოემაში იღწერილი ამბავი კარგად უდგება XII საუკუნის 90-იან წლებს. მკვლევარი იქვე დასძენს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თვით ხვარაზმაპის უფლისწულს მეტად უპატიო და დამამცირებელი ადგილი აქვს ძიგუთვნებული. მისი მოკვლის გაზრისგა და ასრულება თავისთავად არავის აშინებს და მოსალოდნელ შურისძიებაზე გაკვრითაც არაფერია ნათქვამი. აქედან ჩვენი დადი მეცნიერი მშვენიერ დასკვებას აკეთებს უმთავრესად ისტორიულ

ასპექტში. „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სტროფის ანალიზი კი მას საშუალებას აძლევს იხდოელთა ეროვნული გრძნობისა და ხევარაზმა-სპარსეთისადმი ძლიერი სიძულვილის ცხადი გამოხატულება დაინახოს. ამ შემთხვევაში, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „ვეფხისტყაოსნში“ პოლიტიკური აზროვნების სინამდვილეს გამოხატულების ანარეკლი აქვს... პოემა სპარსელებისადმი პოლიტიკური სიძულვილითა გამსჭვალული. ეს გარემოება კი დიდ ისტორიკოსსა და დაკვირვებულ მკვლევარს საშუალებას აძლევს გააკეთოს დაკვნა — აქ მოთხრობილი აძავი სფეროა სპარსული იყოს, „დედა-აზრითა და პოლიტიკური შრწამ-სით მას სპარსული არაფერი აქვს“, — აცხადებს „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორი ჩერ კოდევ ჩვენი საუკუნის 30-იას წლებში (წერილი დაიბეჭდა პირველად ავტორის გარდაცვალების შემდეგ 1956 წ.). ამ საკითხზე აქ იმიტომ შევჩერდით. რომ დღესაც გიოსმის ყრუ ხმები „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის თუ ფაბულის სპარსულიდან წარმომავლო გი ს შესახებ; მაგ., 1970 წლის 15 სექტემბერს საქ. სსრ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ირანისტრა მორიგ სემინარზე პროფ. მ. თოდუას მოხსენება წაუკითხევს, სადაც ის აზრი გაუტარება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა ირანულიდანაა ნასესხებით. ამ „არ ახალია, ძველია“ შო-

საზრებას ჩვენმა მეცნიერებში ხეკიდრისი პასუხი გასცეს. 
ივ. ჯავახიშვილი იყვანებული იმის წინააღმდეგაც, რომელიც მომავალში შესხი ეგონა; ნ. მარი შენიშნავდა, შოთას ენა მესხური კილოა და შესხური კილო სომხურ-სვახურის გარდა სწორედ არაბულ-სპარსული სიტყვებით იყო უხვად შეტკულია. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ თვით რუსთაველის ენის თვისებათა შესახებ ნ. მარს სამი სხვადასხვა აზრი აქვს გამოთქმული. თავდაპირველად შოთას ეხა ხალხურ ენად ჰქონდა მიჩნეული, რომელშიც საეკლესიო ენის ოკისებებიც ჰარმონიულად იყო შეზავებული, 1902 წლიდან რუსთაველისა და ჩახრუხაძის ენა იმდებად ერთგვარი თვისებებით შეტკულად მიიჩნია ნ. მარშა, რომ ამტკრცებდა, ჩახრუხაძე და რუსთაველი ერთი და იგივე პირი იყო, ჩახრუხაძე რუსთაველის გვარი იყო, რუსთაველი კი — სადაც რობის სახელიო. „ვეფხისტყაოს ას ში“ თურქული სიტყვა ცოტაა. ეს კი მარს აფიქრებინებს იმას, რომ პოემა XIV საუკუნის დასასრულის შემდეგ ვერ შეიქმნებოდა, რადგან სწორედ მე-14 ს-დან შესხეობი გამაჭმადიდნებასთან ერთად გათურქებაც იწყებოდა და შესხურ კილოში ბევრი თურქული სიტყვა უნდა შეპარულიყო. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსნში“ სრულებით ას მოიპოვება მონღოლური სტკუკები. „ეს გარემოება, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — მეტად მხიდ-

ვნელოვანია, რაღაც ქართული მწერლობის მე-14 ს-ის ყველა ტეგლის ენას უკვე მონღლური სიტყვები შერეული აქვს, „შოთას ქმნილებას კი ეს თვისება არ ეტყობა. ამიტომ „გეფხისტყაოსანის“ მე-14 ს-ის დამლევის ნაწარმოებად მიჩნევა შეუძლებელი ხდება, ხოლო თვით თურქული სიტყვების სიძლიერე კი ამ ძეგლის ენას ქართული (ქართული) კლასიური ხანის ენას აახლოებს და შე-12 ს. უფრო მჭიდროდ უკავშირებს.

ამ მეტად საყურადღებო დასკვნას რუსთველოლოვანი იზიარებენ (მაგ., ცნობილი რუსთველოლოვი პ. ინგოროვა. იხ. ობ. კრებული, I, 1963, გვ. 73).

სხვა საკითხებზეც ჩერდება ივ. ჯავახიშვილი, ოლონდ ყველას ვერ შევეხებით. მაგრამ ძელიან არ შეიძლება არ ვოქვათ აფორიზბის („ლეპვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“) შესახებ, რომელიც ნ. მარს არასწორად ესმის. ნ. მარის აზრით, ამ აფორიზბი ნამდვილად მეფეთა სახლის შვილთა თანასწორობაზეა საუბარი, ეს აზრი კი, ნ. მარის სიტყვით, ახალი არ არის, რაღან იგი ძე-12 ს. სპარსელ მგოსანს ნიზამისაც აქვს აღნიშნული თავის „ისკვებერ ნამეშიო“. „მე ძუ-ლომი ვარ, შენ ძუ-ხვადი, ნავარდის დროს, ე. ი. ბრძოლაშიო“. ივ. ჯავახიშვილი ამ აზრს ასეთ კომენტარს უკეთებს: „განთქმული პოეტი ნიზამი ძუ და ხვად ლომებს ნავარდში ადარებს, ერთი მეორეს და ამით მათ თანასწორობის დამტკიცებას ლამობს.

შოთა, რასაცვირველია, არაფერს ამის მსგავსს არ ამბობს „... როდე საც შოთა ამ აფორიზბს უწერულებელია საქართველოს მაშინდელში მომავარებული ცხოვრების სინამდვილე ეხატება თვალწინ... თვით ავტორს თამარის მეფობამ ჩააგონა ეს აზრი. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ფ. გორგიანიძის შემდეგი საგულისხმო სიტყვები: „მეფემ გიორგიმ თავისი ასული თამარი მეფედ აკურთხა, აქ თქმულა: „ლეპვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინა ხვადია“... ივ. ჯავახიშვილი ბევრს ფიქრობდა „ვეფხისტყაოსანზე“. ეძებდა მის პარალელებს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში, აი, მაგ., ერთი ფრაგმენტი, რომელიც ისტორიკოსს ჩაუნიშნავს სათაუროთ: „ამირანდარეჯანიანის“ ანარეკლი „ვეფხისტყაოსანი“: „იყო ინდოეთ მეფე აბესალომ. მორწმული და განგებიანი“. (3).

ნადირობის დროს განმაცვიფრებელი ამბის — ქურტკიის ხახვა, მისი დადევნება და უჩიხარევნა და ამბის უცნობელობის გამო მეფის „დაღრეჯილობა“ და „შეჭირვება“ (4, 5, 6, 7).

ვაზირთ უცნობესის რჩევით შეჭირვებისაგან გამოსვლა და ხადირობა - ნადირობის კვლავ გადახდა - (5). მართლაც, საგულისხმო ანარეკლია!

ივ. ჯავახიშვილი ფუნდამენტურ შრომებში ხშირად იმოწმებს „ვეფხისტყაოსანის“ ლექსიკის თავისი აზრების დასამტკიცებლად: მაგ., „საქართველოს ეკონომიკურ ის-

ტორიაში” (წიგნი II, 1935) ოთხ-
ჭერაა დამოწმებული „ვეფხის-
ტყაოსნის“ სტრიქონები, ასევეა
„ქართველი ერის ისტორიაში“ და
სხვა.

ივ. ჯავახიშვილი ბევრჯერ გაძო-
სულა ფართო აუდიტორიის წინა-
შე საინტერესო მოხსენებებით,
სიტყვებით რუსთაველის „ვეფ-
ხისტყაოსნის“ შესახებ, განსაკუთ-
რებული პატივისცემითა და სიმპა-
თით იყო მკვლევარი გამსჭვალუ-
ლი ამ უკვდავი ძეგლისადმი. შე-
ტად სიმპტომატურია ის ფაქტიც,
რომ ივ. ჯავახიშვილის უკახასქე-
ლი მოხსენებაც (1940 წ. 8 ნოემ-
ბერი, 9 ს. და 40 წ.), რომლის
კითხვის დროს მრავალრიცხოვანი
აუდიტორიის წინაშე უეცრად გა-

რდაიცვალა დიდი მეცნიერი, ქარ-
თული ფილოლოგიური ეტაზზე-
რების ამოცანებს ეხებრიცხოვანება
გორც გადმოვცემენ, ახლგაზრ-
დობაში ივ. ჯავახიშვილი დასწრე-
ბია ერთ ლექციას, რომლის კით-
ხვისას პროფესორი უეცრად გარ-
დაცვლილა. ამას ძლიერ უმოქშე-
დია მასზე და თავისიანებისათვის
ასეთი წერილი მიუწერია: უბედ-
ნიერესი კაცი ყოფილა ის პროფე-
სორი. მან სამუდამო ძეგლი აიგო,
ლექციის კითხვისას, თავისი საყ-
ვარელი საქმის შესრულებისას გა-
რდაიცვალა. ბედნიერი იქნება
ის, ვინც ასეთ კეთილ სიკვდილს
ელირსებათ.

ეს სიტყვები ბატონ ივანეზეა
ზედვამოჭრილი.

იოსებ მეგადიძე

დაზარობის შესახებ

გორის რაიონის ს. კარალეთის ისტორიულ უბან ნაჭარმავევში 1954 წლის ივლისს ჩვენ ჩავიწერეთ ლექსის ვარიანტი ამინდის (ტაროსის) ღვთაების ლაზარეს შესახებ. ლაზარობის თაობაზე გვიამბო ადგილობრივმა ქალმა, — გვალვიანობისასაო, ქალები შევიკრიბებოდით, ჩამოვივლიდით სოფელს, ავკრეფდით, ვინც რას მოგვცემდა, იმას გავყიდიდით, ვიყიდდით სანთლებს, დავუნთებდით ჩვენი სოფლის ხატს და

ელიაო, ელიაო, რაჟ მოგიშუენიაო,
თეთრი თიკან-ბატყანით შენთვის მოგვირმევიაო.
შენ მოგვიყენ წვიმასაო, შენთვის დავკლავთ ციკანსაო,
ლაზარ მოგდა კარსაო, აბრიალებს თვალსაო,
ალარ გვინდა გორახიო, ღმერთო მოგვე ტალახიო.

ამ სიტყვების შემდეგ სხვებსაც წყლით გავწუწუვდით, ბევრსაც ვიცინებდით, წვიმასაც ველოდით:

ეს ეთნოგრაფიულად საინტე-

„ლოცვით შევსთხოვდით: ღმერთო, მოგვე ნამიო!“...

თუ საშუალება გვქონდა, ბატკანს ვიყიდდით და ლაზარეს დავუკლავდით, ხორცს ჩვენ ვკამდით.

„ასეც ხდებოდა, რომ კაცები უღელს გააწყობდნენ, შიგ 10-12 ქალი შევებმოლით, ავხავ-ჩაეხნავდით მდინარის წყალს და თან ელიას შევსთხოვდითო:

რესო მასალა ჩვენ გამოვაქვეყნეთ კიდეც¹ ივ. ჯავახიშვილისა და

1 ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბილისი-ცხინვალი, 1957, გვ. 246.

თ. სახოკიას სათანადო ნაშრომების გათვალისწინებით.²

ჩვენს შემდეგ, ამავე ხეობაში ს. მაკალათიას ისეთი ვარიანტიც ჩაუწერია, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილ ლაზარობის კახურ წესსაც უახლოვდება

„ლაზარ მოდგა კარსაო, აბრიალებს თვალსაო.
შიდგა-მოდგა თარასაო, დაემსგავსა მოვარესაო...
თხრილი აგორებულაო, აღარ გვინდა გორობიო,
ღმერთო, შენის დიდებითა, ახლა მოგვეც ტალახიო!
ჩვენო წმინდა ელიაო, რაზე მოგიწყვინიაო,
ერთი თხა და ციკანიო შენთვის მოგვირთმევიაო.³

ოჯახის პატრონი ხვდებოდა მისულებს და რითიმე ასაჩუქრებდა, ლაზარეს წყალს გადაასხამდა, ახმაურებდნენ ზარს ან ურტყამდნენ სპილენძის ჭურჭელს,⁴ რათა ეს ხმა ლაზარეს გაეგონა...

ს. მაკალათია ასახელებს წყლის ხენა-ჩახვნის წესსაც და ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ ლაზარესადმი მიძღვნილ სუფრაზე „მამა-მაკაცის მისვლა აკრძალული იყო“.⁵

ქართლის იმავე ნაწილში გვილვისას სცოდნიათ აგრეთვე „ღვთის ბეღობის კალმასი“, — „ფეხშიშველი ქალები სოფლებს დაივლიდნენ და კალმასს მოითხოვდნენ“, შეგროვილ პროდუქტს გა-

2 ივ. ჯავახიშვილი, იხ. ქვემოთ: თ. სახოკია, მოგზაურობა ანი, გურია-აჭარა-სამცხეათ-ხელი, თბ., 1950, გვ. 202. შემდეგაც დაეგვევდეთ უფრო ვრცლად უშრ. „ჭორობში“, 1971, № 4, იხ. ქვემოთ.

3 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1970, გვ. 74.

4 იქ 3 ვ, გვ. 75.

5 იქ 3 ვ.

(შდრ. ქვემოთ). ს. მაკალათია წერს: გვილვის დროს უკუფული ქალები ჯოხს გაუკეთებული და მიანის სახეს, ჩაცვამდნენ ბავშვების ტანსაცმელს, დაიშერდნენ ხელში, სოფელ-სოფელ დადიოდნენ და მღეროდნენო:

ყიდდნენ, ფულით ცხვარს იყიდნენ, დაკლავდნენ, რომელიმე ბაღში „ღვთის ბეღობაზე... სუფრას გაშლიდნენ და აქაც კვლავ ავდარს დალოცავდნენ“ (შდრ. ქვემოთ, ივ. ჯავახიშვილის ვარიანტი). ივ. ჯავახიშვილი იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ მოგვარბებული წვიმისას იმავე ღვთაებას დარს შესახოვდნენ.⁶

ელია ებრაული სახელია. ბერძნები მას ილიას უწილებდნენ და ტაროსის ღვთაებად სწამდათ, მაგრამ იქ ამ რიტუალს, რამდენადაც ვიცით, ხვნის იმიტაცია არ ახლდა, საქართველოში კი ესეც იყო.

ივ. ჯავახიშვილი ამ წესს აგრეალწერს: ამინდის (ტაროსის) წარმართული ღვთაების ელიას საშუალებით გვალვისას წვიმის, თუ ავღდრობისას „მზის თვალის“ (დარის) შესახოვნად კახეთში გო-

6 აქ უკვე უახლოეს გამოცემას ვასახელებთ — ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 76-77.

ვოები იქრიბებოდნენ, „ლაზარეს“
გააკეთებდნენ ხოლმე და სოფელ-
სოფელ დადიოდნენ, მღეროდნენ
ლექს წვიმის მოსაყვანად —

„ა, ლაზარე, ლაზარე!

და სხვა;

აღარ გვინდა მზის თვალი,
ღმერთო, მოვე ტალახი”...

გმირსაღარებლად კი —

„ა, ლაზარე, ლაზარე,
ცას ღრუბლები აპარე!
ღმერთო, მოვე მზის თვალი!
აღარ გვინდა ტალახი,
ღმერთო, მოვე გორახი!”

(იქვე, გვ. 77). ოჯახის პატრონი
მათ კვერცხითა და ფუკილით ასა-
ჩუქრებდა, ხოლო ლაზარესა და
გოგოებსაც წუწავდა (იქვე).

ქართლში კი ლაზარეს არ აკე-
თებდნენო. (ასეც სცოდნიათ; შდრ.
ზემო, ი მ.). ერთ-ერთ ქალს უწო-
დებდნენ ლაზარეს და ჩამოვლის
ღრის მას წუწავდნენ. შეგროვილ
დოვლას გაჰყიდნენ ან პიდაპირ
ბატეანზე გადასცვლიდნენ, დაკ-
ლავდნენ და ლაზარობას იხდიდ-
ნენ (შდრ. ქვემოთ).


იმავე მეცნიერის სიტყვებით,
ლაზარეს ორეულები არიან: ხევ-
ლაზარ მოდგა კარსო, აბრალებს თვალსათ,
მიდგა-მოდგა თაროშიო, ხელი ჩილაშიო...
ცხრილი აგორებულა, წვიმი გაჩქარებულომ,

ჩევნ არ გვინდა გორობიო, ღმერთო, მოგვეც ტალახიო.

ოჯახის პატრონები წყალს დაას-
ხამდნენ ქალის თასში და მათ ასა-
ჩუქრებდნენ: კვერცხით, ფქვი-
ლით, ფულით და სხვა”.

ავტორი დასძენს: თუ ეს არ გა-

7 შდრ. 6. მარი. აფე —
громовержец, абхазский языческий
бог — იხ. მისი აფხაზურ-რუსული ლე-

სურული „ცა-ღრუბლისა“, „ „სეტყვა-ხორხოშელას“  „პირიმზე“, სვანური ვოჭავათუჯა-
ივი — ვები, ვოუ, პუნქტუალი
ავებ, ავებ, ავებ, ავებ, მივოუ
ძი+ვოუ?) და ასკვნის: „ვობი
იქნებ ხეთურთ „თე შუ ბი“-ის
მეორე ნაწილს წარმოადგენდეს
(იქვე, გვ. 79-80).

ვერა ბარდაველიძე ლაზარობის
ხევსურულ ორეულად გონგა-
ობას თვლის. მკვლევარი სათა-
ნადო რიტუალსაც აღწერს⁸ და
ჩანს, რომ გონგაობა იგივე ლაზა-
რობაა. მესხეთ-ჯავახეთშიც გაი-
გონებთ: „ლაზარ მოდგა კარსა“...
ან ამავე რიტუალს „კოტი-კოტის“
უწოდებენ.⁹

ს. მაკალათია მესხურ-ჯავახურ
სათანადო წესს აგრე გვაცნობს:
გვალვის ღრის სოფლის გოგო-
ბიჭები ირჩევდნენ ერთ ქალ-
წულს, მას თავზე დაადგამდნენ
თასს, ზემოდან შარფს გადახუ-
რავდნენ, წინ გაიმძლვარებდნენ,
ოჯახებს ჩამოივლიდნენ და „თან
მღეროდნენ:

სტრიღა, მაშინ ფეხშიშველი დე-
ქსიონი, ლენინგრადი, 1926, გვ. 77
(რუსულ ენზე).

8 В. В. Бардавелидзе, Древ-
нейшие религиозные верования, тб.,
1957, გვ. 153-154; შდრ. მისი ვე „ქა-
რთველთა უძველესი სარმუნობის ის-
ტორიდან“ (ლვთაბა ბარბარ-ბაბარ),
თბ., 1941, გვ. 55-58.

9 ს. მაკალათია მესხეთ-ჯავახე-
თი, თბ., 1938, გვ. 110.

დაბრები დაივლიდნენ სოფელს
სიმღერით: „ღმერთო, მოგვეც
ტალახიო, აღარ გვინდა გორო-
ხიო!... ქვრივი დედაკაცები კი
„გუთანს შეებმებოდნენ და მას
წყალში გაატარებდნენ. ერთი მა-
თგანი გუთნის დედა იყო და წყა-
ლში სთესავდა“; სხვა ქალები მას
წუწავდნენ (იქვე, გვ. 111).

მესხეთ-ჯავახეთშივე შენიშნუ-
ლია სხვა წესიც. გვალვის დროს
„უპატრონო მკვდრის საფლავი-
დან“ მიწას ამოიღებდნენ და
„ტლაპოს გააკეთებდნენ, წვიმა
მოვაო“, ან „კუტი ბაგშეებს ხუთშა-
ბათ დღეს უცხო ადამიანის საფ-
ლავზე აბანავებდნენ, წვიმა მო-
ვაო“, სოფ. კოთელიაში (ჯავახე-
თი) კი გვალვის დროს ვირებს
აბანავებდნენ, ავდარი მოვაო“
(ს. მაკალითია, იქვე, გვ. 111).

საფლავებზე ეს გასვლა, ეჭვი
არ არის, უკავშირდება იმ კავკა-
სიურ რიტუალს, რომელშიც წვი-
მის მოსვლისათვის დავიწყებულ
მიცვალებულთა ძვლებს თხრიდ-
ნენ და წუწავდნენ, მაგალითად,
ოსები და სხვებიც (იხ. ქვემოთ).

ოსებიც მოკრძალებით ეპყრო-
ბიან ღვთაება ელიას. გახუშტი
ბაგრატიონმა იცის, რომ ოსები,
რომლებიც სჭამენ ლორის ხორც-
სა, არიან „ქრისტიანები, და რო-
მელი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან
მაჰმადიანნი. გარნა ყოველთავე
უწყიან მზგავი კერპისა, რომელ-
სა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ
შესწირავენ ელიას თხასა და ხორ-
ცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყა-
ვსა გაჭიმვენ მაღალსა ძელსა ზე-

და და თაყვან მას დოესა შინა ული-
ასასა, რათა არა უძრავი მას და
ლინოსთ ელიამ სეტყვა-
ნი და მოსცეს, ნაყოფი კე-
კვეყნისანი“.¹⁰

ეს არის უტოლო ცნობა ქრის-
ტიან და მაჰმადიან, ე. ი. ორივე
ოსთავან, ვაჩილას (უაცილას) კე-
რპის ღვთაებად მიჩნევის თაობა-
ზე.

აქედან ცხადია, რომ ილა
(ილია, ელია) ტაროსის მმა-
რთველია; ამას ადასტურებს
ვაჩილა — სახელის ეტიმოლო-
გია. იგი კომპოზიტია — უაცილი-
ია, ნიშნავს წმინდა ილიას.
ბ. კალოევი მას ძველ ირანულ
უაცილლიას (ელიას) უწ-
ოდებს, მაგრამ ოსებში მათი გა-
ქრისტიანების შემდეგ თვლის და-
მკვიდრებულად. ოსური ილია
— ელია წარმართულ-ქრისტი-
ანული ღვთაებაა. ამ ილიაობა-
ელიაობას ოსურადე ხორ-ბონიც
ეწოდება, რაც მოსავლის დღეს
ნიშნავს.¹²

ოსებმა იციან ქრისტიანული
ღმერთი — ხუსავ, ხირისტი
ან კირისტი — ქრისტე,
თარაჭელ მიქელ-გაბერ — მთა-
ვარანგელოზნი მიქელი და გაბრი-
ელი, ძუარ-უარ-ვარ —
ჯვარი და სხვა, სწამთ ალარ-

10 ვახუშტი ილწერა სამეცნია-
საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 110, ხა-
ზი ჩვენია; ი. მ.

11 Б. А. Калоев, Осетины,
москва, 1971, გვ. 242-243.

12 იქვე.

დ ე — ყვავილბატონების წარმართული ღვთაება (ვ. აბაევი მას ითანე ალავერდელს უთანაბრეჭს), აფ ს ა თ ი (შდრ. სკან. აპსათი) — ნაღირობის ღვთაება, უ ა ს ტ ი-რ ჯ ი—ვ ა ს ტ ე რ ჯ ი (გასტერგი) — უ ა ს — წმინდა+გიორგი—ვაჟკაცთა ღვთაება, უ ა ჩილ — ახალწლის (ვასილ, ქართ. ბასილე) დღეობა, თუ თირ, თოთირ, მგელთა (მტაცებელთა) ღვთაება (წმ. თელორე — ცხოველთა მფარველი, შტრ. ქართ. თეოდორბა), დონბე თათირ — წყლის ღვთაება (შეტრეს წყალი; წმ. პეტრე), ს ა ფ ა — მჭედლისა და იარაღთა მფარველი, ფ ა რ ნ — მშვიდობის ძალა, ე ს ხ ა რ — მეომრის მფარველი და სხვა. სამხრელმა ოსებმა, ქართლელებთან მეზობლობის გამო, ზოგადად მაინც, იციან ლაზარეც.

ზემოწარმოდგენილ მასალათა მიხედვით, ლაზარობა აღმოჩავ-ლურ ქართულ რიტუალად ისახება, მაგრამ არ შემცდარა ივ. ჭავახიშვილი, რომ, ზოგადად მაინც, იმერეთიც ახსენა.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ ლაზარობის კვალზე აქარაში თელო სახოკია მიუთითებს. იგი, თუმცა, ლაზარეს არ ახსენებს, მაგრამ როდესაც წერს: გვალვისას რამდენიმე სოფელი ერთად იკრიბებოდა და ლოცულობდნენ: „ღმერთო! წვიმა მოიყვანე შპიპუნა და ძლიერიო“,¹³ და ნაღიშს მარ-

13 თ. სახოკია. მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 202.

თავდნენო, — ცხალია, აქ ამინდის ღვთაება იგულისხმება.

ჭ. ნოღაიდელს!¹⁴ პირდაბეჭდები ზარობის ლექსებიც აღმოჩანდა აქარაში ჩაწერილი. იგი ამბობს: „სოფლის გოგო-ბიქები დედოფალს აკეთებენ და ცეკვა-თამაშით სოფელს დაუვლიან და თან „ლაზარის“ მღერიან“. ავტორი იქვე შენიშნავს: მ. ჩიქოვანის მიხედვით¹⁵ ანალოგიურ ღვთაებას საქართველოს გარეთაც იცნობენ.

აღნიშნულთა მიხედვით აქარამ დაგვაინტერესა, და მართლაც, იქ ყოველივე ეს დადასტურდა. უფრო გავრცელებული აქაური წესია: ბავშვები შეჯგუფდებიან, წაებმიან ერთმშეთს ან ისე მიღიან, და მიმღერიან:

„ლაზარიკო, ლაზო, აზანზალეფ მთასო! ჩვენ არ გვინდა მზისა თვალი, ღმერთო, მოგვეც წვიმა-წყალი!“

ან კიდევ:

„ლაზარიკო, ლაზო, აზანზალეფ ფთასო: ძვენ არ გვინდა წვიმა-წყალი, ღმერთო, მოგვეც ზიზა თვალი!“

ამავე ლექსითა სხვა ვარიანტებიც ჩავიწერეთ და გამოვაქვეყნეთ კიდეც.¹⁶ „აზანზალეც ფ ფ თასო“ რომ აზანზარებ მთას და ზიზა თვალი

14 ჭ. ნოღაიდელი. ნარკვევები და ჩანაწერები, I, 1971, გვ. 131.

15 მ. ჩიქოვანი. ხალხური სიტყვიერება, 1931, გვ. 80.

16 ი. მეგრელიძე. ლაზარობა აქარაში. — უსრბ. „ჭორობი“, 1970, № 4, გვ. 90-92. შემდევ ისევ ჩვენი ჩანაწერები და შენიშვნები იხ. წიგნში ჭ. ნოღაიდელი. ნარკვევები და ჩანაწერები, I, 1971, გვ. 234-235.

რომ მზისთვალი არის, ეს ცხადია. ბავშვთა მეტყველებაში რომ ლაზარე მოფერებითი ფორმით — ლაზარიკო — ისენიება, ესეც გასაგებია (იქვე).

ყოველივე ამას ამართლებს და აძლიერებს ის შესანიშნავი გარემოება, რომ თ. სახოკიას, ჭ. ნოლაიდელისა და ჩვენს გარეშე, ამინდის ღვთაების შესახებ აჭარელთა წარმოდგენაში ჭ. ფრეზერს აღუნიშნავს (იხ. ქვემოთ).

გურიაში ლაზარობა პირდაპირ ელიასთან არის დაკავშირებული, თუმცა აქა-იქ ლაზარეს სახელიც ისმის. ამ. წულაძე ელიას დღესასწაულს — ელიობას (იმართებოდა 20 ივლისს) არა სახელ ელიას, არამედ მცენარე ი ე ლ ს უკავშირებს. ელიობასაო, ლაპარაკობს იგი, ლუკუმისი კანშეთლით აჭრელებულ სარს (პაპაკვარს) შეა ყანაში დაასობდნენ და ძირთან იელის ჭოხს დაურჭობდნენ.¹⁷ არა, იელის ჭოხს ამ ჭვარს მკლავებად უკეთებდნენ.

ჩვენ კი ვთვლით, რომ ელიობა უშუალოდ მცენარე იელთან არ არის დაკავშირებული, ეს ელია — ღვთაების დღეობაა.

ჭ. ფრეზერი სპეციალურად მიუთითებს აჭარულ წესს: აჭარლებს ახლაც გააჩნიათ „обряд купанья куклы во время засухи“, რათა გაწვიმდესო.¹⁸ დედოფალას გაწუწვის გარდა, ჭ. ფრე-

ზერს ისიც აქვს დასახელებული, რომ ფშაველი და ხევსური კულტი ბი ხვის ცერემონიასაც უარისტული ბენ, ვითომც „წვიმას ხნავებოს“¹⁹ ამავე ღროს გამოირკვა, რომ ლაზარობა ქართველ ფერებინელებსაც არ დავიწყებიათ, მათ „საგალობელი“ ტექსტიც კი შემოუნახავთ.²⁰

გაირკვა ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ლაზარეს თუ ბატკანს უკლავლენენ, იმერეთ-გურია-აჭარასა, სამეგრელოსა და აფხაზეთში ასეთი ზვარაკი თიკანი (ციკანი) ყოფილა, ოსეთში კი — თხა.

ივ. გავახიშვილს ერთ თქმულებაში შეუნიშნავს, ე ლ ი ა ბ რ მ ა ა, მას წმინდა გიორგი მეთვალთვალეობს და არ ანგებს, თორემ რომ ჩადის, იმაზე შეტყოდვას ჩაიდენდა; და მაინც ელია ზოგჯერ უდანაშაულო ოჯახს ან ოჯახებსაც აზარალებს ქუხილითა და წვიმით, ვინაიდან ვერ ხედავს, სად ავლენს ცის რისხეასო.

დასავლური ქართული თქმულებებით, უდანაშაულო ოჯახის ან მწყემსის დაზარალების შემთხვევებში ელიას ეშმაკი აცდენს, ან დამნაშავეს ბედი ელიას საშუალებით სჯისო... ჭოლა ლომთათიძის ნაწერებში ბურმა (ბრმა) ან გელოზი ელიაზე ხალხის წარმოდგენას ას-

17 ამ. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია, 1971, გვ. 109.

18 Дж. Фрезер. Золотая ветвь, I, მოსკოვ-ლენინგრადი, 1931, გვ. 88.

19 იქვე.

20 ჭ. შარაშენიძე. ახტლი მასალები ფერებინელი ქართველების შესახებ, თბ., 1969, გვ. 3.

ა ხ ა ვ ს. 21 გ უ რ ი ა შ ი ე ლ ი-
ო ბ ა კ უ დ ი ა ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა-
ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ი ს ს პ ე-
ც ი ა ლ უ რ ი რ ი ტ უ ა ლ ი ა
(ამის შესახებ — ცალკე).

ყ უ ვ ე ლ ი ვ ე ა მ ა ნ ჩ ე ნ მ რ ვ ც ა
ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი დ ა გ ვ ე ს კ ვ ნ ა: „რ ა კ ი
ლ ა ზ ა რ ბ ი ს კ ვ ა ლ ი ა ჭ ა რ ა შ ი ც ა ღ-
მ ო ჩ ი ნ დ ა, ც ხ ა დ ი ა, რ მ ი გ ი ა რ ა
მ ჩ ი ლ ი დ ქ ა რ თ ლ - კ ა ხ უ რ ი, ა რ ა მ ე დ
ს ა ე რ თ თ ქ ა რ თ უ ლ ი რ ი ტ უ ა ლ ი ყ უ-
ფ ი ლ ა „... „მ ი ს ა ლ ი ღ ნ ე ლ ი ა, რ მ ი
ლ ა ზ ა რ ბ ი ს კ ვ ა ლ ი ჭ ა ნ უ რ (ლ ა-
ზ უ რ) ზ ნ ე ჩ ე უ ლ ე ბ ე ბ ს ა დ ა ფ ი ლ-
კ ლ ი ლ შ ი ც ა ღ მ ი ნ დ ე ს“. ლ ა ზ ა რ თ-
ბ ა მ თ ე ლ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ი — ჭ ა ნ-
ტ ი დ ა ნ ჰ ე რ ე თ ი ს (ს ა ი ნ გ ი ლ ა ს)
ჩ ა-
თ ვ ლ ი თ დ ა ტ ა მ - კ ლ ა რ ჩ ე თ ი დ ა ნ
ს ა მ ე გ რ ე ლ ი - ს ვ ა ნ ე თ ს ა დ ა მ თ ე ლ ს
ჩ ე ნ ს მ თ ი ა ნ ე თ შ ი ყ ო ფ ი ლ ა გ ვ რ-
ც ე ლ ე ბ უ ლ ი („ჭ ო რ ი ხ ი“, 1970,
№ 4, გ ვ. 92).

მ ე ტ ი ც, ი გ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ
ს ა მ ხ რ ე ლ ი ს ე ბ ს ა დ ა ს ი მ ხ ე ბ ი ს ა ც
გ ა უ ც ი ნ ი ა, თ ი რ ე ბ ი ც უ დ ი თ ი ნ დ ი-
ე ვ რ ი ბ ე ლ ი ხ ა ლ ხ ე ბ ი ა ს ე თ ლ ა ზ ა-
რ ე ს ა რ ი ც ნ ი ბ ე ნ.

გ. ფ რ ე ზ ე რ ი დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ნ ა-
შ რ ი მ შ ი ვ ე წ ე რ ს: ს ი მ ხ ე ბ ი გ ვ ა ლ-
ვ ი ს ა ს დ ე დ ა ბ ე რ ს ა ნ ხ უ ც ი ს (ტ ე რ-
ტ ე რ ა ს) ც ი ლ ს შ ე ა ბ ა მ ე ნ ხ თ ლ მ ე
უ დ ე ლ შ ი, მ ა ს ს ხ ვ ა ქ ა ლ ე ბ ი ც ა ე დ ე-
ვ ნ ე ბ ი ა ნ დ ა გ ა მ დ ი ნ ა რ ე წ ყ ა ლ ს ს ა-
წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ მ მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ
ხ ნ ა ვ ე ნ მ (ი ქ ვ ე, გ ვ. 89).

ზ ღ ვ ი ს პ ი რ ე თ ი ს მ ც ხ ვ რ ე ბ 6 ი,

21 ც ი ნ ი ღ ლ ი ა დ ა რ ი ს ს ხ ვ ა ა ნ გ ლ ი ხ ი ც.
ი ხ. 6. რ ე ს ვ ი ა შ ვ ი ლ ი ს წ ე რ ი ლ ი
ს ა ქ. მ უ ზ ე უ მ ი ს მ თ მ ბ ე შ ი ხ ვ ა ლ ი X X I V , 1963,
გ ვ. 190.

რ ო გ ო რ ც, მ ა გ ა ლ ი თ ა დ, ლ ა ზ ე ბ ე
(ჭ ა ნ ე ბ ი) დ ა მ ე გ რ ე ლ ე ბ ი, მ ა თ ი რ ი
ი ს ე დ ა ც მ ი ს ა რ ბ ე ბ უ ლ ი წ ვ ი მ ე ბ ი ს /
გ ა მ მ, უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ გ ა მ ლ ა უ ლ ე შ ა შ ი უ კ ა
შ ე ს თ ხ ვ ე ნ ა მ ი ნ დ ი ს ღ ვ თ ა ე ბ ა ს;
ს ა დ ა ც მ ე ტ ი გ ვ ა ლ ვ ა ი ც ი ს, ი ქ კ ი
— წ ვ ი მ ა ს.

წ ვ ი მ ი ს გ ა მ ლ შ ვ ე ვ ი ს ს ხ ვ ა რ ი ტ უ-
ა ლ ე ბ ი ც ა ც ნ ი ლ ი (ი ხ. თ უ ნ დ ა ც
ჭ. ფ რ ე ზ ე რ ი ს ი გ ი ვ ე ნ ა შ რ ი მ ი).

მ ო ხ ს ნ ი ე ბ უ ლ ი ა ხ ა ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი
დ ა დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი ა რ ა ა გ ა მ ლ ი უ ნ ე ბ უ-
ლ ი ე რ თ - ე რ თ ა ხ ა ლ ნ ა შ რ ი მ შ ი ,²²
მ ა გ რ ა მ ი გ ი ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ი მ ი
მ ხ ა ი ვ, რ მ მ ნ ა რ კ ვ ე ვ ი ს მ ი ხ ე დ-
ვ ი თ, გ ვ ა ლ ვ ა - წ ვ ი მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ლ ე ქ-
ს ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი - კ ა ვ კ ა ს ი ი ს გ ა-
რ ე თ ა ც ა რ ა ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი (ი ხ.
ს ნ ე გ რ ი რ ი ვ ი ს ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი — ი ხ.
ქ ს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ი ქ ვ ე, გ ვ. 50).

ჭ. ფ რ ე ზ ე რ ი ა ს ე თ რ ი ტ უ ა ლ შ ე ც
მ ი უ თ ი ტ ე ბ ს: ი ნ გ უ შ ე ბ ი, ჩ ე ჩ ნ ე ბ ი
დ ა ა ფ ხ ა ზ ე ბ ი გ ა შ ე ი მ ე ბ ი ს ა ფ ვ ი ს დ ი-
დ ი ხ ნ ი ს წ ი ნ ა თ გ ა რ ლ ა ც ლ ი ლ თ ა
ძ ვ ლ ე ბ ს თ ხ რ ი ა ნ დ ა ს ვ ე ლ ე ბ ე ნ მ
(ი ქ ვ ე, გ ვ. 89). ა ს ე ვ ე ი ქ ც ე ვ ი ა ნ
ო ს ე ბ ი ც, რ ა ც ჩ ე ნ ა ღ ლ შ ე რ ე რ ე თ კ ი-
დ ე ც ს ა მ ხ რ ე ლ ი ს ე ბ შ ი ც.²³

ა მ გ ვ ა რ ა დ, ლ ა ზ ა რ ბ ი ს წ ე ს ი ს
მ ი ხ ე დ ვ ი თ, ს ა მ ხ რ ე ლ ი ი ს ე ბ ი დ ა
ს ი მ ხ ე ბ ი ც ე ხ მ ა უ რ ე ბ ი ა ნ ქ ა რ თ უ ლ
რ ი ტ უ ა ლ ს: ძ ვ ა ლ თ ა დ ა ს ვ ე ლ ე ბ ი ს
მ ი ხ ე დ ვ ი თ კ ი ი გ ი ვ ე ს ა მ ხ რ ე ლ ი ი ს-

22 ქ ს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. ა მ ი ნ დ ი ს
რ ი ტ უ ა ლ ი დ ა პ ი ე ტ უ რ ი შ ე მ ი ქ მ ე დ ე ბ ა.
— უ რ ა ნ. „მ ა ნ ე“, ე ნ. ლ ი ტ. ს ე რ ი ა, 1974, № 1, გ ვ. 43-56.

23 ც ხ ნ ა ლ ი ს პ ე დ ა გ მ ი უ რ ი ი ნ ს ტ ი-
ტ უ ტ ი ს შ რ ი მ ე ბ ი, ტ. VII, ც ხ ი ნ ვ ა ლ ი —
თ ბ ი ლ ი ს ი, 1959, გ ვ. 115.

ები უერთდებიან ჩრდილო ოსებ-სა და მათ მეზობელ ხალხებს (ქი-სტებს, ჩეჩენებს, აფხაზებს).

დიდი აზრია ნ. მარის მიერ გა-მოთქმულსა და სომხების მიმართ ფართოდ იღუსტტრირებულ, ხო-ლო ოსების მიმართ ვ. აბაევის მი-ერ განვითარებულ დებულებაში:

— ბუდით ინდოევროპელ სომ-ხებს და ირანელ ოსებს აბორიგენ კავკასიელებისაგან იმდენი რამ შეუსისხლობიათ, რომ მეო-რეთაგან პირველთა მოწყვეტა უკვე აღარ შეიძლება, — სომ-ხებისა და ოსების ენა-სა და ყოფაში კავკასი-ური სუბსტიტიტი არა მხოლოდ დანაფენი, არამედ შინაგანად შერწყ-ყმული მოვლენაა. ჩვე-ნი ზემო აღნიშნული გა-მოთქმით, ბუდით ირა-ნელი ოსები გავაკასი-ელებული ხალხისაის კულტურის, ცხოვრების მონაწილე-ნი არიან.

ნ. მარისა და ვ. აბაევის დასკვ-ნებით, ოსურ ეთნიკურ სახელებ-საც კი — ირონ, დიგორ, ტუალ-ს არაფერი აქვთ საერთო ირანთან,²⁴ და წარმოადგენენ ად-გილობრივ (კავკასიურ) ძველ ეთ-ნიკურ სახელებს.²⁵

24 Н. Я. Марр. Ossetica-Iap-
hetica. — Известия АН, 1918,
№ 3. 2077.

25 В. И.. Абаев. Осетинский
язык и фольклор, I, 1949, № 368,
შდრ. ბ. კალთავი. ციტ. ნაშრომი,
გვ. 19.

კვლავ ვეხებით ზემოწარმოდ-
გნილ ლექსებში არსებულ სიტ-
ყვა მზისთვალი 26 ციტ. შიტ-
ტორულ ლექსებში, მოვა მზისთვალი,
აღარ გვინდა ცისნამი... (ან ტალახი).
და პირიქით — გვალვიანობის
„ლოცვაში“ ამბობდნენ:

„ლმერთო, მოვა ცისნამი...
(ან ტალახი),
აღარ გვინდა მზის თვალი“
(შდრ. ი. ჭავახიშვილი, ქვე, გვ. 77).

გასაგებია, ცისნამში წვი.
მა და მზისთვალში (აჭა-
რული — მზისთვალი, ზისთვალი
ან ზითვალი) მზე იგულის-
ხმება (შდრ. ზემოხსენებული
ხევსურული პირიმზე).

ნ. მარმა გამოთქვა მოსაზრები,,
რომ ძველქართული მზისთვა-
ლი სომხური არეგაკან, —
არევ — აკან (არევ — მზე,
აკან — თვალი) სიტყვის წა-
რმოქმნის ტიპისათ. ჩვენ ნაწარ-
მოები სიტყვა დაღესტნურ დიდო-
ურ ენაშიც შეგვხდა: (ბეჭეს —
ოზური — დიდ. ბუხ — მზე,
ნათეს. ბრ. ბეჭეს, ოზური —
თვალი; ბეჭეს-ოზური მზისა მზის
თვალი), და, მაშასაღმე, ესეც ამ
ენების საერთო ნორმით (და არა
მხოლოდ — სომხური ენის) წარ-
მოქმნილი კომპოზიტია.

26 იბ. ჩვენი წერილი ქურნ. „ლიტე-
რატურულ აჭარა“-ში, 1969 წ., № 3, გვ.
67, აგრეთვე „კორობში“, 1970, № 4,
გვ. 92.

ამიტომ დავასკვენით: „მზის
თვალი, სომხ. არეგაკან ან არევა-
კან, დიდ ბეჭედსოფურო ერ-
თნაირად ნაწარმოები სიტყვე-
ბია“. ასეთი კომპოზიტი ქართული
ენისათვისაც დამახასიათებელია
(მზის+თვალი, შდრ. მზე რა —
მჩე, მუხლისთვალი, წისქვილის-
თვალი, ბეჭდისთვალი, წყაროს-
თვალი და სხვა). მაშასადამე
მზისთვალი არ არის სრული
რი არევ — აკან ფორმულირებული
ხედვით ნაწარმოები სიტყვა, რო-
გორც ამას აკად. ნ. მარი თვლი-
და; მზისთვალი ქართული
ენის გრამატიკულ ნორმაში თავს-
დება და ქართულია.

თიხა შიომვიდი

აჭარაში შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშები

1897 წლის ზაფხულში თედო სახოვაძი იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მათ შორის აჭარაში. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბის“ 1898, 1900, 1901 წლების ნომრებში, ხოლო 1950 წელს — წიგნში „მოგზაურობანი“.

აჭარაში მოგზაურობისას თ. სახოვაძი მდიდარი ფოლკლორული ნიმუშები ჩაიწერა. მის მიერ ფიქსირებულ მასალებს შორის აღსანიშნავია თამარ მეფის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერება, გარეშე მტრების (თურქების) წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებები, მითოლოგიური თქმულება-გადმოცემები და სხვ.

აჭარაში, საქართველოს ამ უძველეს კუთხეში, როგორც „შემკრები შენიშნავს, განსაკუთრებით

მოწიწებით იხსენიებენ თამარ მეფეს. აქაურ მკვიდრთა მეხსიერებაში უამრავი თქმულება-გადმოცემა შემონახული მისი ცხოვრების, მოღვაწეობისა და სიკვდილის შესახებ. აჭარაში თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებთა სიმრავლესთ. სახოვაძი იმით ხსნის, რომ „თამარი აქაური ქართველების შეხსიერებაში აღბეჭდილია, როგორც ღვთის მოშიში, გულმოღვინე მზრუნვავი ეკლესიათა გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისათვის რისხვის დამცემი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი, შიუკერძველი მოსამართლე და, ყოველივე ამის დასასრულ — წენდანი და უბიწო“.¹

¹. თ. სახოვაძი, აჭარა, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 197.

„ქართული საისტორიო ჟეპირ-
სიტყვიერების არცერთ ციკლს
არა აქვს ისე დიდი გავრცელების
არე, როგორც თამარ მეფეზე შექ-
მნილ ნაწარმოებებს“ — წერს
პროფესორი ქსენია სიხარულა-
ძე.²

თ. სახოვიას მიერ ფიქსირებუ-
ლი თამარ მეფის ციკლის ჟეპირ-
სიტყვიერების ძირითადი თექტია:
ზრდოლა აგრესორთა წინააღმდეგ,
ეკლესია - მონასტრების შექნებ-
ლობა, გარდაცვალება და დაკრძა-
ლვის საიდუმლოება.

თ. სახოვიას გადმოცემით, თამა-
რის კულტი გავრცელებულია
მთელს აჭარაში და განსაკუთრე-
ბით კი სოფელ ფურტიოში. სწო-
რედ ამ სოფელზე გადის სხალთის
ტაძრისაკენ მიმავალი ვჩა, რომ-
ლითაც თამარ მეფე სალოცავად
დადიოდა; „დაწვრილებით ავიზე-
რებ ვჩას, რომლითაც სულმანთი
ჯორით დადიოდა; კვინვენებენ
ადგილს, სადაც დამე უთევია;
წყაროს, სადაც წყურეილი შოუკ-
ლავს; ქვს, რომელზედაც ფეხი
შეუდგას... ისეთი ზედმიწვენი-
ლობითაც მოგვითხრობენ, თით-
ქო გუშინდელი, საკუთარი თვა-
ლით ნანახი და ყურით გაგონილი
ამბავი იყოს და არა რვა საუკუ-
ნის წინანდელით!³

როგორც მკვლევარი გვაუშებს,

მას იმთავითვე წმინდა მოვალეო-
ბად მიუჩნევია, სისრულით ჩატარ-
რა ყოველივე განაგონი და პეტე-
ველისთვისაც ეგრძნობინდებოდა სიამოვნება, რაც თვითობ გახიცა-
და ამ კუთხის ზეპირსიტყვიერე-
ბის მოსმენის შედეგად.

ფურტიოში მოგზაურობისას თ.
სახოვიას გამყოლად ხლებია აძავე
სოფლის მცხოვრები ვინწე იუნუს
ბერიძე, „თავაზიანი, წმინდა ქარ-
თულით მოლაპარაკე, უებრო შო-
ამბე“, რომლისგანაც მოუსმენია
და ჩაუწერია მრავალი ისტორიუ-
ლი ლეგენდა-გადმოცემა თამარ
მეფეზე.

თამარის სახელთან არის დაკავ-
შირებული ტოპონიმური თქმუ-
ლება „ვარცხლა“ სერის შესახებ.
ამ სერს, იუნუსის თქმით, ეს სა-
ხელი იმიტომ დარქმევია, რომ
„ძევლად თამარ მეფეს იქ ვერცხ-
ლის მაღანი ჰქონია, რაც ვერცხ-
ლი სჭირდებოდა, სულ აქედას გა-
პქონდა ოურმე“.⁴

„აჭარლები, — მოგვითხრობს
თედო სახოვია, — ყოველ ძველს
ნაშთს ამ მხარისას... თამარის
დროში აშენებულად სთვლიან-
თუმცა მათ ნათქვამში ანაქრონი-
ზმები ხშირია, მაგრამ ლეგენდას
ხომ ასეთი შეცდომა უფრო აღვი-
ლად ეპატიება ხოლმე...“

თამარის დროინდელად შიაჩნი-
ათ აჭარაში უძველესი ხიდები,
რომლებიც თავიანთი სიმტკიცით
დღესაც აოცებენ მნახველს. ხალ-
ხის გაღმოცემით, მახუნცეთის, და-

2 ქს. სიხარულიძე, სიტორიო სიტყ-
ვიერება, ქართული ხალხური პოეტური
შემოქმედება, ტ. II, თბ., 1968 წ., გვ.
189.

3 თ. სახოვია, დასახ. ნაშრომი, გვ.
197-198.

4 იქვე, გვ. 199.

ნდალოს და ფურტიოს ხიდები ერთდროულად აუშენებია თამარს.

ფურტიოს ხიდს აჭარლები „დელოფლის ხიდს“ ეძახიან. სხალთაში მიმავალი თამარი ამ ხიდზე გაივლიდა ხოლმეო. „ხიდს როდ მიადგებოდა, ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა შეორე ნაპირას“. ხიდის ჰარცენა მხარეს უჩვენებერ შიწაში ღრმად ჩაფლულ ოთხუთხა ლოდს, რომელსაც „დედოფლის ქვას“ ეძახიან. „თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ფეხს და ისე შებრძანდებოდა თავის ჯორზეო“. ფურტიოდან სხალთაში მიმავალი გზისათვის კი, თამარის პატივსაცემად, „დედოფლის გზა“ შეურქებიათ.

იუნს ბერიძისავე თქმით ჩაუწერია თედო სახოვიას თამარ შეფის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება „დედოფლის წყაროს“, „სიმონაურისა“ და „დოლიაურის“ შესახებ. სხალთაში მიმავალი თამარი, როცა შემოაღმდებოდა, ფურტიოში ისვენებდა ხოლმე. ერთხელ ერთ შეძლებულ გლეხს, სახელად სიმონას, სწვევია იგი. გლეხს ძალიან გახარებია და დიდებულად დახვედრია სასურველ სტუმარს. სიმონას შვილისათვის ღვინო გაუტახებია წყაროში ჩასაციებლად. თამარს ძალიან მოსწონებია ჩაციებული ღვინო და უკითხავს, ასეთი ცივი წყარო სად არისო. უჩვენებიათ წყარო. „ამის შემდეგ აქეთკენ სიარულის დროს დედოფალი ამ წყაროს ისე არ გაუვლიდა,

წყარო არ დაულიაო, და წყაროსაც მისი სახელი შეირჩებია“  მიფის გულუხვი შაბპინძლის სახელიც იცის არ დაუკარგავს შემდეგი მისი ნამოსახლარისათვის „სიძონაური“ უწოდებია. თამარი განმეორებითაც სწვევია სიძონხს. მის შვილებს ძვირფასი სტუმრისათვის „დოლია“ (ურქო ძროხა) დაუკლავთ და „ამ ადგილსაც დაუვიწყარი მეფის სტუმრად წვევის მოსაგონებლად „დოლიაური“ დაპრემევია...“⁵

საინტერესო ტოპონიმური თქმულება ჩაუწერია თ. სახოვიას „ხალობივისა“ და „ნახუცარის“ „შესახებ: „ერთხელ თამარ დედოფლის კვირა დღეს მოუხდა თურმე ფურტიოში გაჩერება, — ბოგვითხრობს იუნს ბერიძე, — ბრძანა, რავი სხალთაში ვერ ჩავუსწარ, თქვენს ეკლესიაში უნდა მოვისმინ წირვაო. მთელი სოფელი შეიკრიბა, თამარ ბატონმა. ეკლესიაში ინება ჩვენთან ერთად წირვის მოსმენაო. წირვის დაწყების უამი გახდა, მაგრამ მღვდელი აღარსადა სჩანდა. დიდებულმა ძლოცველმა მოკითხა: ხუცესი რა იქნაო? კრძალვით მოახსენეს: ნუ გაგვრისხავთ, დიდებულო! მღვდელს შეეშინდა, მეფის საკადრისი წირვა მე სად შემიძლია ვსწიროვო და დაიმალო. ფრიად ეწყინა თურმე და ბრძანა, საცა იყოს, მოძებნეთო. იქით ეცნენ, აქეთ ეცნებ და გლეხს ნიკოლა შანთაძეს ლობიოში კი უნახავს დამალული მღვდე-

ლი. მას აქეთ ეს ადგილები ის-
ტორიული შეიქნა: ერთს „ნახუ-
ცარი“ დავტევა და მეორეს — „ნა-
ლობიევი“.⁶

თამარ მეფის ციკლისაა აგრეთ-
ვე ტოპონიმური ლეგენდა შავი
ტბის — „ყარა-გოოლის“ (ყარა —
შავი, გოოლ — ტბა) შესახებ.⁷

თამარ მეფის სახელთან არის
დაკავშირებული ხირხათის ციხის
აშენება აჭარაში. „ეს ლეგენდა, —
წერს, თედო სახოვია, — თაძარს
ზარმოვიდგენს ხირხათის ციხეში
შეფარებულს „უსჯულოთა შეფის“
აღერსისაგან თავის დასალშევად“.

ლეგენდის შინაარსის ასეთია:

„უსჯულოთა“ მეფეშ თაძარს
მოცემული გამოუგზავნა და ცო-
ლობა: სოხოვა. „თამარს გადაწყ-
ვეტილი ჰქონდა, უბიროდ დარჩე-
ნილიყო და, ეგეც არ ყოფილიყო,
უსჯულო მეფეს მაინც არ გაჟყვა-
ბოდა, თუმც ამ მეფეზე ძლიერა
და მდიდარი ცის ქვეშეთხე არავინ
იყო“⁸. ამიტომ უარი შექოთვალა —
„იმედი ნუ გაქვს, როდესმე ცო-
ლად შემირთოვო“⁹. თავმოყვარე-
ობაშელახულმა მეფეშ გადაწყვი-
ტა, დალით შეეპყრო თაძარი. შექ-
რიბა აურაცხელი ჯარი და მუსრი
გაავლო საქართველოს. თაძარი
აჭარაში ივლტო და სასწრაფოდ
ააშენა ციხე ხირხათის მიუდგო-
მდე მთაზე. შიგ შეიყვანა თავისი

ჯარი და რამდენიმე შლის სატო-
ფა სარჩო შეიტანა. უკურავული
ტერი ხირხათის მოპირზაპირე
მთაზე დაბანაკდა. ციხე ვერაფრით
რომ ვერ აიღო, უსჯულოთა შე-
ფერ ბრძანა, ხრამი ბამბით აძოვ-
სოთ. სურდა, ამით ერთი მხრით
— თამარისათვის ეჩვენებინა თა-
ვისი სიმდიდრე და მეორე მხრით
— ხიდი გაეკეთებინა ციხეში შე-
სასკოლელად. ამოავსეს ხრამი. შა-
შინ თამარმა ბრძანა, ბამბის ხი-
დისათვის ცეცხლი შაეკიდებინათ.
„ამ რომ შრომად და ხარჯმა ფუ-
ჭიდ ჩაუარა მის მოტრფიალეს“.

გარემოცვაში მყოფმა ქართვე-
ლებმა, თამარ მეფის სურვილის
თანახმად, ხირხათსა და ზარზბას
შორის გვირაბი გაიყვანეს. ღვთი-
სმოშიში დედოფალი ამ გვირაბით
დალიოდა ზარზმაში სალოცავად.

უსჯულოთა მეფეს თამარის შეპ-
ყრობის იმედი გადაუწყდა, შაგ-
რამ, როგორც მთქმელი აღნიშ-
ნავს. „ციხე შიგნიდან გატყდა“¹⁰.
თამარი გასცა ოქროს დახარბებუ-
ლმა დედაბერმა და, ზარზბისაკენ
მიმავალი, მტერს შეაპყრობინა.
თამარმა, „რაკი დაინახა, რომ გამ-
ხეცებულ მტერს ხელიდან ვეღარ-
სად შავიდოდა, გადასწყვიტა,
თავი თუ არ მკვდარი, ცოცხალი
არ დაენებებინა და შეევედრა: „ერთსლა გთხოვ: ერთი დღე თავი-
სუფლება მომეცი, რომ ოთახში
მარტო დავრჩე და უკანასკნელად
გილოცო ღმერთი. მერე რაც გე-
ნებოს, ის მიყავიო“¹¹. მეფეშ ნება

6 ქევა, გვ. 204-205.

7 ქევა, გვ. 212-213.

დართო. მეორე დღეს კი ოთახში თამარის გვამილა დახვდა.⁸

როგორც ვხედავთ, ლეგენდა გარეშე მტრებთან ბრძოლის თემას გასუსყუთვნება; იგი ქრისტიანული სარწმუნოების იდეოლოგიითაა გამსჭვალული და თამარის უბინოების ცნობილი მოტივის შეძლევლია; ეს ლეგენდა ერთგვარი გამოძილია ისტორიული ფაქტისა — ნუქარდინ სულთნის თამარ შეფის ცოლად შერთვის სურვილისა.

ზემოთგანხილული ლეგენდის სარტყერებო ვარიანტი ჩაუწერის აქარული ფოლკლორის ცხობილ ჩკვლევას ჯემალ ნოღაიდელს. ამ ვარიანტით თამარის ხელს „ერთეურთო შაპი“ ეძიებს. ჩირხათის ციხეში გამაგრებულ მეფეს შისივე ძმალის წევრი დედაკაცი გაჰყიდის. დასასრული აქაც ისეთივეა — თამარ მეფე თავს მოიშამლავს და ურჩულოს ხელში კი არ ჩავარდება.⁹

თ. სახოქიას ჩაუწერია აგრეთვე ამ ლეგენდის მეორე ვერსია, რომელიც თამარ მეფის გარდაცვალებასა და მისი დასაფლავების აღზილებების მოგვითხრობს. ლეგენდის მიხედვით, უსჯულოთა შეფეხ, რაკი საწადელს ვერ მიაღწია, დაიფიცა, თუ ცოცხალს არა, შკვდარს მაინც ჩავიგდებო ხელში თამარს.

8 იქვე, გვ. 223-224.

9 გ. ნოღაიდელი, თქმულებები და გადმიცემები აჭარაში არსებულ ისტორიულ ძეგლებშე, ნარკევები და ჩანაწერები, ბათუმი, 1971 წ., გვ. 206.

თამარ მეფე მოხუცებულობიდან ესალებოდა მტერს. სიკეთილის ურუცულებები მომდევნოება რომ იგრძელებოდა თორმეტი ერთგული მონა და უდაბნოში დაიმალა. მისი გარდაცვალების შემდეგ თორმეტმავე მოხამ საჭამლავი დალია, რათა ცოცხალა არავინ გამოსულიყო იქიდას და უნებლიერ არ წამოსცდებოდათ, რც სად განისვენებდა ქართველთა უწინებელები მეფე. „აქ, ამ უდაბხოში, — დასძენს ლეგენდა, — დადებული გვირგვინონსანი ოქროს ავანში განისვენებს და შვიდა სამეფოს განძი გარშემო შემოქუჩებული აქვსო“.¹⁰

ლეგენდის მესამე ვერსიის თასახეა კი, როგორც თ. სახოქია გადმიოვცემს, აჭარლებს სწავლ, რომ „თამარ მეფე არ მომკვდარა, ცოცხალია და ერთ დღეს ისევ გამოჩედება და მეთაურად დაუდგება თავის საყვარელ ხალხს“.¹¹

თამარ მეფის საფლავის საიდუმლოებით მოცულ ისტორიის, როგორც მკვლევარი მიუთითებს, „სრულიად ეთანწმება... ის ხალხური ლექსი, რომელშიაც გამოთქმულია ის აზრი, რომ არავინ იცის თამარ მეფის საფლავი თუ სად არისო:

„დაბნელებულა ქართლის მზე — დედა ქართლისა თამარი,

10 თ. სახოქია, დასძე. ნაშრომი, გვ. 224-225.

11 იქვე, გვ. 225.

სიმუშენიერით ვოსილი,
ამომავალი მზის დარი,
სიკვდილის შემდეგ მშობლებში
მკვდარიც ვერ ვპოვეს სად არი".¹²

თამარის ციკლის ეს უსათაურო
ლექსი როგორც დავინახეთ, თ. სა-
ხოვის ხალხურად აქვს მიჩნეული.
სინამდვილეში კი იგი ხალხოსანი
პოეტის — იოსებ დავითაშვილის
ორიგინალური შემოქმედებაა, რო-
მელიც შემდეგში გახალხურდა და
ვარიანტები გაიჩინა. მას აღა-
ტურებენ ი. დავითაშვილის თანა-
მედროვენი: "ზ. ჭიჭინაძე"¹³ და
შ. გულისაშვილი.¹⁴

აჭარაში, ქობულეთელი აზხაუ-
რის, მაჰმალიანი ქართველის ყუ-
რშუმ-აღა ჭყონიასაგან ჩაუწერია
თ. სახოვის, მისი თქმით, „თამა-
რის ანდერძისებური“ ლექსი:

„ათასი კაბა ყმა მყავდა:
კველანი ოქროს ღილითა,
ვაჭვევდი დედალ ხოხობსა,
ვამევედი ბროლის ჭიქითა.
ვინცა შემება, შევები
აღალითა და გიქითა,
აწერ აქვენ იცით, მეფენ,
ვინც დარჩით ამას იქითა...“¹⁵

თამარ მეფის სახელთან არის
დაკავშირებული აგრეთვე სხალ-
თის ტაძრის აშენება. მის შესახებ

12 იქვე.

13 ზ. მთაწმინდელი, იოსებ დავითაშ-
ვილი, 1887 წ., გვ. 30-31.

14 „ივერია“, 1887 წ., № 65, გვ. 3.

15 თ. სახოვის, დასახ. შრ., გვ. 225.

ხალხში ორი თქმულებაა დარჩეუ-
ნილი. პირველი ტოპონიმური ის
სიათისაა და ტაძრის სახელდებულის
თანაა დაკავშირებული. იგი იმ მოყვარე
ვითხრობს იმის შესახებ, თუ რო-
გორ უნდებებია თამარს ტაძრის აშ-
ენება დიდ მსხალთან. სახელიც
„სხალთისა“ ტაძარს აქვდას დარ-
ქმევია.¹⁶

მეორე ლეგენდა ზეპირსიტყვი-
ერებაში კარგად ცნობილ — ოს-
ტატისა და შეგირდის ურთიერ-
თობის მოტივზეა აგებული. „ტაძ-
რის მშენებლად გამოჩენილი ოს-
ტატი ყოფილ მოწვეული. ოს-
ტატს საჭირო ქვის მასალას შეგა-
რდი უმზადებდა ერთ კლდის ძი-
რას, სხალთიდან ნახევარ დღის სა-
ვალზე. გამოჩენილ ოსტატს „შე-
გირდიც შესაფერი ჰყოლია. უკა-
ნასკენელს წინდაწინ გამოუახვარი-
შნია, რამდენი ქვაც დასკირდებო-
და ტაძრის დამთავრებას და სწო-
რედ იმდენი მოუმზადებია, არც
მეტი და არც ნაკლები. ოსტატს
შენება რომ დაუმთავრებია, გამო-
საცდელად შეგირდისათვის შეუ-
თვლია, ქვა დამაკლდა და შობა-
წოდეო. შეგირდს თამარად შემო-
უთვლია: რაც გამოგეხზავნე, ის
ეყოფოდა, მეტი საჭირო არ არი-
სო. ოსტატს სწყენია თავისი შე-
გირდის მიხვედრილობა. ახლავე
რომ ასეთი ნიჭი გამოიჩინა და მა-
ჯობა, მერე რაღა იქნებაო? არა,
ჩემი სიცოცხლე არა ღირსო. აუ-

16 იქვე, გვ. 236.

შევია და ეკლესიის სახურავიდან გადმოშვებულა და თავი გაუფუჭებია.¹⁷

მკვლევარი თამარ იქროშიძე ამ ლეგენდას უკავშირებს ქართულ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებულ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებულ ღერძს:

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხვთა ისე მიგია,
დამიჭირეს, ხელი მომურეს,
კარგი რისთვის აგიგა.

და ვარაუდობს, რომ „შეიძლება ორივე ლეგენდა ერთი და იძავე წყაროდან მომდინარეობდეს და ეს წყარო კი ორ უნდა იყოს სვეტიცხოვლის ტაძრის გაშოსახულება“.¹⁸

თ. სახოვიას მიერ აჭარაში ფიქ-
სირცებული ამ ორი თქმულების კონტამინირებული ვარიანტი ჩაუ-
წერია ზურაბ თანდილავას 1958
წელს აჭარაშივე, სოფ. ყიხეხაურ-
ში, ხუსეინ შახის ძე შაინიძისა-
გან.¹⁹ სხალთის ტაძრის სახელდე-
ბის მოტივი ამ ვარიანტითაც თი-
თქმის ისეთივეა, როგორც თ. სა-
ხოვიასეულ ვარიანტში, ოღონდაც

აშენების დრო არ არის შემთხვე-
ბული და არც თამარ შეფერ სჩანს
მისი აშენების ინიციატივის მიუ-
ტარისა და შეგირდის ურთიერ-
თობა კი ზუსტად ისეთივეა: შე-
გირდის სიბრძნით გაბოროტებუ-
ლი ოსტატი თავს იკლავს.

სხალთის ეკლესიის მშენებლო-
ბასთან დაკავშირებული აჭარაში
გავრცელებული გადმოცემის ერ-
თი ვარიანტი ჩაუწერია აგრეთვე
ჯემალ ნოღაიდელს. ამ გადმოცე-
მით, სხალთის ეკლესია ორ ძრას
აუშენებია. ერთი მშენებელი ყო-
ფილა, ერთი კი — ქვის დაბაშზა-
ღებული. ძმებს შორის. ისევე
როგორც ოსტატსა და შეგირდს
შორის, პროფესიული შერის ნი-
აღდაგზე აღმოცენდება კონფლიქ-
ტი, რაც მშენებელი ძრის თვით-
მკვლელობით მთავრდება.²⁰

* * *

თ. სახოვიაში აჭარაში იმ დროს
ისოგზაურა, როცა თურქი დაბაჟ-
რობლების უღელი ახალმოსხილი
პქნდა ამ მხარეს, მათგან შეიყენე-
ბული ჭრილობები კი — ჭრ კი-
დევ მოუშუშებელი და გახსაკურ-
ნები. ბუნებრივია, ხალხში ცხო-
ვალმყაფელი ძალით ცოცხლობდა
გადმოცემები და თქმულება-ლე-
გნდები.

აჭარის გამაპმადიანების, აგრე-
სორთა მიერ ხალხის აწიოკებისა
და დარბევის შესახებ თ. სახო-

17 იქვე.

18 თ. ოქროშიძე, ოედო სახოვია და
ქართული ფოლკლორი, ოედო სახოვია-
საღმი მიღმინილი კრებული, თბ. 1969 წ.,
გვ. 31.

19 ქ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩა-
ნაწერები, წიგნი I, ბათუმი, 1971 წ.;
გვ. 203.

20 იქვე, გვ. 204.

კამ ხალხური სიტყვიერების შრა-
ვალი ნიმუში ჩაიწერა, რაც ერთ-
გვარი ცტყვიარი ისტორიას საქარ-
თველოს ამ უძველესი კუთხის
მქმებ ჩასულისა.

აქერძი თ. სახოკიას შეკრ ფი-
ქისირებული ისტორიული ზეპირ-
სიტყვიერების ერთ-ერთი ძირი-
თაღი იყმა ხალხის ბრძოლა თუ-
რქი დამპყრობლების წინააღმ-
დეგ, რაც იმავე დროს სარწყმუხა-
ვებისათვის ბრძოლის ხასიათსაც
ატარებს.

უკანის მრავალრიცხვებას ტო-
პონიძეს თუ ბუნების ამა თუ იმ
მოვლენის ნაშთს აჭარლები ქრის-
ტიანონის დროინდელად შიოხე-
ვენ და მათზე უამრავ თქმულება-
ლეგენდას ჰყებიან.

შემაღლის რჯულის შემოსვლას
აქერძი ლეინის აკრძალვა და ვა-
ზის კულტურის გადაშეხება მოჰყავა.
ზეორ აქარის ერთ-ერთ სო-
ფილში, ფურტოოში, დარჩენილა
სუთა გადმოცემა: ერთ დედაკაცი,
გვარად ცენტრალულს, მმა სტუმ-
რებია სოფლე პვანიდან. მმას ვა-
რუშენ ღვინო მოუთხოვია. ქალს
ტირილი დაუწყია: „ჩემმა შვილე-
ბმა ღმერთი დაივიწყეს ჭური და-
მიმტვრიცს, ღვინოს არ ექსახუ-
რებიან“.²¹

საინტერესო თქმულება ჩაუწე-
რია თ. სახოკიას ზემო აქარის სო-
ფილ ყადი-ოღლის (ყადი — სა-
სულეგრო მოსამართლე, ოღლი —
შვილი) შესახებ: მღვდლის შვილს
რჯული გამოუცელია და შაქშად.

21 თ. სახოკია, დასახ. შრომა, გვ. 175.

ანი ვამხდარა. გულდაწყვეტილება-
ში: კუთხების შვილისათვის. უკან
წინაპერებს ნაწავლებს უფლებულენ-
და ყველანი მღვდლები ყურადღება-
რია, წვილო, ძველი რჯული უარ-
ჰყავი, იმდენი ისწავლე, რომ ჭია-
თარია ხახული მაიც შეგრჩესო“. შვილს შეუსრულებია მამის თხო-
ვნა, უსწავლია და თურქებს ყა-
დობა მიუციათ. მის შთამომავ-
ლები ყადი-ოღლები (ყადის შვი-
ლები) დაერქვათ, სოფელს კი —
ყადი-ოღლი.²²

სოფ. ყადი-ოღლის მახლობლად,
კლდი, თავზე, უზარმაზარი კუ-
ნუკისუბური (თ. სახოკიას დასკვ-
ნით, კოომილი) ლოდის ატახას
ხალხური თქმულება ქრისტიანო-
ბის დროს ექვს ქმას (შეორე ვერ-
სას მიხედვით სამ ქმას) შია-
წერს.²³ ამით ხალხი ერთგვარად
აიდეალებდა ქრისტიან ვაჟკაცთა
ხიწლიერებს.

ქრისტეს რჯულისათვის შეგრ-
ძოლ ვინწე ხინიკაძის გმირულ სი-
კვდილზე მოგვითხრობს ტოპონი-
მური თქმულება „ღორთა ვაკის“
შესახებ: ხინიკაძეს ღორის კოლ-
ტი ჰყოლია. გათურქებული თახა-
სოფლელები ასჯანყებიან, — ღო-
რები გაწყვიტება და შენც ჩვენსა-
ვით გათურქდით. ხინიკაძეს წინა-
ოღმდეგობა გაუწევია და თავისი
კოლტითურთ ვაკეს შეხიზვნია
თანასოფლელები გამოსდევნები-

22 იქვე, გვ. 194-195.

23 იქვე, გვ. 196-197.

ან და მოუკლავთ. იმ დღიდას ამ ვაკეს „ღორთა ვაკე“ დარქშევია.²⁴

მომტეთა შორის სისხლისღვრის ტრაგიულ ისტორიას შეიცავს გაღმოცემები „შეიდის წყლისა“ და „ზურალის“ შესახებ. სარწმუნოებრივი უთანხმოებით გამოწვეული შეტაკების ღროს ქრისტიან ზურაბას მაპმაღიან ქარველთა ბელადი მაპმედ-აღა სასიკვდილოდ დაუჭრია. „დაკოდილს წყალი მოსწურებია და ღვთისათვის შეუთხოვნია, შენს მაღლას, წყალი ვა-აჩინეო. ერთბაშად წყაროს ამოუხეთქნია, მომაკვდავს წყურვილი მოუკლავს და გარდაცვლილა კი-დეც“. ამ შეტაკების აღსახიშხავად მაპმაღიან ქართველებს წყაროსათვის „შეიდის წყალი“ (წმინდანის წყალი) დაურქმევიათ, იმ ადგილისათვის კი, საღაც ქრისტიან ზურაბა მდგარა, — „ზურალი“.²⁵

შინაური შუღლის ამსახელია აგრეთვე თქმულებანი „საბრუხავას სერის“, „აბაზაურის“, „ფარნიაშვილებისა“ და „ჭორის სახოხავის“ შესახებ.²⁶

ა. სახოჯის საინტერესო თქმულება ჩაუწერია ფურტიოს ქრისტიანული ეკლესიის შესახებ: „გა-მაპმაღიანების ღროს ეს ეკლესია დაუწერევიათ. ერთი ქვაღა დარჩენილა. ჭერ კიდევ მაღლოდ ქრისტიანად დარჩენილი სოფლელი

შიდიოდნენ ამ ქვასთან, სახოჯის ანობდნენ და ღმერთს მდევრებრივ მოდნენ. ერთს გამამადიტებული ქამადაძეს ეს ქვა რკინჭის დაუმსხვრევია, რათა უკახას ხელი ნუგეშიც ხელიდან გამოსცლიდათ ქრისტეს მსახურო. როცა ქვას ამ-საცვრელია, ერთმა მოხუცებულმა დედაცაცმა ბევრი უშალა. შაპმა-დიანი გაბრაზდა და იმდენი სცემა მ დედაცაცმს, რომ სიკვდილის პა-რად მიიყვანა. ლოგინად ჩავარდ-ნილმა ქალმა ასე დასწევივლა მკრებელი: „მოწყალეო ღმერთო, ვაც რე ჩემი სალოცავი დაძიშვი-რია, გაუხმე ხელი და მის გვარს ბურით ნუ გააძლებ და ნუ ახეი-რებო“. წყევლამ გასჭრაო, — ამ-ბობენ სოფლელნი, — და ქამადა-ძეს ხელი შეახმაო. ხელშეშმარი თავისავე თანამორჩულებისთვის მი-სული და რჩევა უკითხავს: ასე და ასე დამემართა და ნეტავ თუ რაჭე მეშეგელებაო. იმასაც რჩევა მიუ-ცია: ისევ იმ დედაცაცმას შიდი და თავი დაალოცვინეო. ქამადაძე წასულია, მაგრამ დედაცაცმი შკვდა-რი დახვეცრია. ქამადაძის გვარის კაცნი დღესაცა არიან ფურტიოს ახლო სოფ. მჭედლურში. არც იმ დედაცაცისაგან დაწყევლილ ქამა-დაძის ნამრავლს გაუხარიაო, — მოგვითხრობენ აქაურნი, — შეე-დლურის ქამადაძე სულ შშიერ-მწყურვალი დაიარება, პური რომ ჰქონდეს, ლობიო აკლია, ჩოხა რომ როგორმე ჩაიცვას, ახალუ-ხის შოვნის სახსარი არა აქვსო. ასე წვალებით მოათრევენ თავი-

24 იქვე, გვ. 199.

25 იქვე.

26 იქვე, გვ. 206-207.

ანთ დღესაო, დედაკაცისაგათ დაწყევლილ გვარს ან და რა ახერებს...”²⁷

მოძალადე თურქების თავაშვებული თარეშის მწარე მოგოხებად შერჩენია აჭარის სოფელ „კუტიჯვარს“ ეს სახელი: როვლის დროს სოფელში მარტოდმარტო დარჩენილ ავაზმყოფ ქალს შეუნიშნავს, რომ სოფელს მტერი დაესხა. გაჭირვებით ასულა სერზე და მთელი ძალით დაუკივლია, რათა თავისიანებისათვის ხდა მიეწვდინა. ხმა კი მიუწვდენია, შავრამ თვითონ დაკუტიებულა და მის შოსაგონებლად სოფელს „კუტიჯვარი“ დარქმევია.²⁸

აგვიწერს რა აჭარელთა გატახულ ცხოვრებას თურქთა ბატონბის ხანაში, როცა ჭაპანწყვეტითა და ტანჯვა-წვალებით ბუნებისაგან ძალით წართმეულ ლუქსა აჭარელს პირიდან გლეჭდნებ ხონტების შესახებ, თ. სახოვია აბბობს: „აბა სწორედ მაშინ შეეძლო აქაურ გლეხს თავის ქართლელი თანამომმის მიერ გაშოთქმული ლექსი თავისი ეკონომიური უმწეობის შესახებ აჭირაზეც ზეღვამოეკრა:

„კართლი იმიტომ შემძულდა, თოვლს დასდებს, ალა აიღებს; რაც მოსავალი მოუვათ, ყველას ბატონი წაიღებს!..“²⁹

ბატონიშვილის სამარცხვინო იმპტიტუტის მამხილებელი უკავების მრავალ ვარიანტად არასურავთაულებილი ქართულ ხალხურ ტემპურატურა

* * *

აჭარაში, არსიანის მთის მიღამოებში, თ. სახოვიას ჩაუწერია უძველესი მითიური ელემების შემცველი ტოპონიმური ოქმულება „ბულ-გოოლის“ (ბულ — ბულა, გიოლ — ტბა) შესახებ. ოქმულების მიხედვით, „ტბიდან ზაფხულობით ბულა ამოდიდა და ძროხებს ამაკებდათ: წითელი ფერისა იყო, შევწამშამიანი... და შეტად ღონიერი. ხარები სულ გაუწყვეტია. სხვა ვერაფერი რომ ვერ მოუხერხებიათ, ერთ კაცს თავისი ხარისათვის წამწევეტებული რეინით მოუჭედნია რქები. როცა ბულა ტბიდან ამოსულა, რქამოქედილი ხარი გვერდებში დასტერებია და დაუჭრია. დაჭრილი ბულატბაში ჩავარდნილა და იშის სისხლს მთელი ტბა შეულებნია. ამოსვლით კი მას დღეს აქვთ არამოსულაო“.³⁰

ხარი, დიონისური რელიგიის თანახმად, დიონისეს ერთ-ერთი პიპოსტასია; დიონისე ამ ქვეყნად ხარის სახითაც დადის (ზოგ შემთხვევაში კი მას გველის, ახდა ბავშვის სახე აქვს). საინტერესოა

27 იქვე, გვ. 207-208.

28 იქვე, გვ. 212.

29 იქვე, გვ. 179.

30 იქვე, გვ. 212.

ის ფაქტიც, რომ იგი ხარის შევლელი ხარია.³¹

დიონისური ანგარიშსწორების (ხარის მიერ ხარის მოკვლის, ე. ი. დიონისეს თვითმკვლელობის) შესანიშნავი სურათი დაგვიხატა კ. გამსახურდიამ რომანში „დიონისოს ღიმილი“: ტაია შელიას ჭოგში ღვინისფერი და წაბლისფერი ხარები შეიძნენ. ღვინისფერია დასძლია მეტოქე და რქებით გამზინა. ადვილი შესაძლებელია, ზეპირსიტყვიერების ბრწყინვალე მცოდნე მწერალმა ეს ეპიზოდი სწორედ ხალხში გავრცელებული თქმულებიდან აიღო.

ცნობილია, რომ დიონისეს დღესასწაულზე სახალხოდ ხდებოდა ფალოსის, როგორც ბუნების საწარმოო ძალთა სიმბოლოს, დემონსტრირება. აჭარული თქმულების წითელი ხარის ტბილას ამოსვლაც მიზანმიმართულია: იგი ძროხებს ანაყოფიერებს.

მარიგად, თ. სახოკიას მიერ ფაქსირებული თქმულების წითელი ხარი, რომელიც წყლიდან ამოდის, ძროხებს ანაყოფიერებს და რომელსაც ისევ ხარი კლავს, დიონისეს კულტზე მიგვანიშნებს.

საინტერესოა აგრეთვე აჭარაშივე, სოფ. ფაჩხმატში, ფაჩხმატელის კლდის შესახებ ჩაწერილი თქმულება: კლდე შუაზე გამსკდარა. მისი ერთი ნაწილი დღე-დღეზე ჩამოქცევას ეპირებოდა და იძახდა: „მოვდივარ, მოვდივარ.“

31 ვ. ივანვი, Дионис и прадионицистство, 1923 წ., გვ. 139.

ერთი დედაკაცი მის მიზანს ტრეცხს რეცხდა. მთელი უალეთუაზამავლობაში კლდეს იმდენიც უშუალენია, რომ დედაკაცს მოთმიხება დაუკარგავს და შეუტევია: „რათავს იგდებ! ყურთა სმენა კი წაიღე! სულ იძახი „მოვდივარო“ და ამდენ ხანს რითი ვერ მოხვედი?“ კლდეს სწყენია ქალის სითამაშე, მომსკდარა და ქვეშ მოუყოლებია. „ეს დედაკაცი დღესაც აშკლდის ქვეშ არისო, — დასრეხს ხალხის თქმულება“.³²

ვფიქრობთ, ეს თქმულება უძველესია და ადგილის დედის კულტთან არის დაკავშირებული.

* * *

აჭარაში მოგზაურობისას თელო სახოკიამ დიდი რაოდენობის პროზაული უანრის ზეპირსიტყვიერება ჩაიწერა. რაც შეეხება პოეზიას, ამის შესახებ იგი გვაუწყებს: „ლექსი თუ კიდევ სამგე დარჩენილა, ისიც მეტად დამახინჯებული და ლექსის ღირსებას მოკლებული რამ არის...“³³ რასაკვირველია, შისი დასკვნა გადაჭარბებულია და ეყრდნობა მის მიერვე ფიქსირებულ რამდენიმე ნიმუშს.

საინტერესო ცნობას გვაწვდის მკვლევარი აჭარაში ლექსისა და სიმღერის ურთიერთმიმართების

32 თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 233-234.

33 იქვე, გვ. 185.

შესახებ: „...აჭარელი ლექსის ვერ იტყვის, თუ სიმღერაც არ ააყოლა. ლექსი და სიმღერა განუყრელი შექმნილა მისთვის“.³⁴ ამის შაგალითი კი ცოცხალ ყოფაში უნახავს. სოთ. ფურტიოში იგი შეხვედრია „ქოსად“ წოდებულ ერთ განთქმულ მოლექსეს და ლექსის თქმა უთხოვია. ბევრი ხვეწხის შემდეგ ქოსას სიმღერა დაუწყია ქართლური „ოროველას“ ხბაზე. როცა თ. სახოკიას მოუნდომებია ლექსის ჩაწერა, აღარ გაუშეორებია: „მოხუცი ვარ, რა ჩემი საქმეა ლექსის თქმა, ლექსი ახალგაზრდებმა უნდა სთქვანო“.³⁵

თ. სახოკიას ტელური ცნობა მელოდიისა და ტექსტის მთლიანობაში შესრულების შესახებ, როგორც თავის დროზე თამარ ოქროშიძემაც შენიშნა, განვითარების უძველეს საფეხურზე — მის სინკრეტულ ხსიათზე მიუთითებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აჭარაში, თურქთა სამასწლიანი ბატონიბის ულელქვეშ მოქცეულ შხარეში, დაცულ იქნა ქართული ოროველას მელოდია.³⁶

გული-ტკივილით შენიშნავს მკვლევარი. რომ აჭარაში ლექსთან ერთად მისი განუყრელი სიმღერაც ქრება. „მთელი ერთი თვის მოგზაურობის განმავლობაში ის სხვადასხვა აღვილას განგებ თვალშური გვეპირა და წამლად ერთი

სიმღერა არ გაგვიგონია, თუ გარიბები არ ჩავაგდებთ ზედა ხეშნულ მოხუცს, რომელსკოდაც გვისი სურვილის წინააღმდეგ თითქმის ძალდატანებით ვათქმევინეთ ერთი ნაწყვეტი სიმღერისა“ — აქეს იგი.

მეტად მინორულ ფერებში გვიხატავს თ. სახოკია აქაურ მკვიდრთა ყოფას: „ცხენით თუ ქვეითად მიღის აქაური, ლეწავს კალოზე თუ თივასა ჰთიბავს — ხდას არ იღებს, საერთო დუშილს არ არღვევს, თითქო საერთო რამ მწუხარება გადასწოლია შეეღმარტვასა და მის მკვიდრთაო“. — ამ ვითარებას იგი ხსნის სამი შიზეზით: აჭარელთა მძიმე ხვედრით თურქთა ულელქვეშ ყოფნის უასს, მათი უკიდურესი სიღარიბითა და მაპმადის რჯულის მიერ აკრალული ღვინის უქონლობით.³⁷

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაჭარბებული ჩანს თ. სახოკიას დაკვნა, როდესაც იგი უარყოფს ლექსისა და სიმღერის არსებობას აჭარაში. იკი აჭარული საქორწილო ჩვეულების აღწერისას თვითონვე გვაუწყებს, რომ ვაჟისას მიმავალი მაყრები „გზის სიშორეს სიმღერითა და ლექსით იადგილებენ“.³⁸

ლექსსა და სიმღერასთან ერთად, როგორც თ. სახოკია გადმოგვცემს, ხალხურ მუსიკალურ საკრავებსაც ივიწყებენ აჭარაში.

34 იქვე.

35 იქვე, გვ. 185-186.

36 თ. ოქროშიძე, დასახ. 6 აჭარომი, გვ. 35.

37 თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

38 იქვე, გვ. 189.

„ერთადერთი საკრავი და აქაური
მცხოვრების სულიერი შდგოშარე-
ობის გამოშეატველია — ჭი ბო-
ნი (რაჭული საზანდრის შსგავ-
სი)... რომლითაც აჭარელი ითა-
ში ერთხელ თავისს სევდასა და
დარღ-ვარამს გამოსთქვამს ხოლ-
მე“.³⁹

მიუხედავად გამოთქმული საყ-
ვედურებისა, თ. სახოვიას ბაიც
ჩაუწერია რამდენიმე ნიმუში აჭა-
რული ხალხური პოეზიისა. რო-
გორც უკვე ვნახეთ, მან ჩაიწერა
თამარ მეფის ციკლის რამდენიმე
ლექსი. ამას გარდა, აჭარაში, სოფ.
ქედის მცხოვრებ გულა დიასამი-
ძისაგან მას ჩაუწერია „ყურძნის
ლექსი“:

„ვენახმა სტევა: მე ვარ გრძელი
ზამთარ — გამონარები.
გეგისხამ, გვეივავილებ,
რომას უკან დაყცყცდგინ.
ჟე მოვა მომკრეფელი.
მოაქცეს ჭრელი გიდელი:
მოვიდა ძირში, ზედ ამოვიდა.
წორთი წამომწვადა ხელი.
წამწიევა კისერი,
სულ მთელსა მომწვიტა წელი.
ამწია და ძირს ჩამიშვა.
ჩამყარა თელი გოდორში.
ამწია და შინ წამილო.
ჩამბარგა თელი ჭარაში.
ზეგოდან ჭაზახი შემდგება,
ჟევშ ჭიჭინაში მიექრები.
ორ უკა ქვაბში მომაქცევენ,
უციცხლოთ წამოვდულდები.
ხანდახან კაი ბიჭი ვარ,
ხანდახან წამოვბუნდულდები“.⁴⁰

ლექსს უძლვის ჩამწერის კომე-

ნტარი: „მართალია, ლექსი გვი-
სი პირვანდელი ლიტერატურულ-
ჩენია, ხან რითმა ჰკოჭლების გამო-
ზომა აკლია, მაგრამ საიტერესოდ
ვცანით, როგორც შებღალული
ენის შებღალული ლექსი, ოდეს-
ლაც ალბათ ლამაზად შექმნილი
ხალხის მიერ“.

ლექსი გვიხატავს დასავლეთ სა-
ქართველოში გავრცელებული შა-
ლარი ვენახის კრეფის სურათს;
მასში თანმიმდევრულად არის მო-
თხორბილი ყურძნის თავგადასავა-
ლი დამწიფებილან დალვიხებაშდე.

როგორც შკვლევარი ჯემალ ჩეე-
იძე მიუთითებს, უკანასკნელი ორი
ათეული წლის მანძილზე მარტო
ქედაში რამდენჯერმე მოეწყო ფო-
ლკლორული ექსპედიცია, ხაგრამ
თ. სახოვიას მიერ ფიქსირებული
ამ ლექსის ვარიანტს ვეღარ შიაკ-
ვლიეს. როგორც ჩანს, ვაზის კუ-
ლტურის გადაშენებასთან ერთად,
90-იან წლებამდე ჯერ კიდევ შე-
მორჩენილი ეს ერთადერთი სავე-
ჩახო ლექსიც დაიკარგა.⁴¹

მეცხრამეტე საუკუნის 90-იან
წლებში თელო სახოვიას მიერ აჭ-
არული ზეპირსიტყვიერების „შეკ-
რებასა და გამოქვეყნებას დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა საქართვე-
ლოსთან ახლადშემოერთებული
ამ კუთხის სულიერი კულტურისა
და ტრადიციების გასაცნობად.

41 ვ. ჩეეიძე, შრომის პოეზია ქარ-
თულ ფოლკლორში, აჭარული მასალების
შიხვევით, ბათუმი, 1973 წ., გვ. 106.

39 იქვე, გვ. 186.

40 იქვე, გვ. 176-177.

იური ჩავითაძე

აჭარის შემოწმების სამინისტრო უფლების მიზანის მისაღები აღნიშვნის სამინისტროს სამინისტრო

აღრებრინჯაოს ხანა საქართველოს ქვე-
ლი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელო-
ვანები პერიოდია. სწორედ ამ ეპოქიდან
ფართო მასშტაბით ვითარდება მეტალუ-
რგია. ქართულმა საბჭოურმა ოქეოლო-
გიამ შეტან მდიდარი და მრავალფეროვა-
ნი ნივთიერი კულტურის მეცნიერები მოი-
პოვა ამ პერიოდის მოსახლეობის საქმია-
ნობისა და სულიერი კულტურის შესა-
ხებ.

საქართველოს სხვა რაიონებთან შედა-
რებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
აღრებრინჯაოს ხანის კულტურა სუსტა-
დაა შესწავლილი. ენერგიით-აღრებრინ-
ჯაოს ხანის კულტურის შესწავლისათვის
ამ ბოლო წლებში იყალების ბათუმის
სამეცნიერო-კულეგითი ინსტიტუტის არ-
ქეოლოგიურმა ექსპედიციის საინტერე-
სო მსალები მოიპოვა ისაბაში და ჩაქ-
ვის მიდამოებში (ქობულეთის რაიონი).

აჭარისშეყვანის ხეობაში შემთხვევით
აღმოჩენილი აღრებრინჯაოს ხანის მასა-
ლები შეიძრებიცხვანია, მაგრამ ჩვენის
აზრით, მათი დროული პუბლიკაცია გა-
რკვეულად შეუწყობს ხელს ზემოთ უკ-
ავ აღნიშვნული ხარვეზის შეესტაბი.

პირველ რიგში შევჩერდებით ხულოს
რაიონის სოფ. ნაომარში 1955 წელს შე-
მთხვევით აღმოჩენილ ცულზე, რომე-
ლიც ინახება აჭარის ასერ სახელმწიფო
მუზეუმში. მას აქვს მკეთრად დაქანე-
ბული ფერდებშეწილი ყუა, სატარე
ხვრელი მრგვალია, ტანი — სოლისებუ-
რი, პირი — შედარებით ფართო და მო-
მრგვალებული. ცულს ემჩნევა ლესცა-
გმოყვნების კვალი. ნაომარის ცულის
სიმაღლე 11,5 სმ., ტანის სიფართე —
4,5. პირი 5 სანტიმეტრია. ნაომარის
ცულის მსგავსი ცულები საქართველოში
სხვაგანცაც აღმოჩენილი. ამ ტანის ია-
რაღების განვითარებაში შეინიშნება შე-
მდეგი ტენდენცია: თანდათანობით სიმა-
ღლის მომატება, ტანი შედარებით სწო-
რი ხდება, ყუის დახრილობა უფრო და
უფრო მკეთრდადა გამოხატული. ეს ნი-
შნები ახასიათებს ნაომარში აღმოჩენილ
ცულს. იგი აჭარის ტერიტორიაზე ნა-
პოვნ ლითონის ნაკეთობათა შორის ყვე-
ლაზე უძველესია და ამტომ მკვლევარ-
თა დიდ ინტერესს იწვევს. (დ. ჭორიძე,
ა. რამიშვილი და სხვ.).

აჭარისშეყვანის ხეობაში აღრებრინჯაოს

ხანის მასალებს შორის განსაკუთრებით საინტერესო მონაცემართა რიცხვს განეკუთვნება ქედის რაიონის სოფ. კოლოტაურში 1970 წელს აღმოჩენილი თიხის ქილა და კოკობი. ეს ჭურჭლები მთლიანადა დაცული. მათი აღმოჩენის სოფ. კოლოტაურის მცხოვრებ ნ. ფარეტანიძის ცენტრებით ირკვევა, რომ ჩვენ საქმე უნდა გემონდეს სამარხეულ ინცენტართან. ჭურჭლები ჩაწყობილი ყოფილა ქვეის სამარხში. გზის გაყვანისას სამარხი დარღვეულია, სხვა ნივთები დაზიანებულია. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ და მხოლოდ თხის ზემოთ დასახელებულმა ჭურჭლებმა.

თხის ქილა ხელითაა ნაძერწი, აქვს ვიწრო, ოდნავ შეზნექილი ძირი. არც თუ ისე მაღალი, მომრგვალებული და კოპებით (ხუთი) შემკული ტანი, თანაბრად შევიწროებული მეტად მაღალი (16 სმ) და ფართო ყელი, რომელიც ბოლოვდება მკვეთრად გარეთკენ გადამლილი პირით. თხი ღია მოყვითალო ფერისაა, კარგად გამომწვარი, ჭურჭლის ზედაპირი საგულდაგულონდა გაპრიალებულია. ქილის სიმაღლე 25 სანტიმეტრია, პირის დიამეტრი — 10 სმ., ძირისა — 6 სმ.

თხის კოჭობიც ხელით ნაძერწია, სქელეკედლიანი, ბრტყელძირიანი. აქვს მომრგვალებული ბიკონუსური მოყვანილობის ტანი. შედარებით მაღალი, თანაბრად შევიწროებული ფერთო ყელი, რომელიც ბოლოვდება გარეთკენ გადაშლილი პირით. ყური ბრტყელგანივევთიანია, მიძერწილია ყელს ქვემოთ. თხი უხეშია, მონცრისისტრობ გამომწვარი. ზედაპირი კარგადა გაპრიალებული. კოჭობის სიმაღლე 15 სანტიმეტრია, პირის დიამეტრი — 8,5 სმ., მუცლისა — 11,5 სმ.

ამ ჭურჭლების ზუსტი ანალოგიები ჰერჯერობით არცაა აღმოჩენილი. ცალკეული ნიშნების მიხედვით ესენი ემსგავსებიან დიდუბე-კიკეთის კერამიკულ ნაწარმას. ამ ჭგუფის კერამიკას პროფ.

ოთ. ჭაფარიძე ქ. წ. მე-4 ათარილებლის ბოლო ეტაპით ათარილებს, ტ. ტ. ჩუბინიშვილი ზოგადად აღმოჩენილია საწყის ეტაპში აქცევს. გილემილის საწყის ეტაპში აქცევს. გილემილის საწყის ეტაპში აღმოჩენილი ჭურჭლებიც ამ ჭგუფში ერთიანდებიან. ესენი შეიძლება აღრებრინჯაოს საწყისი ეტაპით იქნენ დათარილებული.

რა თქმა უნდა, ჩვენს ხელთ ასევებული მცირერიცხვები და ისიც შემთხვევით აღმოჩენილი მასალების მიხედვით ვრცელი დასკვნების გაყვეტა შეუძლებელია, თუმცა ამ მონაცემების მიხედვთაც შეკარად ჩანს, რომ აქარის-წყალის ხეობა დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ აღრებრინჯაოს ხანაში. უფრო მეტიც, აკდემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპლიციის მიერ აქ ქვეის ხანის ძრონდნელი აღმიანის ნაკვალევიც იქნა აღმოჩენილი.

როგორც ჩანს აღრებრინჯაოს ხანიდან აქაურ მკვიდრთა საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი ყოფილ მესაქონლეობა. აღრიდანვე უნდა დაწინაურებულიყო მიწათმოქმედებაც.

ჩვენს ხელთ ასევებული არქეოლოგიური მასალები უკავშირდება მტკვარ-არაქსის ცნობილ კულტურას, ოლქდაც კოლოტაურის ჭურჭლები ჰერჯერობით მაინც ვერ პოულობს ზუსტ ანალოგიას. არაა გამორიცხული, რომ აქაური მკვიდრი აღრიდანვე იყვნენ დაკავშირდებული წინა აზიის კულტურებთან. ამაზე უნდა მიუთითობდეს უცადაქანებული ცულების გაცრცელება აქარის-წყალის ხეობაში.

აუცილებელია ამ ჭეგულების შესწავლა. თანმიმდევრული, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების გზით. მხედველობაში მისალებია ის გარემოება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ლითონის უცველესი ნაკეთობისა და სამარხების არქებობის ფაქტებს სწორედ ეს ხეობა იძლევა.



შოთა კუჭუხიძე

წიგნი ზნეორგივი აღზრდის შესახებ

შარშან გამომცემლობა „საბჭოთა აქარამ“ დასტამბა დოც. ალ. გობრინიძის ნაშრომი „კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიათის ზნეობრივი აღზრდა“. „შესავალში ავტორი მოკლედ აშენებს ამ თემის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, იმ უდიდეს შეიძვენებას, რაც დღეს საბჭოურ სინამდვილეში ზნეობრივ აღზრდას აქვს. იგი მართებულად აღხიშნავს, რომ პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაში განსაკუთრებული აღვილი უჭირავს ზნეობრივ აღზრდას, რომ ზნეობრივი განვითარება განსაზღვრავს ადამიანის როგორც სოციალური არსების საზოგადოებრივ ღირებულებას, მის ავკარგიანობას. უდავოა ისც, რომ ადამიანის მიერ კეთილი და საზოგადოებრივად გამართლებული მიზნების დასახვა, მათი განხორციელებისაკენ „შეუნელებელი ლტოლვა მთლიანად

დამოკიდებულია ჯანსაღ ზხეობრივ აღზრდაზე. აქვე ავტორი ზოგადად ეხება აღმზრდელის პედაგოგიური კულტურის, პედაგოგიკის, როგორც აღზრდის შეცხიერების, ცოდნის დიდ მნიშვნელობას პიროვნების ზნეობრივ აღზრდაში.

ავტორი მეცნიერულად სწორ პოზიციაზე დგას, როდესაც ბოითხოვს ზნეობრივი აღზრდის (და საერთოდ აღზრდის) ურთულესი პრობლემატური საკითხები შესწავლის იქნეს დანაწევრებულად, ცალკეული კონკრეტული რეგიონების, მხარეებისა და საკითხების სახით, ანალიზისა და სინთეზის გზით, კონკრეტულიდან ზოგადზე და ზოგადიდან კონკრეტულზე გადასვლით. იგი იშველიებს ფრიდრიხ ენგელსა და აღხიშნავს: საზოგადოებრივ შეცხიერებაში სუფეს ურთიერთობათა და მიზეზობრივ კავშირთა ისეთი შრა-

ვალგვარობა, რომ არამარტო თი-
თოვეული გადაწყვეტილი საკით-
ხი წამოჭრის მრავალ ახალ სა-
კითხს, არამედ თითოვეული საკით-
ხი შეიძლება გადაიჭრას უძეტეს
შემთხვევაში მხოლოდ ნაწილების
მიხედვით, რავი გამოკვლევის
გზით, რაც ხშირად მოელ საუკუ-
ნებს მოითხოვს (გვ. 8).

ნაშრომის პირველ თავში ავ-
ტორი მკითხველს აცნობს მორა-
ლის ან ზნეობის რაობასა და რო-
გორობას, მის კლასობრივ-ისტო-
რიულ ხასიათს. იგი მართებულად
აღნიშნავს, რომ მორალი, რო-
გორც საზოგადოებრივი ცხობი-
ერების ფორმა, ასრულებს ზოგად
სოციალურ ფუნქციას: არეგული-
რებს ადამიანთა ქცევას. შემდეგ
განაგრძობს, რომ ქცევის მორა-
ლურ ნორმებს, სხვა ხორქების
საპირისპიროდ (სამართლებრივი,
შრომითი), როგორც წესი, კანონმდებლო-
ბით ხდება, ადამიანები ნებაყოფ-
ლობით ასრულებენ (გვ. 11), რა-
საც, რა თქმა უნდა, უაღრესად
დიდი მნიშვნელობა აქვს და თავი-
სი ხვედრითი წონით სამართლია-
ნად დგას ყველა ნორმაზე მაღლა.

პირველი თავის ქვეთავი „ბურ-
უაზიული მორალის კრიზისი“
დათმობილი აქვს ბურუაზიული
მორალის კრიტიკას. კაპიტალის-
ტური ქვეყნების სინამდვილიდან
აღებული უტყუარი ფაქტების მო-
მარჯვებითა და წარმოჩენით ავტო-
რი ნათლად ცხადყოფს ბურუა-
ზიული მორალის სულ უფრო
მზარდ ხრწნასა და დეგრადაციას,

ბურუაზიული საზოგადოების „შ-
კარა ზნეობრივ გადაწყვეტილას...
მეტად საგულისხმოა გადაწყვეტილას...
ტორი თავის ნაშრომში იძლევა
ბურუაზიული ზნეობის კრიტი-
კას და ამ ზნეობის მავნეობასა და
სიბილწეზე თვით კაპიტალისტუ-
რი სისტემის აპოლოგეტებს ალა-
პარავებს. იგი მოხერხებულად
იყენებს აგრეთვე საზღვარგარე-
თის პროგრესულად მოაზროვნე
პერაგოგთა და მცვლევართა აზრე-
ბსაც. „ბავშვთა დანაშაულებანი—
ეს არაა ცალკეული ოჯახებისა და
ბავშვების ავაღმყოფობა, — ამ-
ბობს ირვინგ ადლერი, — ეს სო-
ციალური პრობლემაა, რომლის
ფესვები ღრმად გამჯდარა ჩვენს
საზოგადოებრივ წყობაში. ახალ-
გაზრდობის მორალური დავადე-
ბა — ეს არის შედეგი და ასახვა
ჩვენი საზოგადოების ავაღმყოფო-
ბისა. სწორი იქნება ვი-
ლაპარაკოთ არა დამხა-
შავე ბავშვებზე, არა-
მედ ბავშვებზე დახაშა-
ულებრივ საზოგადოება
ბაში“ (ხაზგასმა ჩვენია —
შ. კ.). მიიტომ ჭერ კიდევ ადრე,
ვ. ი. ლენინი თავის ერთ-ერთ გა-
მოსკლაში ახალგაზრდობის წინა-
შე, პასუხად ბურუაზიული თეო-
რეტიკოსების ცილისწამებისა, ხა-
ზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენ
კომუნისტები წინააღმდეგი კი
არა ვართ მორალისა, საერთოდ,
არამედ წინააღმდეგი ვართ ბურ-
უაზიული მორალისა, რომ კო-
მუნისტური მორალი — ეს არის
ბრძოლა ყოველგვარი ჩავვრისა-

და ექსპლოტაციის წინააღმდეგ.

მომდევნო ქვეთავი ნაშრომში ეთმობა კომუნისტური მორალის რაობასა და შინაარსს. ავტორი მართალია, როდესაც აღნიშვნას, რომ დღეს კომუნისტურ მორალს ეკისრება მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია; იგი ჩვენი საზოგადოების პროგრესის, სოციალისტური ურთიერთობის კომუნისტურში გადაზრდის შემადგენელი ნაწილი და ამ პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა (გვ. 23).

ნაშრომის ამავე ქვეთავში მოკლედ და ლავკანიურად არის გამჭუქრებული დღეს ისეთი კარდინალური საკითხი, როგორიცაა „შაბათი და შვილთა“, „თაობათა ბრძოლის“, „თაობათა კონფლიქტის“, ახალგაზრდობის ზნეობის ე. შ. „გლობალური“ კრიზისის საკითხი, რომელზეც დიდი ხმაური აქვთ ატენილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის პოლოგეტებს.

ნაშრომის შეორე თავი ეთმობა ზნეობრივი აღზრდის ადგილს კომუნისტური აღზრდის სისტემაში. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: „აღზრდა, როგორც რთული მართვადი პროცესი“, „ზნეობრივი აღზრდის პროცესის მამოძრავებელი ძალები“, „ზნეობრივი აღზრდის პროცესის თავისებურებანი“.

ავტორი ლაპარაკობს ზნეობრივი აღზრდის პროცესის მამოძრავებელ ძალებზე და სამართლიანად აღნიშვნას, რომ „ზნეობრივი აღზრდის პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია, მასში წარ-

მოიშობა და მას წინ სწევს პრეზიდენტის უფლებანი შინააღმდეგობანი“ ერთ-ერთ და რომ ზნეობრივი განვითარებისა ურთ-ერთი ძირითადი პირობა არის ასეთ წინააღმდეგობათა დაძლევა.

ყურადღებას იპყრობს ნაშრომის ამავე თავში განხილული საკითხი მოთხოვნილებათა შესახებ.

ადამიანის ქცევა-მოქმედებას საფუძვლად მოთხოვ ნილება უდევს. მოთხოვნილებათა აღზრდა აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი ამოცანაა. ავტორი მართებულად აღნიშვნას, რომ „მასშემდეგ, ასც წარმომაშობა მოთხოვნილება, მოსწავლე ხალისით ღებულობს მასწავლებლის სიტყვასაც და ყოველგვარ პრაქტიკულ წინადადებას, რომელიც აახლოვებს მას სასურველ მიზანთან“. (გვ. 43).

როდესაც ლაპარაკია მოთხოვნილებათა აღზრდაზე, აქ, რა ოქაუნდა, იგულისხმება საზოგადოებრივად გამართლებული, შაბალი და ჭანსალი მოთხოვნილებანი. მოთხოვნილებათა ფართო და უკიდევანო წრეში უდიდესი აღგილი უკავია პიროვნების სულიერ და ზნეობრივ მოთხოვნილებებს. ამ მოთხოვნილებათა აღზრდა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მართებს ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას.

მოთხოვნილებათა აღზრდა როდი ნიშნავს იმას, რომ ბავშვისა და მოზარდის ყველა მოთხოვნილება-

დავაკმაყოფილოთ ან არ დავაკმაყოფილოთ.

თუ როგორ დაძლიოს აღზრდელმა ბავშვისა და მოზარდის მოთხოვნილებათა აღზრდის დროს ეს ორი უკიდურესი პედაგოგიური პოლუსი, როგორ გადაწყვიტოს ეს ერთვარი პედაგოგიური დილემა, ნაშრომის ავტორი ქითხველს მიანიშნებს პროფ. ი. სვადკოვსკის შეხედულებაზე: აღზრდელმა და პედაგოგმა უხდა დააკმაყოფილოს ბავშვისა და მოზარდის „ყველა კანონიერი მოთხოვნილება“, ხოლო ბავშვის სურვილი და საქმიანობა, რომელსაც მოაქვს ზიანი, და სხვას უსიამოვნებას აყენებს, უნდა სისტემატურად და მტკიცედ ავკრძალოთ, ყოველმხრივ შევეცადოთ არ დავშვათ ამ სურვილებისა და მოთხოვნილებების განხორციელება (გვ. 44).

გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ნაშრომში ზენობრივი აღზრდის თავისებურებათა შიკვლევა-დადგენას. ამ საჭიროს ავტორი მეცნიერულად ძირითადად სწორად და მართებულად აშშუქებს და ცდილობს სრულად მოგვცეს ზენობრივი აღზრდისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები და ოვისებები.

ნაშრომის მესამე თავი დათმობილი აქვს ზენობრივი აღზრდის მიზანს, შინააარსსა და ამოცახებს. ავტორი მართალია, როდესაც აღზრდის მიზნის შინაარსს ცხოვრების ობიექტურ კანონზომიერებათა კარნაზით ხსნის, მის კლასობ-

რივ ისტორიულ ხასიათზე განვარაუნდებს. იგი იძლევა ცხოვრებულ შევლევარების „შეხედულებულ“ (ნ. კ. გონჩაროვი, ი. ტ. პატრიარქიულ ნიკოვი, ბ. გ. ანანიევი, ნ. ი. ბოლდირევი, გ. ი. შჩუქინა და სხვ.) კრიტიკას უშუალოდ ზენობრივი აღზრდის მიზნის დადგენის საკითხებზე და სამართლიანად აღიმზნავს, რომ აღნიშნულ მკვლევართა მოსაზრებებში „მაინც არაა კონკრეტულად მოცემული ზენობრივი აღზრდის მიზანი“ (გვ. 58), და შემდეგ განვგრძობს: „ჩვენ ვფიქრობთ, ზენობრივი აღზრდის მიზანი ორგანულად უხდა დავუკავშიროთ (და არა გავაიგოვოთ) აღზრდის საერთო მიზანს“ (გვ. 59). ექვემდებარებული ზენობრივი აღზრდის მიზნის ავტორისეული გაგება, რომელიც, ვფიქრობთ, მეტ სიცხადესა და სისრულეს მოითხოვს.

ზენობრივი აღზრდის მიზნისა და ამოცანების გარკვევის შემდეგ ავტორი ლოგიკური თახმითდევრობით იხილავს ზენობრივი აღზრდის შინაარსს. აქ ავტორი ზოგადად და მოკლედ განიხილავს საბჭოთა პატრიოტიზმსა და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს, კოლექტივიზმსა და შეგხებულ დისციპლინას, შრომისმოყვარეობას, სოციალისტურ ჰუმანიზმსა და ქცევის კულტურას.

ნაშრომის მეოთხე თავი ეძღვნება ზენობრივი შეგნებისა და რწმენის ჩამოყალიბების საკითხებს. ცნობილია, რომ ადამიანის სწორ ქცევას, საზოგადოებრივად

გამართლებულ მოქმედებას საფუძვლად უდევს მისი სწორი მსოფლმხედველობა, ცხოვრებაზე, საგნებზე და ძოვლენებზე სწორი და ჯანსაღი წარმოდგენა, სწორი ზნეობრივი შევნება და რწმენა. ეს პქონდა მხედველობაში რუს რევოლუციონერ - დემოკრატის ნ. ა. დობროლიუბოვს, როდესაც წერდა, რომ „დანაშაულთა და უზნეო ქცევათა უმეტესი ხაწილი ხდება უგიცობის, სავნებზე არა-საკმაოდ ჯანსაღი წარმოდგენის გამო... ადამიანების დიდი ხაწილი დანაშაულს სჩადის იმიტომ, რომ არაფერზე, კაცია რომ თქვის, არა აქვს გარკვეული წარმოდგენა, და მეტყეობს სიკეთესა და ბოროტებას შორის“.

ავტორი სავსებით მართალია, როდესაც მოითხოვს, ზნეობრივი შევნებისა და რწმენის გაძოშუშავებას სერიოზული ყურადღება დაეთმოს სასკოლო პრაქტიკაში. იგი სინაწელს გამოიტქვას, რომ ამ მხრივ სკოლებში არასახარიელო მდგომარეობაა და საჭიროა ზნეობის საფუძვლები კანონმდებლობის საფუძვლების კურსთან ერთად იყითხებოდეს, რათა ახალგაზრდობას მართებული წარმოდგენა შეექნას გულისხმიერების, მზრუნველობის, მამაცობის, პატიოსნების, სიკეთის, ქველმოქმედებისა და სხვა ამგვარ ცხებებზე. ამ ცნებებზე დღეს ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს არასწორი და ბუნდოვანი წარმოდგენები აქვს, რაც ცხადლივ დასტურდება სარეცენზიონ ნაშრომში მოცემული

საბჭოთა ფსაქოლოგის შიხვაც-ლევებით (გვ. 85). ამის უზრუნველყოფით ძირითადი მიზეზი, რომელიც ფუნქციურული ვთქვათ სუსტ კლასებრუნვების სკოლისგარეშე მუშაობაზე, გახლვთ გაკვეთილზე აღმზრდელობით სწავლების პრინციპის უხერობის განხორციელება. ამის შესახებ წიგნის ავტორს, რო თქმა უნდა, ევალებოდა თავისი სიტყვა ეთქვა, მით უმეტეს, რომ მოსწავლეებში ზნეობრივი რწმენის დანერვების თაობაზე იგი გარკვეულ რეკომენდაციებსაც კი იძლევა.

ნაშრომის მეხსუთე თავში ლაპარაკია ზნეობრივი გრძნობის რაობაზე, მის ურთიერთობასა და მიმართებაზე ზნეობრივ შევხებასთან და რწმენასთან.

საგულისხმოა ავტორის აზრი გრძნობისა და გონიერის აღზრდის საკითხში: არ შეიძლება ერთანეთს დავუპირისპიროთ გრძხობა და გონიერა. „ადამიანის განვითარება ხდება არა მარტო ცნობიერების სფეროს გამდიდრებით, გონიერის სრულყოფით, არამედ ადამიანური გრძნობების გაძლიდრებითაც“ (გვ. 113).

დოც. ალ. გობრონიძე შეითხვეს აცნობს ზნეობრივი გრძნობის აღზრდის შეთოდივის ზოგიერთ საკითხს და სამართლიანად აღნიშნავს. რომ „ზნეობრივი გრძნობების აღზრდაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება აღინიშნება. ეს განსაკუთრებით შაშინ გვხვდება თვალში, როცა ზნეობრივი გრძნობის ნამდვილი აღზრ-

და შეცვლილია ჰკუის სწავლებით. დარიგებებითა და გაკიცხვით^(გვ. 112). ჩვენ აქ მოველოდით, რომ ავტორი გაცილებით შეტ შემაგონებელ სიტყვას იტყოდა ზნეობრივი გრძნობების აღზრდის მეთოდიების საკითხებზე, და აშით თვის წიგნს, რომელიც ესოდენ საჭიროა მშობლისა და პედაგოგისათვის, კიდევ უფრო ქმედით ხსიათს მისცემდა. არაფერია ხაოჭვამი აგრეთვე გრძნობების ზომიერების, გრძნობათა, მათ შორის ზნეობრივ გრძნობათა და ეშოციათა მოზომვის უნარის აღზრდაზე, რასაც დღეს ჩვენი, ეპოქაში, სუპერინდუსტრიალიზაციის სიხაპდვილეში უაღრესად დიდი შეიცვლობა აქვს.

საინტერესოა სარეცენზიონ ნაშრომის მექანიკების თავი, სადაც ლაპარაკია ზნეობრივი ქცევის ჩვევებისა და ჩვეულებების აღზრდაზე. ავტორი მართებულად აყენებს საკითხს, რომ ზნეობრივ აღზრდას ქმედითი ხასიათი შეოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ზნეობრივი ქცევა-მოქმედება ჩვევად და ჩვეულებად იქცევა. აქვე ავტორი მკითხველს მოკლედ აცნობს იმ მეთოდებს, გზებსა და საშუალებებს, რომელთა მეშვეობით ეს ჩვევები და ჩვეულებანი უნდა გამოვუშაოთ მოსწავლე ახალგაზრდებს.

ნაშრომის VII თავი ეძღვება საბჭოთა სკოლას, როგორც ზხერიშვილი აღზრდის მთავარ კერას. მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა და სკოლაში ორი ძირითადი შიძა-

რთულებით უნდა წარიმოონოს: გაცემილზე აღმზრდებულებული სწავლების პრიციპის უმჯობესობაზე და კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებით. ერთიც და შეორეც, ამბობს ავტორი, მაღალ ორგანიზაციულ ფორმებში უნდა ხორციელდებოდეს. ავტორის ახრით, თუ სკოლა ის მთავარი კერა და მიკროგარემოა, სადაც მთელი ძალით მიმდინარეობს მოსწავლეთა ზნეობრივი ფორმირება, მაშინ, ბუნებრივია, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს გარემო თავისი ფორმითა და შინაარსით უაღრესად გააძალსა და მტკიცე ხასიათს ატარებდეს.

წიგნის მერვე და მეცხრე თავები დათმობილი აქვს ისეთ შენიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მასწავლებლის ავტორიტეტი, მომთხოვნელობა, ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინება აღზრდაში და სხვ.

ავტორი სავსებით მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ ზნეობრივი აღზრდის სისტემაში ღიღდ როლს ასრულებს მასწავლებლის მორალური სახე, მისი ქცევები. დამოკიდებულება ბავშვებისაღმი და იმის უნარი, რომ ჰქონდეს მათთან კეთილსასურველი ურთიერთობა (გვ. 154). გარკვეულ აღგილს უთმობს ავტორი ამ თავში პედაგოგიური ტაქტის აღზრდელობით ღირებულებას.

პედაგოგიურ მომთხოვნელობაზე საუბრისას ავტორი სამართლიანად მიგვინიშნებს, თუ რა ღიღდი

მნიშვნელობა იქვს ზომიერებას, რომ პედაგოგიური მოთხოვხა და მომთხოვნელობა აღზრდა-განათლებისა და სწავლების ფრიად ბასრი და ეფექტური იარაღია შეთლოდ მაშინ, თუ იგი ზომიერების გრძნობას ეფუძნება.

გვაქვს შენიშვნებიც.

წიგნის თემა და სათაური აგრძორს ავალებდა მეტი ეთქვა შოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის მეთოდის შესახებ, მით უმეტეს, რომ ასეთი ღირებულით ქართველი მყითხველი როდია განებივრებული. ახალი ადამიანის ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე ზოგადპედაგოგიური და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ასპექტთ საუბარი, რა თქმა უნდა, მისასალმებელი და საჭირო საქმეა, მაგრამ ვუთხრათ მყითხველს, როგორ გადაჭრას მას პრაქტიკულად ბავშვთა და ქაბუკთა ზნეობრივი აღზრდა, რა მეთოდებით, გზებითა და საშუალებებით გაიტანს მან ლელო, არახაკლებ (თუ არა მეტი) საჭირო და შეისწეროვანია.

ნაშრომის სტრუქტურა. არქიტექტონიკა და საკითხთა სიმჟღობრე მოითხოვს, რომ ქვეთქმა „ზნეობრივი აღზრდის პროცესის თავისებურებანი“ (გვ. 47), უსწრებდეს ქვეთქმას „ზნეობრივი აღზრდის პროცესის მამოძრავებელი ძალები“ (გვ. 40). იგივე „შეიძლება ითქვას ზნეობრივი რწევების რაობის შესახებ მსჯელობაზე (გვ. 99-100). ჩვენს მიერ მინიშნებულ გვერდებზე ავტორი კვლავ უბ-

რუნდება აწმენის რაობასა და მნიშვნელობას, მაშინ როდესაც ამ საკითხს თავისი ადგილის უსწორებულებით ლოგიურად აქვს 94-ების უსტურებულებები და ასევე ზნეობრივი გრძნობის აღზრდის საკითხი (გვ. 104), ვფიქრობთ, უნდა უსწრებდეს ზნეობრივი შეგნებისა და აწმენის საკითხის გაშუქებას (გვ. 83), ხოლო კომუნისტურ მორალზე, მის შინაარსზე და რაობაზე საუბარი (გვ. 20) ბურულაზიული მორალის კრიზისის საკითხს (გვ. 12). ასეთი სტრუქტურულ - ღოგიური სიზუსტე და დახვეწილობა, ვფიქრობთ, წიგნს მეტ მეცნიერულ ღირებულებას შესძნდა და გამოიყენდით, ასეთი გამეორებები კი ნაშრომში, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათია.

ვფიქრობთ, სკოლის აღიარება ზნეობრივი აღზრდის ფაქტორად (გვ. 140), არ უნდა იყოს შართებული, მით უმეტეს რომ ნაშრომის VII თავის დასათაურებაში ავტორის სკოლა გამოყვანილი აქვს ზნეობრივი აღზრდის მთავარ კერად (გვ. 140). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ VII თავი, ჩვენი აზრით, სათაურს ვერ პასუხობს უშუალოდ და მომწურავად. იგი-ვვ შეიძლება ითქვას ნაშრომის VIII თავის შესახებ, სადაც ლაპარაკია მასწავლებლის ავტორიტეტზე.

ცნობილია, რომ აღმზრდელის ავტორიტეტის საკითხი პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკაში ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და გრძელებული სუსტად „შესწავ-

ლილი საკითხია. ამიტომ ავტორს ევალებოდა უფრო საგულისხმო ეთქვა მკითხველისათვის. გვრჩება შთაბეჭდილება, თითქოს შასწავლებლის ავტორიტეტი მის ტაქტიან იყოს - გაიგვებული (გვ. 154). ტაქტი ხომ ავტორიტეტის ერთ-ერთი აუცილებელი ხიშპარვისება და კომპონენტია.

ნაშრომში არაა გამოკვეთილი ზნეობრივი გრძნობის სპეციფიკა. მისი მოქმედების მექანიზმი. ზეპობრივი გრძნობა ხშირად სხვა გრძნობებთან არის გაიგვებული. გულსატენია, რომ ავტორი: თავის წიგნში ასე ძენწად წარმოგვიჩინა ჩვეულებების აღზრდისა და გამომუშავების მეთოდიკაც.

კარგი იყო ავტორს მეტი ეთქვა ზნეობრივი რწმენის რაობაზე, მის პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ღირებულებაზე, მის ადგილზე პიროვნების ქცევა-მოქმედების მექანიზმში. წიგნი იმპატიური მოიგებდა, მასში მეტი ადგილი დათმობოდა ზნეობრივი რწმენის აღზრდის კოსკრეტულ საკითხებს.

თითქმის არაფერია ხათქვაში ოჯახის როლზე ზნეობრივ აღზრდაში.

წიგნი უსათუოდ მოიგებდა. მკითხველს უფრო მეტი გაეგო ავტორისაგან ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა მოთხოვნილების აღზრდა (გვ. 43). საკითხის სიმწვავე და მისი დიდი აღძნებები

რდელობითი ღრებულება კულ-
ტული სააღმზრდელო მუნიციპალიტეტის სპეციფიკითაც არის გაირობებული. ამ მიმართულებით აქ ძალზე ბევრია გასაკეთებელი და საზრუნვავი. ცნობილია, რომ განსაღი მოთხოვნილება ჯანსაღი და საზოგადოებრივად გამართლებული მოტივაციისა და ქცევა-მოქმედების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. იგი ჯანსაღი შეარმოებლის და მომხმარებლის აღზრდის მოცანასთან უშუალო კავშირშია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იძისათვის, რომ საბჭოთა ახალგაზრდა ბაგის ასაკიდანვე ჯანსაღი და საზოგადოებრივად გამართული მოთხოვნილებებითა და მოტივებით აღვზარდოთ.

ავტორს გაცილებით მეტი უხდა ეთქვა კომუნიზმის შეხებლის მორალური კოდექსის ზნეობრივ პრინციპებზე, მით უმეტეს, რომ პარტიის პროგრამაში მოცემულ ზნეობრივ კოდექსს სამოქადაც პროგრამას უწოდებს.

ნაშრომი არაა დაზიანებული ეხობრივი და სტილისტური ხასიათის შეცდომებისაგანაც.

ეს შენიშვნები სარეცენზიონ ხაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ლირებულებას ჩრდილს არ იყენებს. დოც. ალ. გობროსიძის წიგნის დასტამბვით გამომცემლობა „საბჭოთა აჭარაშ“ კარგი საქმე გააკეთა.

6 39/82



№560 40 853.

ЛITERATURNO-HUDOЖESTVENNYЙ
и ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ЧОРОХИ“
ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118